

ვახტანგ ინაური

მეოცე საუკუნის
ქართული მწერლობის
საკითხები

2011

UDC(უაკ)821.353.1.09

ო – 53

წიგნში იბეჭდება ავტორის მიერ ბოლო წლებში გამოქვეყნებული XX საუკუნის ქართულ მწერლობის ნარკვევი. განხილულია გრიგოლ რობაქიძის, მიხეილ ჯავახიშვილის; გრიგოლ აბაშიძის, ნინო თარიშვილის, ირაკლი აბაშიძის, ალიო მირცხულავას, ანა კალანაძის და სხვათა შემოქმედება.

წიგნი განკუთვნილია ქართული ლიტერატურის სპეციალისტებისათვის და ჰუმანიტარული ფაკულტეტის სტუდენტებისათვის

რედაქტორი: პროფესორი *ნოდარ გრიგალაშვილი*

რეცენზენტები: პროფესორი *სერგო მელიქიძე*

პროფესორი *ნიკო ახალკაცი*

ISBN 978-9941-0-2958-5

”გველის პერანგის” მხატვრული სპეციფიკა

“გველის პერანგი” მეოცე საუკუნის ოციანი წლების სრულიად ახალი ტიპის მოდერნისტული რომანია, სიმბოლისტური ხატებითა და მისტიკური ფილოსოფიური მოდელებით, სტრუქტურით, შინაარსითა და მხატვრული სახეებით განსაკუთრებულად ორიგინალური ნაწარმოებია ქართულ და არა მხოლოდ ქართულ პროზაში. რომანის სიუჟეტებში რეალურისა და არარეალურის ურთიერთმონაცვლეობა: მითოლოგიური, წარმართული და ქრისტიანული პასაჟები, რომელშიც აისახება ხალხური თქმულებები, მისტიკური წარმოდგენები და წარმოსახვანი მწყობრ სისტემას ქმნიან, ერთ ამოცანას, ერთ პრობლემას ემსახურებიან: ასახოს ქართლის ცხოვრების მოდერნისტული ისტორია და ამ ფონზე აჩვენოს ქართული ჯიშის, ქართული რასის ძირები.

“ამ პრობლემის ამოხსნა პიესებით “ლონდათი” და “ლამარათი” დაიწყო, უფრო ჩაღრმავებით “გველის პერანგში” გადაგვიშალა და დაასრულა გარდაცვალების წელს, 1962 წელს დაწერილ წერილში: “ქართული გენია როკვით განფენილი” ეს უკანასკნელ აღსარება იყო მისი სულისა”. (5-3).

გრ. რობაქიძემ “გველის პერანგი”, 1917 წელს ჩაიფიქრა ირანში ყოფნის დროს, ხოლო დაწერა 1925 წელს საქართველოში. ეს შვიდი-რვა წელი იყო ღრმად სოციალურ-პოლიტიკური ცვლილებების ხანა, სწორედ ამ პერიოდში წერს წერილებისა და ესეების მთელ სერიას, სადაც ეხება ქართული კულტურისა და მისი მომავლის საკითხებს.

რობაქიძე იდგა ქართულ ეროვნულ პოზიციაზე და მისი სიღრმისეული ძიებებიც უმთავრესად შინაგან ეროვნულ წყაროებს ეფუძნება. აქედან მოდის მისი ნაწარმოებების მითოსური მოტივებიც.

მან დაგვიტოვა მხატვრული, ფილოსოფიური, ლიტერატურულ-კრიტიკული, ეპისტოლარული მემკვიდრეობა.

გრ. რობაქიძეზე უცხოელი მეცნიერი რ. კარმანი წერდა: ...“რობაქიძე სულის არისტოკრატია, როგორც სულიერი წინამძღოლი თავისი ხალხისა, ისევე, როგორც ესქილე, პანდასი და ჰომეროსი ელადისათვის, დოსტოევსკი და ლესკოვი რუსეთისათვის, გოეთე, ჰორდერლინი და კლაისტი გერმანიისათვის, ხალხის მგოსანი ამ სიტყვის უმაღლესი მნიშვნელობით (9-2). გრიგოლ რობაქიძე, პერსონაჟის დახასიათებისას უპირველეს ყოვლისა, ეძებს ინდივიდის შინაგან, სულიერ თავისებურებას, ჯიშის, რასის, გენის ფენომენს, რომელიც ხშირად გარკვეული გარეგნული ეფექტითაც არის გამოვლენილი. მწერალი დაკვირვებული ფსიქოლოგის თვალთახედვით ცდილობს ჩააღწიოს ადამიანის აზროვნების ხვეულებში, ცნობიერისა და ქვეცნობიერის ლაბირინთებში ეძებოს სახის, ხასიათის, პორტრეტის მოტივაცია, ქმედების დინამიკა. ჩაწვდეს “სულიერ ნათებას”. ურომლისოდაც არ არსებობს შემოქმედებითი წვა. ამ დროს რობაქიძე არასოდეს არ წვრილმანდება. იგი მარტივად პოულობს საძიებო პრობლემის

გასაღებს.

მწერლის მიერ ჩამოქნილ ხატში მისი მართებული აზრით, “ჩამოსხმულია თვით შეგონება” (1-140).

რომანში “გველის პერანგი” ერთდროულად გვხვდება სიმბოლისტური, იმპრესიონისტული და სხვა მიმდინარეობები. სიმბოლიზმის იდეურ-ესთეტიკური შინაარსის განმსაზღვრელია სინამდვილის მიღმური ხედვა. ხილულისა და უხილავის ასახვის სიმბოლისტური მეთოდი, მიღმა ქვეყანა, ოცნების, მშვენიერების საიდუმლო, უცნაურობის სფერო, რომელთან დაახლოება სიმბოლოს საშუალებით ხერხდება.

იდეალური ქვეყნის არსი გონებისათვის მიუწვდომელია, იგი მხოლოდ გრძნობა-განცდებით გაიგება. ამ გრძნობას ავტორი სიმბოლოებით იწვევს. სიმბოლო ის გზა და ხილია, რომელთაც ამ ქვეყნიდან იმ ქვეყანაში გადავყავართ. იგი მისტიკური სამყაროს გასაღებია, სარკმელია უხილავი სინამდვილის დასანახავად. მწერალი თავისი ფანტაზიით ამყარებს კავშირს ამ ქვეყნებს შორის. ეს ქვეყანა მარტივია, იოლად აღსაქმელი. ამიტომ საინტერესოა არა სინამდვილე, არამედ ის, რაც მისი მიღმური განმსაზღვრელია.

სიმბოლიზმის განვითარება და დამკვიდრება საქართველოში გრ. რობაქიძის მოღვაწეობას ემთხვევა. იგი სიმბოლიზმის ერთ-ერთი მედროშე იყო, იდეური წინამძღვარი.

“მწერლის შემოქმედების სიმბოლურ-ალეგორიული სახეების სიღრმეში წვდომა მის მიერ წარმოსახული მხატვრული სამყაროს გაცნობიერებელი აღქმა და გააზრება საკმაო გონებრივ დაძაბულობასაც მოითხოვს და სათანადო ინტელექტუალურ განსწავლა-შემზადებასაც. ასე რომ, მისი ნაწერების კითხვის პროცესი, ესთეტიკური სიამოვნების მიღებასთან ერთად, ერთგვარ გონებრივ დაძაბულობასთანაცაა დაკავშირებული”. (3 — გვ.220).

თვითონ გრიგოლ რობაქიძე მკითხველის საყურადღებოდ ამბობს: “ვისაც სიმბოლო და მითოსი არ ესმის, იგი ჩემს შემოქმედებას ვერ გაიგებს” (2—3).

“გველის პერანგში” გამოყენებული ყველა სიმბოლო ერთმანეთს უკავშირდება იდუმალი ძაფებით, ერთი ქმნის მეორეს, ერთი - ერთმანეთისაგან გამომდინარეობენ.

მის მიერ შექმნილი პორტრეტი, სურათი, პეიზაჟი ყოველთვის ეროვნული ფსიქოლოგიის საწყისებიდან, ეროვნული ბუნებიდან, ხასიათიდან გამომდინარეობს. ესაა მისი საფუძველი. ამიტომ ისინი ყოველთვის სუფთაა, გამჭირვალე, დამაჯერებელი, მიმზიდველი და ემოციური. რასაკვირველია, მწერლის მეთოდთან ერთად გადამწყვეტია სუბიექტური მომენტი — შემოქმედის ნიჭიერება. გრ. რობაქიძესთან არა მარტო ფრაზას, არამედ ყოველ სიტყვას თავისი მხატვრული თუ სოციალური ფუნქცია აკისრია.

მითოსურ-ქრისტიანული სიმბოლიკა “გველის პერანგში”

გრიგოლ რობაქიძე “გველის პერანგში” ქართველთა გენეტიური ძირების გარკვევის მიზნით ერის ზნე-ჩვეულებებში შემონახულ და ქრისტიანულ რწმენაში შერწყმულ მითოსურ და წარმართულ წარმოდგენებს აცოცხლებს: მზის კულტის, ვაზის ჯვრის და სიცოცხლის ხის სახით პერმანენტულად ხსნის ეროვნულ-რელიგიურ სიმბოლოებს, მათ წარმართულ და ქრისტიანულ საიდუმლოებას, რომელსაც მწერალი პერსონაჟის წარსულს, აწმყოს და მომავალს უკავშირებს.

რომანში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია მზის სიმბოლურ გააზრებას. ავტორი მზის სიმბოლიკას ეხება თავის პუბლიკაციაში “მზის ხანა საქართველოში”, რომელშიც იგი მზეს განიხილავს როგორც უზენაეს ღვთაებას ძველ საქართველოში.

“უძველესი დროიდან სათაყვანო სიმბოლოდ მზისა “სვასტიკა ითვლებოდა” წერს გრ. რობაქიძე აღნიშნულ წერილში — კაკვიანი ჯვარი ბორბალში მოქცეული. ბორბალი ანიშნებდა მნათობის კოსმიურ ბრუნვას და ეს იმ დროს, როცა ნივთიერ კულტურაში ურემი ჯერ კიდევ არ იყო ცნობილი. მზე არის სიცოცხლის თესლი, მზისგან იშვის სხივი და ნივთიერი იღებს “სახეს” - იმდენად, რამდენადაც იგი სხივმფენია. მხოლოდ სხივის გამოკრთობით ეზიარების ნივთიერი ღვთიურსა, იქცევა “სახიერ”. საუბარში ჩვენ შეფიცვის თუ შეჯერებისას ვხმარობთ ასეთ თქმას: “ჩემმა მზემ”, “შენმა მზემ“ თითქო ყოველ ადამიანს თავისი საკუთარი მზე ჰქონდეს” (4-2).

“ვეფხისტყაოსანში” ეს მზეთანაზიარობა პირდაპირ კოსმიურ ყალიბს იღებს. ნესტანის წერილში, რომლითაც ქაჯეთის ციხეში დატყვევებული ქალი ტარიელს ანუგეშებს, ვკითხულობთ: — “მზე უშენოდ ვერ იქნების, რადგან შენ ხარ მისი წილი!” (3-411). ან “შენმან მზემან აქანამდის შენ ცოცხალი არ მეგონე” (3-410). მზე სათავეა სინათლის, რომელიც სიბნელეს ებრძვის. ამიტომაცაა იგი უძველეს ქართველთა სათაყვანო კულტი.

ასევე მნიშვნელოვანია გრ. რობაქიძის შემოქმედებაში ხის კულტი და ხის სიმბოლიკა. ხე, როგორც სამყაროს სიმბოლო აღმოცენდა და მრავალფეროვანი ვერსიით გავრცელდა მიწათმოქმედი და მესაქონლე ხალხის მითოსში. უძველესი შეხედულების თანახმად „ცხოვრების ხე“ დგას სამყაროს ცენტრში და თავისი ფესვებით გაივლის კოსმოსის ამ სარტყელს: ფესვები მოქცეულია ქვესკნელში, ტანი სკნელზე (მიწის პირზე) დგას, ხოლო წვერი ზეცაშია. ამ ელემენტების უძველესი სიმბოლიკა ცხოველური სახისა იყო. თუ ცხოვრების ხის წვერსა და ტანს გამოხატავდნენ ფრინველისა და ცხოველის სახით (ხშირად ადამიანის სახითაც) ფესვებს ანუ ქვესკნელს განასახიერებდა თევზი, ქვეწარმავალი და ა.შ. ვაზი, ხის ფესვები “მზის კვერი“ თმები-უკავშირდება სიცოცხლის ხეს და მასთან დაბრუნებას, რომელიც ფესვებ ქვემ გაძრომით არის გამოხატული.

ამ სიმბოლოებს უკავშირდება პერსონაჟის ცხოვრება. არჩილი ისმენს წმ. ნინოს შემოსვლას და ეზიარება ვაზის ჯვრის საიდუმლოსა და ძლიერების ცოდნას, მზე კი

ირუბაქიძეთა გვარის სიმბოლოა, აქედან გამომდინარე საჭიროა არჩიბალდი-შემდეგში არჩილი იშვას ხელახლა. მოინათლოს, იშვას როგორც ქართველი არჩილი ირუბაქიძე (მაყაშვილი), ამისათვის კი სასჭიროა ხის ფესოში გაძრომა, ქვესკნელიდან ზესკნელისაკენ მომავალი გზის მიგნება. ამ გზის მაერთებელი ძაფი კი “ცხოვრების ხეა” — უფრო ზუსტად მისი ფესვები. ამ ნაწარმოებში გველი განასახიერებს ფესვებში გაძრომას, კიდევ ერთი დამაკავშირებელი სიმბოლო არჩილის მოკვდაობასა და გაცოცხლებასთან.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ “მზის კვერს” დიდი დატვირთვა აქვს გრიგოლ რობაქიძესთან.

“მზის კვერი” კი გარდასახვავა, ანუ გამოცვლა, ერთი ცხოვრებიდან მეორეში გადასვლა, ეს ნიშნავს სიკვდილს და დაბადებას. ორი სიმბოლო უკავშირდება ერთიმეორეს. ხის ფესვში გაძრომა ნიშნავს ახალი ცხოვრების დაწყებას. აქ შეიძლება ითქვას, ძველ ჩვეულებასთან გვეკონდეს საქმე. ადრე ბავშვებს ან მოზარდებს ხის ფესვებში აძვრენდნენ ავადმყოფობის გამო, მათ სწამდათ, რომ ის ავადმყოფობა ადვილად განიკურნებოდა, ადამიანი განახლებული და ჯანმრთელი იქნებოდა.

ნაწარმოებშიც არჩილი ძვრება ხის ფესვში და თითქოს უკვე სრულიად სხვა ადამიანი ხდება. ეს ნიშნავს სიკვდილს და დაბადებას. მოკვდა არჩიბალდი და დაიბადა არჩილი და ამ დაბადებას იგი თითქოს წინასწარ გრძნობს, როდესაც იგი ხვდება ჰამადანში ჩასულ ქართველებს და ესმის გვარი მაყაშვილი. მაყაშვილების გვარს სიმბოლური დატვირთვა აქვს, როგორც ნაწარმოებიდან ჩანს, მაყაშვილები ადრე ყოფილან ირუბაქიძეები, შემდეგ საქართველოდან გაქცევის გამო ეს გვარი გაიყო ორ ნაწილად: მაყაშვილებად და ჩოლოყაშვილებად. ე.ი. არჩიბალდი მეკეში ანუ არჩილი მაყაშვილი ირუბაქიძეთა გვარის შთამომავლია. იხსნება საიდუმლო და იგი ხდება ირუბაქიძე, ე.ი. იბრუნებს ძველ სიძლიერეს. ძველიდან გადადის ახალში და ახლიდან ძველში.

გრიგოლ რობაქიძე კარგად იცნობდა ოიდიპოსის, ჰამლეტისა და სხვათა ტრაგიკულ ფინალს და ალბათ ზოგი რამ აქედან თავისებურად მოისაზრა ამ რომანის გმირის მეკეშის სახის ძიებაში, მაგრამ გრ. რობაქიძის გმირები ეროვნული ხასიათებით და ქართული ეროვნული ძირების ძიებით, მითოლოგიური სიღრმით წმინდა ქართველი კაცის კითხვაზე უპასუხებენ: ვინა ვართ, საიდან მოვდივართ და საითკენ მივდივართ. ჩვენი ჯიშის ეს ეროვნული სატკივარი, უმთავრესი კითხვაა მისი რომანებისა და პიესებისა, რითაც მან ილიასეული “დედაშვილობის” საკითხს გვერდით ამოუყენა “მამაშვილობის” საკითხი. “მამის” პრობლემა აქ ქართული ძირების პრობლემის ტოლფასია. მამაშვილობის ევროპულ მოდელს ქართული ხასიათი მიაჩნია. მამის ძიება საქართველოს, მისი გვარ-ტომების, ქარდუს, კოლხის, ქართლის, ლაზის, მესხის, ჭანის, ხევსურის, სვანის, მეგრის და სხვათა ძირების მოძებნაა აქ თავიდათავი და მერე მისი ევროპული რაკურსით გამართვა. “მამა” ამ კონტექსტშია წარმოდგენილი. მამის კითხვა არ ასვენებს გმირს, განსაკუთრებით სპარსეთში, სულ სხვა არეში.

პასაჟებსაც ამ მხრივ მოუხმობს იგი რომანში. სპარსეთის არეში ხვლიკისფერი

ჭარბობს, საქართველოში კი — მზის ფერი.

საქართველო, - მზეს ზიარებული მისი ისტორია, სწორედ სპარსეთში, სულ სხვა გეოგრაფიულ გარემოში, უფრო უმდაფრებს მამის მოგონებას. მამის ლანდი ასჯერ გაურბენს არჩიბალდს თვალწინ, „დიახ! მამა... მამა გვარია: შორეული (ძალი) ძახილი. თითქო უკანაა და შვილს მოსდევს. შვილი გადახვევაა: განზე გარბის... თითქო თავი უნდა დააღწიოს რაღაცას... მამა! სამყაროს გეზია... აქ ყოველი ელემენტი მთელს უბრუნდება... შვილის გზა: ამცდენია-საცდენი-გადამჩეხავინეტარ არს შვილი, რომელიც მამის წიაღს უბრუნდება.... აქ არის დიდი სიხარული (1 — 45) მამა! - ეს ცნება რომანში კონკრეტდება თამუნჩოს და პაპა სარიდანის სახეებით. ეს არის რომანის ერთ-ერთი ძირეული მცნება. ამოთქმული და გააზრებული საკუთრივ ქართული ეროვნული პოზიციიდან. “მამის ” ცნებაც და ხატებაც რობაქიძემ ეროვნული ხასიათის ბირთვის შეცნობითა და გააზრებით მთელი სიმძლავრით გამოსახა ქართულ ლიტერატურაში. ეს არის სახე-პრობლემა, რომელსაც ღრმად შესწავლა და გაანალიზება სჭირდება.

რომანში ერთ-ერთი საინტერესოა ხმალი, როგორც ქართული სახელმწიფოს სიძლიერისა და ირუბაქიძეების გვარის სულიერი და ფიზიკური სიმტკიცის სიმბოლოც. ამას მიგვანიშნებს მისი სახელწოდებაც “ხალიბის ხმალი” ამით დასტურდება, რომ ქართული მახვილი უძველესია იგი ერთ-ერთი ძველი ქართული ტომის ხალიბების ხელოვნებაა, ხალიბების, რომელნიც ცნობილი იყვნენ როგორც ხმლის საუკეთესო ოსტატები, ირუბაქიძეთა გვარის ტრფიალი ხმლისადმი მოწმობს, რომ მათი წინაპრების და მთელი ერის მეომრული სული ხმალთან იყო დაკავშირებული. ვამეხი ხალხს რომ დაინახავს “მხოლოდ აინთება”. იგი რიტუალურად პროფესიონალი მეომრის თვალით ამოწმებს მის დრეკადობას, სისწორეს, მწერალი მიგვანიშნებს, რომ ხმალი ვამეხის განუყოფელი ნაწილია, მისი არსების მთავარი ატრიბუტი, იგი “პირში ჩაიდებს რკინას, გააქან-გამოაქანებს. თვალეში ხმალი აქვს თითქო” (1-82). ვამეხის ხმალთან დამოკიდებულებას, მასთან გენეტიკურ სიახლოვეს რობაქიძე მისი მრავლისმთქმელი სიტყვებით გადმოგცემს, “შვილად ღირს”. ხმალი-შვილი-მამა აქ სიმბოლურად ერთიანდება. ამასთან იკვეთება მთელი გვარის შვილის – ვამეხის და მამის – თამაზის მსგავსი სიყვარული ხმლისადმი, მსგავსი ხმარების წესები და მოქნევის დიდოსტატობა. ხმალი ერთნაირად ახელებს ორივეს.

ხალიბის ხმალი ვადაჯვრიანი, იგი ქრისტიანული აზროვნებაში ხსნისა და ბოროტ ძალთაგან დაცვის ერთ-ერთი საშუალებაა. გაყიდე სამოსელი (“იყიდე მახვილი” 6-167 ლუკა) — ამბობს უფალი.

“მამა”, “შვილი”, “სისხლის ყივილი”, “მიწის ძახილი” და სხვა ამგვარი ხატები და სიმბოლოები რომანში ამოქმედებულია იმ რწმენის, იმ ერთგულების და თავდადების გამოსახატავად, რომელიც არსებითად დამახასიათებელია ქართველი კაცისათვის. ასევე ნათლადაა გამოსახულ რომანში ქართველთა გაპარტახებისა და დაბეჩავების არაერთი ეფექტური სურათი და სახე, რომელთაგან განსაკუთრებით გამოიყოფა სარგის (სერგო) პეტრიძის სახე. საცოდავ კეთილშობილ მანიაკს, რომელიც ფიზიკური უღონობისა და სულიერი დაბნეულობის მიუხედავად, სამშობლოს სიდიადეს ჰგონებს თავის

სიკვდილის წინ სარგის ქვეყნისათვის თავგანწი-რულ გმირად ისახავს და უცხოეთის (სპარსეთის) მიწაზე სულთმობრძავი ქართულ მიწას პეშვებით იტენის პირში. სიმწრით ღეჭავს, ყლაპავს და კვნესის: “მწარე ხარ მიწავ! მიწავ ქართულო...არა ტკბილი ხარ ტკბილი, საქართველოს მიწავ!”...(1-109). კვდება შორეთში და ევედრება მეგობარს, სამშობლოს მიაბარონ მისი ცხედარი, იმიტომ ითხოვს, რომ შვილი მამის ფესვებში ე.ი. საქართველოს ფესვებში უნდა გაიწოვოს და მამას შეერწყოს სულითაც და ხორციითაც” ტოტიდან ჩიტი ვარდება და კვდება (1-109). ეს პატარა ფრაგმენტი ნაწარმოებში სიმბოლურად პეტრიძის სიკვდილია ტოტი - ხე სამშობლოა, ხოლო პატარა ჩიტი კი სარგის პეტრიძე.

“გველის პერანგში” გზის მოტივთანაა დაკავშირებული მთავარი გმირის არჩიბალდ მეკემის ძიება; იგი არის შვილი, რომელსაც სიზმრად ახსოვს საქართველო და დაეძებს დაკარგულ მამას, მაგრამ მისი მოგზაურობის მიზანი ავტორის თქმით სამსახოვანია, არჩიბალდი ეძებს მამას, მამულს, მამას უზენაესს, გრძელი და მცდელი მოგზაურობის დასასრულს, გმირს ელის ჭეშმარიტებასთან ზიარება, მისი მიგნება, ხილვა, ამას ადასტურებს რომანში გამოყენებული მრავალი ბიბლიური მოტივი, მათ შორის ყველაზე მნიშვნელოვანია აღთქმული მიწისაკენ მოგზაურობასთან დაკავშირებული ილუზიები.

რომანში მნიშვნელოვანი სიმბოლოა გველის სახე, რომელიც ოჯახის ფუძის მფარველად ითვლებოდა და სიბრძნეს განასახიერებდა, ნაწარმოებში მისი ქურქის გამოცვლა სიმბოლურად მიგვანიშნებს პერსონაჟის არჩიბალდის ფერისცვალებაზე, გველი ძველი ნეში როგორც გმირის ტოტემი, რომელიც მოასწავებს მის გარდასახვას და მზადყოფნა, ახალი ცხოვრებისათვის.

საკუთარი ორეულის შეცნობა, შიში რაღაც მიუწვდომელზე, შორეულზე, უცხოზე ფიქრი, გაუცნობიერებელი გრძნობა, რომელიც არ ასვენებს, ეს არის ადამიანის წინათგრძნობა, სული ვერ ეტევა სხეულში და ბოხოქრობს. ამას მიგვანიშნებს თქმუ-ლება: კაცი მიდის ტყეში დააბიჯებს უცხო ბალახს ფეხს, გონება აერევა, გადააბრუნებს ტანსაცმელს და ისევ ჩაიცმევს. გონზე მოდის, უბრუნდება გზნება მიმართების, ტანსაცმლის გადაბრუნება და გადმობრუნება, ეს არის მობრუნება წარსულისაკენ, იმ წარსულისაკენ, რომელსაც პერსონაჟი ვერ გაექცევა და საიდანაც მოდის რომანში გაცოცხლებული მითიური და ქრისტიანული სახე-სიმბოლოები.

ეროვნული ძირების საკითხი გრიგოლ რობაქიძის “გველის პერანგში”

“გველის პერანგში” ეროვნული ძირების საკითხი უკავშირდება პერსონაჟის ცხოვრებას, მის მოქმედებას. რომანის გმირის არჩიბალდ მეკეშის მთავარი მიზანი სწორედ მშობლიურ ძირებთან დაბრუნებაა. სიუჟეტის განვითარებაც სიმბოლურად ევროპა-აზიის გზაჯვარედინიდან, ჰამადანიდან იწყება. ამ ქალაქიდან იწყებს მოძრაობას გაევროპელებული, ემიგრაციაში გაზრდილი არჩიბალდ მეკეში, ქართულად არჩილ მაცაშვილი.

მწერალი აღწერს ამ უძველეს ქალაქს, რომლის ისტორია შორეულ შუამერულ-აქადურ წარსულში იკარგება. იგი ამით მიგვანიშნებს, რომ ქართველი ერის გენეზისი, მისი კულტურულ გენეტიური ძირები უძველესია და დედამიწის პირველ ცივილიზაციასთან არის დაკავშირებული. მეორე მხრივ გრ. რობაქიძე გვიჩვენებს პერსონაჟის გზას ევროპიდან აზიისაკენ და აზიიდან საქართველოსკენ. ამ გზით უნდა დაბრუნდეს იგი თავის სამშობლოში და დაუბრუნდეს თავის გვაროვნულ და ეროვნულ ძირებს. ამ გზით უნდა გაიაროს მან ადაპტაცია ევროპულობიდან ქართველობისაკენ.

არჩიბალდის გზა ჰამადანიდან საირმემდე მრავალმნიშვნელოვანია: მშობლიურ ქვეყანასა და ხალხთან შეგუების პროცესი, სულიერი კათარზისი, საქართველოს ისტორიის გაცნობა-გათავისება და ეროვნულ ძირებთან დაბრუნება, რაც მთლიანობაში გულისხმობს ევროპელი არჩიბალდ მეკეშის ქართველ არჩილ მაცაშვილად მოქცევას. ეს პროცესი კი ჰამადანიდან იწყება, ევროპისა და აზიის გზაჯვარედინიდან, სადაც ადამიანები ერთმანეთს ხვდებიან, მაგრამ ზოგი ერთმანეთს შორდება. ამიტომაც აქვს ჰამადანს სიმბოლურ-მხატვრული დატვირთვა. გმირი აქედან უნდა წავიდეს იმ გზით, რომელზეც იგი შეხვდება ისეთ ადამიანს, მის ფესვებთან ანუ მშობლიურ ძირებთან დაბრუნებას ხელს რომ შეუწყობს და უნდა დაშორდეს მას, ვინც ამ პროცესს ხელს შეუშლის. აქვე ჰამადანში ფერგიუს ურვოვორთან სტუმრობისას აცნობიერებს, რომ ძირები არა აქვს და შემდეგ იწყება მოგონებები მამასა და თავის ბავშვობაზე. ყაზვინში ხვდება იგი ნახევარმძას ვამეხს და თანდათან შორდება ოლდას, რუს ქალს, რომელთანაც ურთიერთობა ხელს შეუშლის ეროვნულ ძირებთან დაბრუნებაში.

ჰამადანში გაიეღვებს მამის აჩრდილი, რომლის გამოჩენაც სიმბოლურად მიგვანიშნებს ეროვნული ძირებისა და მამის წიაღის არსებობაზე. მამის ჩვენება შეახსენებს არჩიბალდს ძირების ძიებას. შექსპირის ჰამლეტით არჩიბალდს მამის აჩრდილი უძღვის თან და ყოველთვის თან სდევს. ჰამლეტის მამისაგან განსხვავებით ის ცოცხალია და ბოლოს საირმეში ირუბაქიძე-მაცაშვილების კერაზე ეცხადება შვილს. იქ ასრულებს მამა თავის მისიას დააბრუნოს შვილი გვაროვნულ და ეროვნულ წიაღში თავის ძირებთან, რაც ნიშნავს არჩიბალდის არჩილად გარდასახვას. ამასთანავე იგი

თვითონაც უბრუნდება თავის ძირებს და თავის მშობლიურ მიწაზე, თავის კერაზე დაასრულებს სიცოცხლეს.

ძირებთან დაბრუნება შეუძლებელია, თუ პერსონაჟი არ გაიცნობიერებს თავის გვარს. ყაზვინში მამის ლანდის “თაფლისფერი თვალების” მინიშნებით ხსნის კოლოფს და პეტრიძის წაკითხვით ეცნობა თავის გენეალოგიას. ეს ძირებთან დაბრუნების კიდევ ერთი ნაბიჯია მამის აჩრდილის და ძმის ნახვის შემდეგ. თუმცა ძმა ჯერ კიდევ გაცნობიერებული არ ჰყავს, მაგრამ უკვე ძმობილია. ის რომ ძმა უნდა იყოს, ამას მიუსაღლას ველზე ქვაზე ამოჭრილი წარწერა გვამცნობს:” ჩემი ძმა არყოფილი ვითარ მიყვარდეს უმეტეს მზისა და უმეტეს ხმალისა რამეთუ იყო იგი სხვა ჩემი” (1 – 3 ეს წარწერა მიგვანიშნებს აგრეთვე იმას, რომ ძმამია მისი პიროვნება განსახიერებული და მისი პოვნა, მასთან შეხვედრა და ძმური ურთიერთობის დამყარება მისი სრულქმნის, გაძლიერებისა და მშობლიურ ძირებთან დაბრუნების ერთ-ერთი მანიშნებელია.

საინტერესოა ტაბა-ტაბაის სახე — ჰინდო-სპარსი თუ მეგვიპტელი, იგი მიჰყვება არჩიბალდს და აცნობიერებინებს სამყაროსა და საკუთარ თავს. ეს უძველესი ქვეყნები ინდოეთი, სპარსეთი და ეგვიპტე, რომელთანაც დაკავშირებულია ქართველთა ისტორიული ურთიერთობა და კულტურული ძირები, სახიერდება ტაბა-ტაბაის პიროვნებაში, მასში ერთიანდება სამივე ქვეყნის პრეისტორიული რელიგიურ-ტრადიციული სული. მან უნდა გაატაროს არჩიბალდი ადაპტაციის რთულ გზაზე, დაეხმაროს და მოამზადოს სამშობლოში დასაბრუნებლად. იგი მეკეშის შეგონებას მამის არსის ახსნა-გააზრებით იწყებს. ამას ტაბაი ღრმა ფილოსოფიურ-რელიგიური მსჯელობით აანალიზებს “ყოველი ქმნილი ქმნელშია თვითონ – (გონება მიდის ზევით და ზევით)... ყოველი ქმნელი ქმნილშია თვითონ — (გონება მიდის ქვევით და ქვევით)... ხოლო ქმნილიც მეტია და ქმნელიც მეტია ქმნილზე... რაც რჩება ესაა საოცარი და საცნაური — (გონებაში “ერთი” იბადება). ერთი და თან მრავალი” (1—44). ასე ხსნის ტაბა ტაბაი მამა-შვილის ერთიანობას და ის ერთი არ არის არც მატერია და არც სული. ევროპული ანალიტიკის საპირისპიროდ იგი მატერიაცაა და სულიც. ასეთმა მსჯელობამ და ტაბაის მიერ საფონეს და მისი ვაჟის იაგვესთან ურთიერთობის ამბავის მოთხრობამ, არჩიბალდს მყისვე მამა გაახსენა.

ტაბა-ტაბაიმ არჩიბალდი უნდა გაატაროს უდაბნოში. ამ ეპიზოდში ავტორი იძლევა ბიბლიური სიუჟეტის ორიგინალურ მხატვრულ ინტერპრეტაციას. გმირი მიემართება უდაბნოს გავლით საქართველოსკენ. მოსე კი აღთქმული მიწისაკენ. უდაბნოს “გველის პერანგშიც” და ბიბლიაშიც დაახლოებით ანალოგიური — სულიერი განწმენდისა და ამაღლების ფუნქცია აქვს. მოსესადმი პატივისცემა ფიქსირდება ირუბაქიძეთა წინაპრის ირუბაქის ცხოვრებაშიც. მას “უყვარდა უფრო მოსე. იყო სულით ფიცხელი და გულით ჩვილი: როგორც მოსე” (1—87).

მოსესადმი ირუბაქიძის თვისებებით მიმსგავსებაც მიგვანიშნებს, რომ სპარსეთის ზეგანის უდაბნოს გავლა არჩიბალდისათვის სიმბოლური მნიშვნელობისაა და რომანის იდეას უკავშირდება.

მშობლიურ ძირებთან დაბრუნებისთვის ერთ-ერთი მთავარი საკითხია ქორწინება. ამ პრობლემას ავტორი მატასის მეშვეობით წყვეტს. არჩიბალდს ოლგასადმი დამოკიდებულება თანმიმდევრულად ეცვლება და მის ცხოვრებაში ადგილს თანდათანობით იკავებს მატასი, ვამეხის ნახევარ და არჩიბალდისათვის გაუცნობიერებელია მისი ნახევარი ძმის ნახევარი და. იგი სისხლით არ ენათესავება მას, ვამეხი და არჩიბალდი მამით არიან ძმები, მატასი და ვამესი კი დედით არიან და-ძმა. არჩიბალდს შინაგანი ხმა ესმის“ თქვენი დაჰც არის“. დაჰც არის მართლა?! არა. ეგებ ქალია. გულში რომ შეიჭრება?! არა. ეგებ მეგობარი?! არა. არც დაჰც — არც —სატრფო — არც მეგობარი. და იმავე დროს: დაჰც, სატრფოც, მეგობარიც” (1—168). ასეთ ფორმირებას იღებს მატასის სახე მეკემის ცნობიერებაში და ამ კონტექსტში ხდება მათი ქორწინება. აქ არ არის ოიდიპოსის ანალოგი. ოიდიპოსი დედას ირთავს ცოლად. არც “ვისრამიანის“ პრობლემაა — სისხლისმიერი და-ძმის ვიროს და ვისის დანიშვნა. უფრო მეტად პარალელი შეიძლება ნესტანისა და ტარიელის შეუღლებასთან. იმ განსხვავებით, რომ პოემაში ინდოეთის სამეფო ხელისუფლებისა და ქვეყნის მთლიანობაა მთავარი. ხოლო “გველის პერანგში” გმირის მშობლიურ ძირებთან დაბრუნება. მატასის შერთვით არჩიბალდი უბრუნდება წინაპართა კერას და ამავე დროს აღადგენს სისხლით ნათესაობის წრედს ძმასთან. სწორედ მატასის და არჩიბალდის შვილებში ერთდება ვამეხისა და არჩილის სისხლი, შვილებში, რომლებიც ბაბუა სარიდანთან თამაშობენ რომანის ფინალში.

არჩიბალდის საირმეში დამკვიდრებისათვის და ამასთანავე, მატასისთან შეუღლებისთვის გადაწყვეტი სიტყვა ვამეხს ეკუთვნის. მთავარია, როგორ მიიღებს ის იმ ფაქტს, რომ თამაზის უკანონო შვილია და როგორ პოზიციას დაიკავებს არჩიბალდისა და მატასის ქორწინებისადმი. აქ არჩიბალდი უძლურია აიღოს ინიციატივა. იგი ვამეხზე ზემოქმედებას ვერ შეეცდება, რადგან რეალობა თვით ვამეხმა უნდა გაიაზროს და გადაწყვეტილებაც ჯერ არჩიბალდთან ურთიერთობისა და მერე მისი მატასისთან შეუღლებაზე თვითონვე უნდა მიიღოს. ამ გადაწყვეტილებაზეა დამოკიდებული დარჩება არჩიბალდი მამისეულ კერაზე თუ წავა საირმიდან.

ვამეხს, რომელმაც ისე ძალიან შეიყვარა არჩიბალდი, ისე ღრმა მეგობრული და ძმური ურთიერთობა დამყარდა მათ შორის, აღარ შეუძლია დაუმვას, რომ არჩიბალდი წავიდეს მშობლიური კუთხიდან და დაეკარგოს იგი. ამიტომ მან მიიღო მეტად ეფექტური და ბრძნული გადაწყვეტილება. მატასი დაადევნა საირმიდან მიმავალ არჩიბალდს. ამ ფაქტით დადასტურდა, რომ ვამეხმა ერთდროულად ორი პრობლემა გადაჭრა: მიიღო ძმად არჩიბალდი და შერთო მას თავისი და მატასი, რითიც მას მისცა საშუალება, არა მხოლოდ დაბრუნებოდა მშობლიურ ძირებს, არამედ დამკვიდრებულიყო მამაპაპურ მამულში, რომლის ცხოვრების ტრადიციებთან იგი უკვე ნაზიარებია ვამეხთან რთველისა და სიმინდის ტეხის დროს საირმეში მისი სტუმრობის დროს.

ძირებთან დაბრუნებისა და დამკვიდრების პრობლემას უკავშირდება, აგრეთვე, ხის კულტთან დაკავშირებული რიტუალი, ნიგვზის ფესვებში გაძრომა, რომელიც გულისხმობს არჩიბალდის გარდასახვას, ანუ ხელახლა დაბადებას. ეს რიტუალი მან

შეასრულა საირმეში თავისი მამაკაპური სახლის ეზოში. ხის ფესვებში გაძრომის შემდეგ არჩიბალდი “წამოდგება ხერხემალმაგარი... არაოდეს ასეთი ძალა მას არ უგრძვნია” (1—150).

არჩიბალდის საირმეში დაბრუნებისა და დამკვიდრებისათვის აუცილებელია როგორც სულიერი, ისე გარეგნული ფერისცვალება, ეს პროცესი რომანში გველის პერანგის გამოცვლასთან ასოცირდება. გველი ქერქს იცვლის და მასთან ერთად ტოვებს განვლილ სიცოცხლეს, იშორებს ძველ სამოსს, ძველ ცხოვრებას. ტაბა ტაბაი უხსნის არჩიბალდს გველის პერანგის გამოცვლის მნიშვნელობას. “— ამაზე უფრო ნიშნეული ქვეყანაზე არა არის რა”... — ეუბნება იგი არჩიბალდს — ხედავთ!? გველმა თავის თავი დატოვა, მოიხსნა და დააგდო. აქ არის სიბრძნე” (1—271).

პერანგის გამოცვლა გველისთვის მის განახლებას, მის გარდასახვას, მის ახალი ცხოვრების დასაწყებად მომზადებას გულისხმობს. პერანგის გამოცვლისთანავე “მოსხლეტით გავარდება ხალასი ტანი, ამრეზით მიხედავს ძველ, დაგდებულ ქერქს” და გასრიალდება სწრაფად, ახალი ენერგიით აღსავსე. “სიცოცხლის ატანა ამ გზით თუ შეიძლება.... (1-272).

გველივით უნდა დატოვოს არჩიბალდმა ძველი სამოსი და ახალი სიცოცხლით ავსებულმა დაიწყოს ახალი ცხოვრება მშობლიურ კერაზე. იგი ტაბა ტაბაის მიერ გველის პერანგშემოხვეული სხეულს აღარ გრძნობს, რაც მიგვანიშნებს, რომ ფერისცვალებისა და “პერანგის” გამოცვლის პროცესს უძღვება. ტაბა ხსნის ყელიდან გველის პერანგს, რაც იმას ნიშნავს, რომ არჩიბალდი უკვე არჩილია. მისი ტოტემი, გველი განახლებული და გაძლიერებულია. ეს კი იმას ნიშნავს, რომ თვითონაც განახლებული და სიცოცხლისუნარიანია და მზადაა დაიწყოს ახალი ცხოვრება მამაკაპურ კერაზე.

რელიგიური მრწამსი მიხეილ ჯავახიშვილის “ჯაყოს ხიზნებში”

მიხეილ ჯავახიშვილი სინამდვილის მკაცრად და ობიექტურად ამსახველი მწერალია. იგი ირიალურს და მიღმურს ნაკლებად, ან სულ არ ეხება. ამდენად, როგორ რეალისტი მწერალი, იგი უყურადღებოდ არ ტოვებს რელიგიური მწარმსის პრობლემას, რომელ-იც ადამიანის სულიერი ყოფისა და ზნეობრივ-მორალური კომპლექსის ძირითადი განმსაზღვრელია.

მიხეილ ჯავახიშვილის გმირები არ გამოირჩევიან ღრმა რელიგიური სულისკვეთებით, მითოსური და წარმართული აზროვნებით, მაგრამ რელიგიური შეხედულებები და ცხოვრებაში დანერგილი წესები პერსონაჟზე დიდ ზეგავლენას ახდენს დამ ის სულიერ საყაროზე. რელიგიურობა ამდენად აუცილებელია ამ ასპექტში გმირის ცხოვრების გაშუქება.

მიხეილ ჯავახიშვილის პერსონაჟები ძირითადად ქრისტიანულ ფონზე წარმოგვიდგებიან დადებით ან უარყოფით გმირებად. “ჯაყოს ხიზნები” ამ მხრივ საინტერესო რომანია მწერლის შემოქმედებაში. “ჯაყოს ხიზნებში” განვითარების სიუჟეტის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ ნაკლებ საინტერესო მოგვეჩვენება სარწმუნოებრივი საკითხები, მაგრამ იმდენად რელიეფურადაა გმირები დახატული, რომ სასურველია გაირკვეს რომელი ქრისტიანული წესები ფუფურიერებს რომანში. რომელი რელიგიური წესები ირღვევა ჯაყოს ველური სიხარბისა და მარგოს ქვეცნობიერი თუ გაუცნობიერებელი მოქმედებებით. ფაქტია, რომ უღმერთო, ურწმუნო ადამიანი ყაჩაღი და მტაცებელია. მის ხასიათს განსაზღვრავს უღმერთობა. აქედან ჩანს რომანში ჯაყოს ბოროტება. ხოლო შინაგანად მორწმუნე, ჩვეულებრივი ქმრისთვის წარმოუდგენელია უმსგავსობა და უზნეობა. ეს არის თეიმურაზ ხევისთავის არსებითი ტრაგედია. იგი გამოუვალ მდგომარეობაშიც ზნეობრივად სუფთა, უბოროტო და დაბნეულია, მაგრამ რელიგიურად ჭეშმარიტების გზაზე დგას. ასეთი საპირისპირო სახეებია რომანში ასახული ჯაყოსა და თეიმურაზის სახით. ორი გზა – გზა ყაჩაღისა და გზა უფლისა. ბარაბასი და ქრისტესი.

ჯაყოსათვის არავითარი ნორმა არ არსებობს, არც რელიგიური, არც ზნეობრივი. თელავს ნათელმრონის სიწმინდეს. თუმცა ქვეცნობიერად გრძნობს ნათლიობის მნიშვნელობას. რადგან თავად სთხოვდა თეიმურაზსა და მარგოს შვილების მონათვლას. მაგრამ მისთვის არავითარი მნიშვნელობა არ აქვს მარგო ნათლიდედაა, თუ ნათლია. მისთვის მარგო ქალია, მის დასაუფლებლად უხეშ ძალას იყენებს. მწერალი მწარე სინამდვილეს დაუფარავად აღწერს. “მარგოს ნათლიმამა დინჯად ცდილობდა ნათლიდედის დამორჩილებას. დაუნდობლად სთელავდა, ხელ-ფეხს უმტვრევდა”. (14-66)

ხალხური გამოთქმაა – ნათელმრონი ცხრა თაობას სწვდება, დედამიწვილობა შვიდსო. ჯაყომ ეს ხალხური მცნება პირველივე საფეხურზე გათელა. ჯაყო არღვევს ჯვრისწერის წმინდა წესებს, ჯერ ერთი მეოთხეჯერ იწერს ჯვარს – ირთავს მეითხე ცოლს, ოთხჯერ ქორწინება ქრისტიანული კანონით დაუშვებელია, ამას მართმადიდებელი ეკლესიაც კრძალავს, კათოლიკურიც და პროტესტანტულიც. მეორე, უფრო მიუტევებელი ცოდვაა ნათლიაზე ქორწინება. ნათელმრონით დაკავშირებული ოჯახების შორეული ნათესავების ქორწინებაც კი მიუღებელია ქრისტიანული საზოგადოებისათვის.

ეს ცოდვა, ბუნებრივია, მარგისაც აწვება ტვირთად. მარგო სექსისა და კომფორტის ტყვეობაშია. ის ჯაყოს ცოდვათა თანაზიარი და მონაწილე ხდება ლიახვის პირას გატარებული ღამის შემდეგ. ერთ ღამეში ეცვლება მარგოს ჯაყოს ხელყოფით შელახული თავმოყვარეობის შეგრძნება სექსუალური კმაყოფილებით. რიჟრჟზე, “როდესაც ჯაყო კიდევ ერთხელ აცოცდა ურემზე, იმ ჩარდახიდან კვილისა და ტირილის ნაცვლად დედაკაცის ვნებიანი კვნესა და თავდავიწყებული ბოდვა მოისმა”. (14-88)

ამ ფაქტმა განაპირობა სათნო, ქრისტიანული სულის თეიმურაზის უარყოფა და ველური ჯაყოს არჩევა. თეიმურაზის გვერდით ერთ სარეცელში ჯაყოსთან სექსი, მარგოს მხრიდანაც დიდი ცოდვა იყო. საკრალური კავშირის შელახვა, შებილწვა ნაკურთხი ინტიმისა, უარყოფა და დამცირებაა სუსტი, ცხოვრებისგან დევნილი თეიმურაზისა.

პრაქტიკული თვალთ თუ შევხედავთ, თეიმურაზის უმოქმედობა კრიტიკას ვერ უძლებს, მწერალმა “დაგვიხატა უნიათო, უმაქნისი ადამიანი თეიმურაზ ხევსთავი”. (18-79).

მაგრამ, რელიგიურად თუ გავიაზრებთ, თეიმურაზი წამებული მსხვერპლია, თუმცა, ეს თვითონ გააზრებული არა აქვს. ჯაყო მთლიანად სატანურია, ქრისტეს არც ერთ მცნებას არ ასრულებს. იგი ნახევრად ნადირია, ნახევრად ადამიანი. მარგო, გარკვეულწილად, არღვევს მცნებას “არა იმრუმო”. მისი საუბარი ჯაყოსთან ნაშინდარის გზაზე ურმით მგზავრობისას ერთგვარი ბიძგი იყო ჯაყოსათვის მარგოს დასაუფლებლად. თუმცა, ეს საუბარი მარგოსათვის შეიძლება ქალური ინტერესით იყო განპირობებული.

“— მე რომ შენი ცოლი ვყოფილიყავ, როგორ შემინახავდი?” (14—62). ეკითხება მარგო ჯაყოს. გაბადრული ჯაყო ჩამოუთვლის მარგოს ყველა სიკეთეს, რის გაკეთებაც შეეძლო. სამოსელი, სამკაული, კომფორტი - “ნეტა მართლა შენი ცოლი ვყოფილიყავი ჯაყო”, - (14—62). იცინის მარგო.

ასე ნებით თუ უნებლიეთ, ქალური ცნობიერებით თუ კეკლუცობით უბამს მხარს მარგო ჯაყოს განზრახვის განხორციელებაში. ამას ისიც გვაფიქრებინებს, რომ თბილისში სტუმრად მისული ჯაყო სადილის დროს ხშირად მარგოს მუხლებზე დაჰკრავს ხოლმე ხელს. შემდეგ მოიწვია ნაშინდარში საცხოვრებლად. მარგომ იგრძნო ჯაყოს ფარული მიზანი და მისახვედრად გააფრთხილა თეიმურაზი “თუ შენი საქმე უარესად წავიდეს, მე ნურაფერს დამაბრალებ” (14—55). ამის შემდეგ, პირისპირ ჯაყოსთან,

ლიახვის ხეობაში, ისეთ მხიარულ საუბარს მართავს ინტიმურ საკითხზე, ჯაყო ალბათ არ ელოდა მარგოსგან მსგავს პასუხს, რადგან კმაყოფილებით აღფრთოვანებული “კინაღამ კოფოდან გადმოვარდა”.

ჯაყომ ველური ძალით გააღვიძა მარგოში მიძინებული მდედრი. მარგომ ლიახვის პირას ჭალაში პირველად იგრძნო “ცხოვრების ერთი საუნჯე, რაც თეიმურაზმა თავისი უმი ვნებით ათ წელიწადში ვერ გაუთბო მარგოს, ტყიდან გამოვარდნილმა ნადირმა, - ჩაკირულმა ჯაყომ – ათ წუთში აუდულა და აუჩქროლა” (14—68).

ამ დღიდან იღვიძებს მარგოში სექსი და იძინებს ღვთის შიში. იბუდებს მასში სატანური და იდევენება უფლისმიერი საწყისი. ამიტომ ჩაიხუტა მარგომ “ფაშვნიერი ჯაყო”, მძინარე ქმრის სარეცელზე. “იქვე თეიმურაზის გვერდით”.

მარგოს გააზრებული აქვს თავისი მოქმედება, ის გრძნობს, ეს ღმერთის წინაშე ცოდვა იყო და სატანის ცდუნებით იყო განპირობებული.

რელიგიური ტრადიციების იგნორირება 20-იანი წლების ღვთის უარყოფის პოლიტიკით იყო გამოწვეული. მღვდლები უძლურნი იყვნენ წინ აღდგომოდნენ ძალადობას, უფრო მეტიც, დიდმა ნაწილმა ანაფორა გაიხადა, მსგავსი ეკლესიის მსახურთა განსახიერებაა ნახუცარი ივანე, რომელიც თვლის, რომ დროის კარნახით მოქმედებს. დროზე მიხვდა, რომ მღვდლად დარჩენა უაზრობა იყო და “ხალხს დაუბრუნდა”. ხუცესი ეკლესიას ნებით ტოვებს, იმ დროს როცა ცეცხლით და მახვილით ვერ უნდა დაატოვებინონ სალოცავი და მღვდლის წმინდა სამოსი, მაგრამ უღმრთო ათეისტურმა ცხოვრებამ გამოიწვია მათში რწმენის შერყევა. ვინც დარჩა ეკლესიაში აღარც ისინი ჰგავნან საეკლესიო მოღვაწეებს, სჯულის მღებელთა და სჯულის დამცველებს. ჯაყო დაბეჯითებით ეუბნება თეიმურაზს ქალის და კაცის თანასწორობაზე კამათისას, “ჯაყომ სამჯერ დაიწერე ჯვარი და ღვდელმა სამჯერ გითხრა ეკლესიაში, რომ ქმარმა ცოლი უნდა დავაშინო” (14—93).

მღვდელი ამ შემთხვევაში საკრალურ რიტუალს არღვევს, ძალადობისკენ მოწოდება სიყვარულის ნაცვლად უარყოფაა ქორწინების საიდუმლოებისა. რელიგიური ცხოვრების შინაგან რღვევაზე მეტყველებს, ის ფაქტიც, რომ ერთი და იგივე მღვდელი ჯაყოს მეოთხეჯერ დასწერს ჯვარს და აკურთხებს ჯაყოს ქორწინებას. მისი შვილების ნათლიაზე, ე.ი ნათლია და ნათლიმამა დააქორწილა, ეს ქრისტიანული კანონების სრული უარყოფაა, რაც ამ პერიოდის სასულიერო პირების დეგრადირებას, საეკლესიო ცხოვრების დაცემას მოწმობს.

თეიმურაზი ასეთმა უღმრთო ცხოვრებამ “მოღუნა”, თუმცა, ვერ გატეხა, ვერ აიყოლია უზნეობის და ძალადობის ნაკადმა. იგი ინანიებს თავის უგულისყურობის გამო. მიუხედავად იმისა, რომ კარგად იცის ეს არც დანაშაულია და არც ცოდვა. მაგრამ თავისი გულუბრყვილობით, უზნეობის ცოდვას ზემის საშუალება მისცა. ბევრს მსჯელობენ თეიმურაზი და ივანე ქრისტიანობასა და ქართველთა წარმართობაზე, მაგრამ ისინი ქრისტიანული მორალის მატარებელნი არიან. ივანე შეცვლილი შეხედულებებით – თეიმურაზი მიმტევებლობით და ბედისადმი შემრიგებლობით. ის მხოლოდ პოლიტიკურ მრწამსს არ იცვლის. ადამიანებთან ურთიერთობას იგი ახალი

თვალთახედვით მას შემდეგ შეხედავს, როცა სახარებაში მოცემულ მცნებებს გაიაზრებს. სახარებამ აუხილა თვალი, რომ ჯაყოს ბოროტება დაენახა. მათეს სახარებაში ჰპოვა მან ის, რაც მის ტანჯულ სულს შვებას მისცემდა. რწმენასა და ურწმუნოებას შორის ზღვარს გაავლებდა. მათეს მეშვიდე თავი და წირვის შემდეგ მღვდლის მიერ მითითებული პირველი მუხლი, “ნუ განიკითხავთ, რათა არ განიკითხოთ”, დიდ ზემოქმედებას ახდენს თეიმურაზზე. “თეიმურაზმა იმ დღეს სულის სიცხე გაინელა, ოდესღაც მორღვეული რწმენა გაუმთელდა” (14—169).

შინაგანად ქრისტიანმა ახლა კარგად გაიცნობიერა თავისი რწმენა. მიესადაგა მის სულს. იგი არც ბუნებით იყო მკვლელი და სახარებამ უფრო სრულყო მისი ქრისტიანული ჰუმანიზმი, მიმტევებლობა და მოშიში ბუნება, რომელიც ნაშინდარში ნანახი ტრაგიკული სურათის შემდეგ მარგოს დაკარგვასთან ერთად კვლავ შეირყა.

“ჯაყოს ხიზნები” ასახავს 20-იანი წლების ძალმომრეობისა და ათეისტური პოლიტიკით განპირობებულ ვითარებას. პიროვნების დათრგუნვა სოციალური ნიშნისა და პოლიტიკური შეხედულებების მიხედვით იმ პერიოდში ჩვეულებრივი მოვლენა იყო. რაც კიდევ უფრო ამწვავებდა რელიგიურ პრობლემას.

პოლემიკურ-პატრიოტული პათოსი ალიო მირცხულავას 20-იანი წლების პოეზიაში

ალიო მირცხულავა პროლეტარული მწერლებიდან ერთ-ერთი გამორჩეული შემოქმედია, იგი თავისი ნიჭით, პოეტური აზროვნებით და ეროვნული ხედვით სათანადო ადგილს იმსახურებს ქართული პოეზიის ისტორიაში. მის ლექსებში ასახული საბრძოლო პათოსი და შემართება დღევანდელი გადასახედიდან ნაკლებმნიშვნელოვანია, მაგრამ მხატვრული სახეები, პოეტიკა, პრობლემატიკა დღესაც საყურადღებოა მკითხველისათვის.

ალიო მირცხულავა თავისი ეპოქის შვილია და მის შემოქმედებაში ასახულია სინამდვილე, რომელიც გამოხატავს 20-იანი წლების ცხოვრების არსს. ეს კი გულისხმობს ამ პერიოდის სულიერი ყოფის წარმოჩენას. პოეტი პატრიოტულ საკითხსაც ახალი ეპოქის იდეებს უკავშირებს. მისთვის ქვეყნისა და რევოლუციისთვის ბრძოლა იდენტურია.

“ალიო მირცხულავამ “მოიტანა” ლიტერატურაში ბრძოლისა და შრომის, სიჭაბუკისა და სილამაზისა, მამაცობისა და სიყვარულის, გამირობის იდეები და იდეალები” (20-175).

1924 წელს გამოცემულ ა. მირცხულავას ლექსების პირველი კრებულში “მერეხი” ასახულია ცხოვრებისეული სინამდვილის ისტორიული სიტუაცია, რომელიც შეიქმნა ახალი ხელისუფლების დამყარების შემდეგ. განსხვავებით სხვა პროლეტარული პოეტებისაგან, იგი გაბედულად უმღერის სამშობლო საქართველოს.

მიუხედავად იმისა, რომ რაპელები ებრძოდნენ ეროვნულ საკითხს და სიტყვა “საქართველოს” ხსენება მიუღებლად მიაჩნდათ, ა. მირცხულავა თავის პირველ წიგნში შეტანილ ლექსებში ხშირად ახსენებს სამშობლოს. ერთ-ერთ ლექს სათაურად აქვს “საქართველო”. ამ პერიოდში იწერება ლექსები, “მტკვარისტანი”, “ძველი მაზარა”, “ჩემი ცხოვრების მთავარი თემა”, “ავტოპორტრეტი”, “მოგზაურობა საჰარაში”, “ნახტომი მზისკენ”, “პასუხი მოგონებებზე” და ბევრი სხვა, რომლებიც თავისი მხატვრული დონით პოეტიკით და პრობლემატიკით უდავოდ მიეკუთვნებიან ქართული პოეზიის საგანძურს. ა. მირცხულავა “ჰუმანურ-ეროვნული” იდეებით მსჭვალავს თავის პოეზიას (24-21).

ლექსში “ძველი მაზარა” დიდი ექსპრესიით არის გადმოცემული ბრძოლით გავლილი დროითა და დაღვრილი სისხლით გამოწვეული განცდები, რწმენა და გამარჯვების იმედი. ამავე დროს შეინიშნება ეჭვი მიზნისა და ბრძოლის შედეგებზე.

“ორივე ხელით ამოვთხრი

საკუთარ თვალებს,

ამდენმა ბრძოლამ უშედეგოდ

თუ ჩაირა”.

უშედეგო ბრძოლა თუკი სიკეთეს არ მოუტანს ერს ან არ გამოიღებს სასურველ

შედეგს, ლირიკული გმირის სასოწარკვეთას იწვევს, მის შემართებას ჩრდილს აყენებს, ეს კი ამ მგზნებარე მებრძოლისთვის ტრაგედიაა., მას გარდასულ ბრძოლაზე მწარე სინანული ეუფლება, რადგან სიამოვნებას არ გვრის საბრძოლო მოგონებები.

“აქ მახსოვს ქვებიც
მე კიბლებით დამიკბენია,
ხშირად ვყოფილვარ
ჩემი სისხლით პირმოშხამული”.

“პოეზია უნდა მიიკვლევდეს გზას ადამიანთა სულისა და გულის კოსმიური სიღრმისაკენ, როგორც ადამიანისა ადამიანობის მუდმივი გამოვლინება” (23-79).

“პოეტი კაპიტანი” ასახავს პოეტისა და საოკეანო გემის კაპიტანის შედარებას. კაპიტანს, რომელიც თავისი საქმის უნივერსალური ცოდნისა და დიდი ნებისყოფის წყალობით ეკიპაჟის ნდობასა და პატივისცემას იმსახურებს. ავტორი სრულად ორიგინალურად წარმოგვიდგენს პოეტის დანიშნულებას და პოეზიის ფუნქციას.

ლექსში ერთგვარი პოლემიკაა “თანამგზავრებთან”, რომლებმაც არ იციან, სად მიდის გემი და პოეტურ პაექრობაში იწვევს მათ: “მტრების პირისპირ დავდგეთ ცეცხლის ბარიკადებად და ქარქაშიდან ამოვზიდოთ ლექსის მახვილი”.

პოეტი წინააღმდეგია ლიტერატურაში არალიტერატურული ბრძოლისა, “ლექსებს ებრძოდნენ და მახვილი მე მომხვედრია, ახლაც მატყვია ვარსკვლავით გულში ჭრილობა”. იგი წინა პლანზე აყენებს ლექსის ფორმასა და მხატვრული გამოსახვის პრობლემას. ისე მისთვის ბრძოლას ხალისი არ აქვს.

“რად გინდა ლექსი, რომ ფეთქავდეს
ბრძოლის ხალისით,
სიტყვა ღარიბი თუ ჩააცვი
ტანზე ჩვრებივით,
არის თუ არა ვინმე ისე
შესაბრალისი,
როგორც პოეტი
ცხოვრებისგან ჩამორჩენილი?”

ეს იყო სიტყვითა და კალმით ბრძოლა და ჭიდილი. ა. მირცხულავა ებრძოდა არა მარტო ფუტურისტებს და სიმბოლისტებს, არამედ “მემარჯვენე რაპპელებსაც”, რომლებიც გამოდიოდნენ პატრიოტული და ეროვნული მწერლობის წინააღმდეგ. თავს ესხმოდნენ ყველას, ვინც კი საქართველოს ახსენებდა. რაპპელთა განგაშს საქართველოს ხსენებაზე პოეტი არაფრად თვლიდა და კვლავ წერდა ლექსებს საქართველოზე:

“გთხოვთ, ამის შემდეგ
თუ მიწოდებთ
ქართველ პატრიოტს,
რომ ვადიადო
საქართველო
თავის უბნებით,

ის ამ გულშივე
აღმართული
დგას საპატიოდ —,
როგორც სამშობლო
შრომისა და
თავისუფლების”.

ეს ლექსი მოწმობს, თუ რა მნიშვნელობას ანიჭებდა პოეტი ქართულ სიტყვას, სამშობლოს ცნებას პოეზიაში. ასეთ წინააღმდეგობაში ჩამოყალიბდა ალიო მირცხულავა როგორც პოეტი, მოქალაქე და პატრიოტი.

კვლავ ლექსით მებრძოლი გმირი ჩანს პოეტის ერთ-ერთ საინტერესო ავტობიოგრაფიული ხასიათის ლექსში “პასუხი მოგონებებზე”. ეს პირადული განცდა აქაც განზოგადებულ ელფერს იძენს:

“მე ვიბრძვი მაინც
ბნელ წარსულზე ამბობებული,
დღეს ჩემი ციხე და სიმაგრე
ხალხის გულია —,
ლექსიც, გულიდან
მახვილივით ამოღებული
ნაწვიმარ სისხლის
სტრიქონებით დაღარულია!”

ბნელ წარსულში საქართველოს წარსულს არ გულისხმობს. აქ სიყვარულის განცდა და მოღალატე სატრფოსთან ურთიერთობის წარსულზე ლაპარაკობს პოეტი. ამ ლექსში კვლავ ბრძოლაა, ბრძოლა ლექსით და არა ფიზიკური ძალით ან საომარი იარაღით. ეს რომ სიყვარულში შეჭრილი სოციალური საკითხით გამოწვეული ტკივილია, ნათლად ჩანს შემდეგ სტრიქონებში:

“წადი! აწ შენი მკრთალი სახე
არ მეყვარება,
ჩვენ სამუდამოდ განვაშორებს
გზაჯვარედინი,
უნაყოფოა
შენი გვარის გადაგვარება,
გიყურებ, როგორც
საქართველოს ჯალალ-ედინი!”
იცოდე ბოლო გამარჯვება
ისევ ჩვენია
მე ისევ მძულხარ მოღალატევ,
ზიზღით გიგონებ, —
შენს მეგობრობას, შენს სიყვარულს
დღეს მირჩვენია

ამ ჩემი ლექსის
დატეხილი
ერთი სტრიქონი!”

ალ. მირცხულავას ლირიკული ლექსები თავისი ჟანრული სიახლეებითა და კონკრეტულობით იქცევენ ყურადღებას. ამ მხრივ რომანტიული შთაგონებით და ბუნების ძლიერი განცდით გამოირჩევიან ლექსები: “ზღვა”, “ჩემი ცხოვრების მთავარი თემა” და სხვ.

“მთვარე,
ქარავანს ჩამორჩენილ ბედუნივით,
ცის უდაბნოში
მოქანცული მიემგზავრება”.

.....
დავეძებ თვალებს,
ჩამირულებს წყალში ქვებივით,
წყლიდან ვარსკვლავნი
თევზებივით იხედებიან”.

პოეტს სწორად არ მიაჩნია ის აზრი, რომ თითქოს ცალკე არსებობდეს პოლიტიკური, სოციალური და ფილოსოფიური პოეზია. მისი აზრით, არსებობს მხოლოდ სოციალური ეპოქა, რომელშიც მოცემულია პოლიტიკაც და ფილოსოფიაც. ამ მთლიანობის დარღვევის შედეგად შემოქმედი ქრება. ამიტომ არც აზრისა და ემოციის ცალკე დაყოფას არ სცნობს პოეზიაში. მის ლექსებში აზრი და ემოცია ერთადაა. აზრი ნაგრძნობი და განცდილია ავტორის მიერ. ამდენად, მისი ემოციურად და მკვეთრად გამოხატვა მისთვის რთული აღარ არის. ჭეშმარიტ მაღალ აზრს იგი სოციალურ პრობლემებში ხედავს. სოციალურ ფონზე გადმოცემული აზრია ძირითადი. აქედან ჭკრეტს იგი პატრიოტულ და პირადულ საკითხს. ეს ყოველივე მხატვრულ ფორმაშია მოქცეული და ვიზუალურად ნაკლებად ჩანს, მაგრამ იგრძნობა.

ალ. მირცხულავას პოეზია ბუნებრიობისა და ზომიერების გრძნობის ჰარმონიაა. მასში განზოგადებული ხასიათი ინდივიდუალური და ეროვნულია. ინდივიდუალურ აღქმაშია მისი შემოქმედებითი ძალა და თავისუფლება, აქედან ამოდის ზოგადი შინაარსი.

პოემა “მე და ბარათაშვილი”, რომელიც დაიწერა 1924 წ. ავტორმა 1971 წ. თავის რჩეულ ორტომეულში შეიტანა. ეპიგრაფში უწერია: “რაც შეეხება ზოგიერთ თანამედროვე მწერლისადმი ჩემს პოლემიკურად გამახვილებულ დამოკიდებულებას, ეს მაშინდელი ლიტერატურის ძალთა განწყობილების შედეგია”. პოემის ირგვლივ სხვადასხვა შეხედულებები შეიქმნა დაწერისთანავე. ერთი ნაწილი პოეტს თამამ და ფამილარულობას კადნიერებად უთვლის, ზოგი პირიქით, ლიტერატურული დაპირისპირებით ხსნის პოემის პოლიტიკურ პათოსს. რომანტიზმის უპირველეს პოეტთან ავტორის გაბაასებას მიზნად ნ. ბარათაშვილის დამცირება არ ჰქონია. “პირიქით, — წერს პოეტი - ამ პოლემიკური ნაწარმოების ყოველი სტრიქონი

გამსჭვალულია ნ. ბარათაშვილისადმი ღრმა სიყვარულით” (21-15). მართლაც, ავტორს არ გადაულახავს ნ. ბარათაშვილისადმი მოწიწების გრძნობა:

“ოდესღაც მწირი შენი ლექსებიც,
მოხეტიალე ხალხის მთაბარად,
ყველა გვიყვარს ჩვენ, ვეალერსებით,
ხალხის გული აქვთ თავშესაფარად”.

მიმართავს პოეტი ნ. ბარათაშვილს და ამავე დროს კრძალვით იბოდიშებს მისი ლანდის შეწუხებისათვის.

“გთხოვ მაპატიო - ქებით და კვნეხნით
თავს რომ გაწონებ სიტყვამრავალი”.

პოემაში შემდეგ დახასიათებულია სხვადასხვა ლიტერატურული ჯგუფები და პოლემიკის ცეცხლში ატარებს სინამდვილისადმი ორჭოფულ პოზიციას. იგი გალაკტიონს განსაკუთრებული პატივისცემით იხსენიებს. “გალაკტიონი თუმცა დაობლდა, ბედის წინაშე მაინც დიდია”. პოემას ლაიტმოტივად მიჰყვება პოეტის მტკიცე და ურყევი ლიტერატურული რწმენა.

“ვინ? მამაშვილი? ჰქუხს და გუგუნებს,
ღელავს ცხოვრების ზღვა ოქროსფერი,
(ლექსებს ვუმღერი ამ საუკუნეს,
და ლექსებშივე დგას ოქტომბერი)
მე შემოველი პოეზიაში
რევოლუციურ აზრით, განცდებით,
და მყუდროებას შემოვესიე
ჩემი ლექსების ჯარისკაცებით”.

რევოლუციური განწყობილება არ ჩაითვლება ლექსის საუკეთესო მხარედ, მაგრამ იგი საინტერესო და მდიდარია მკაფიო მხატვრული სახეებით, ამასთანავე იგი ბრძოლის პოეტურ ასპარეზზე, ლიტერატურულ ფონზე წარმართავს, რაც თავისთავად 20-იანი წლების ულმობელ სინამდვილეში ჰუმანიზმის გამოხატვაა.

ალიო მირცხულავა მკვეთრად გამოკვეთილი მებრძოლი იყო როგორც პოეზიაში, ისე ცხოვრებაში. საბრძოლო პათოსის მხატვრული სახეებით ასახვა ძლიერ შთაბეჭდილებას ახდენს მკითხველზე. ბრძოლის ეს დაუცხრომელი ყინი, როგორც პოეტის, ისე ადამიანის ერთ სიბრტყეზეა წარმოდგენილი მის ლექსებში. ამ მხრივ გამოირჩევა ლექსი “ჩემი ცხოვრების მთავარი თემა”:

“მე ბრძოლის გარდა რა მყვარებია,
რომ მადარდებდეს ხმა მწუხარების,
ბრძოლით გავლილი ნაპრალებია
ნაოჭიანი შუბლის ღარები!
მივალ იქ, სადაც ნახშირ კლდიანი,
ტრიბუნებივით დგანან მკერდები,
მე, როგორც ერთი ადამიანი,

ბრძოლას ბოლომდე შევაბერდები!

(“ჩემი ცხოვრების მთავარი თემა”).

ბრძოლა ალიო მირცხულავას სტიქიაა, მისი გატაცებაა. პოეტისათვის არ უნდა იყოს სასურველი ბრძოლა, მაგრამ იმდროინდელი იდეოლოგიური მრწამსი განაპირობებდა შემოქმედის პრინციპს. თუმცა ა. მირცხულავა უკვდავების ბრძოლის ველზე კი არ ხედავს, არამედ მის ლექსებში, რომელიც დარჩება ავტორის დალუპვის შემდეგ.

და რომ დავეცე, ბრძოლის ვერანი,

მკორტნდეს მტერთა რაზმი წყეული,

დარჩება ლექსი, როგორც მერანი,

ბრძოლის ველიდან გამოქცეული!

(“ჩემი ცხოვრების მთავარი თემა”)

ლექსი “მოღალატე” უფრო მკვეთრად გამოხატავს ბრძოლებში გაქვავებული და გასასტიკებული მეზრძოლის ხასიათს. მოღალატეს ხშირად სიკვდილით სჯიან, ეს ბრძოლის კანონია. მაგრამ ამ ლექსში დაუნდობლობა, სადიზმი, კაცის კვლით გამოწვეული აღმაფრენა აპოთეოზს აღწევს. აქ ფიგურირებს 20-ანი წლების ბოლშევიკი ლიდერის ს. ორჯონიკიძის სიტყვები.

“ნუ გვირჩევთ შებრალებას,

ნუ ამბობს სიყვარულზე,

მასაც სიკვდილს დავაწერთ

მკერდზე ცხელი ტყვიებით. —

ო, ღირსი ხარ სიკვდილის,

ო. ღირსი ხარ ტყვიების —

გაბრაზებით დაგეძებს

მაუზერის თვალები”. (“მოღალატე”)

ასეთი მკვეთრი მეტაფორა გამოიყენა ავტორმა მოკვლის ჟინის გამოსახატავად. რაც თანამედროვე მკითხველზე შემზარავად მოქმედებს. ეს ა. მირცხულავას იმ პერიოდის შემოქმედების პოეტური სტილია. ხასიათის გადმოცემისას მხოლოდ სიტყვებით არ კმაყოფილდება და მხატვრულ სახეებს იყენებს რევოლუციური განწყობილებისა და თუნდაც არარომანტიული, მკაცრი, რეალურ სინამდვილეში მომხდარი ფაქტების გადმოსაცემად. ძნელია გავიაზროთ რომელი კატეგორიის მორალატეა ლექსში ნაგულისხმევი.

ალიო მირცხულავას რევოლუციური განწყობილება და 20-იანი წლების პოლიტიკური პათოსი ისტორიამ შთანთქა, ის იმ სასტიკ ეპოქასთან ერთად არა სასიამოვნო მოგონებად იქცა, მაგრამ მისი შექმნილი მხატვრული სახეები. პოეტური შემართება და ეროვნული სულისკვეთება დარჩა ქართული პოეზიის ისტორიაში.

ირაკლი აბაშიძის 60-იანი წლების ლირიკა

60-იან წლებში ორი დიდმნიშვნელოვანი მოვლენა აღინიშნა ქართული მწერლობის ისტორიაში. ეს იყო შოთა რუსთაველის 800 და ვაჟა-ფშაველას 100 წლის იუბილე. ათეული წლების განმავლობაში ვაჟა-ფშაველას შემოქმედებისადმი საბჭოთა ხელისუფლების მხრიდან მტრული ტენდენციური დამოკიდებულების შეცვლის შემდეგ, პოეტის დაბადებიდან 100 წლისთავის ზეიმი იყო ქართული პოეზიისა და თვითონ ვაჟა-ფშაველას დიდი გამარჯვება. ვაჟას ლექსებისა და პოემებისადმი ინტერესი არნახულად გაძლიერდა, რაც ხელს უწყობდა მთიელთა ახალ-ახალი თაობების შემოქმედებითი ნიჭის გამოვლენასა და მოძალეხას პოეზიაში, რომელთაგან ბევრმა თავისი ნათელი კვალი დააჩნია ქართულ ლიტერატურულ ცხოვრებას.

ქართველი ერისა და ქართული კულტურის ისტორიაში უდიდესი მოვლენა იყო შოთა რუსთაველის 800 წლის იუბილე. ქართული პოეზიისადმი ასეთი დიდი ინტერესი მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნების მხრიდან არ ახსოვს საქართველოს. მრავალი ქვეყნის დელეგაცია ეწვია ჩვენს სამშობლოს. ამდენი უცხოელი სტუმარი, ამდენი ქართველოლოგი ერთად არ ენახა ქართველ ხალხს. ეს იყო შოთა რუსთაველისა და ქართული პოეზიის ჭეშმარიტი ტრიუმფი მსოფლიო მასშტაბით. რუსთაველის სახელი ყველა პოეტის შთაგონების წყაროდ იქცა. უამრავი ლექსი მიეძღვა დიდ პოეტს, მათ შორის განსაკუთრებული ადგილი ქართულ პოეზიაში უკავია ირაკლი აბაშიძის ცნობილი ლექსების ციკლს “რუსთაველის ნაკვლევზე” და “პალესტინა, პალესტინა”. ი. აბაშიძე წარმართავდა რუსთაველის იუბილეს. მან საფუძვლიანად შეისწავლა სამეცნიერო წყაროები და ზეპირი გადმოცემები რუსთაველის ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე. იმოგზაურა ინდოეთში, პალესტინასა და იერუსალიმში. რუსთაველის ნაკვალევის ძიებაში შექმნა ის შესანიშნავი ლექსები, რომლებიც შეტანილი იქნა ზემოთხსენებულ ორ ციკლში, რომლითვისაც ავტორს მიენიჭა რუსთაველის სახელობის პირველი პრემია.

ირაკლი აბაშიძე 60-იან წლებში აბსოლუტურად განთავისუფლებულია პროლეტკულტელთა ტენდენციებისაგან, რაც 30-იან წლებში მნიშვნელოვან გავლენას ახდენდა მის შემოქმედებაზე. ამ ლექსებში ერთდროულად გადმოცემულია სამშობლოს სიყვარულის უზენაესი განცდა, ქართული სიტყვის პოეტური ძალა და მშობლიური ენის სადიდებელი ჰიმნი.

პოეტი იყენებს ორიგინალურ მხატვრულ ხერხს ჩანაფიქრის გადმოსაცემად. იგი თვით გენიალურ პოეტს ამეტყველებს, ალაპარაკებს მეოცე საუკუნის მკითხველთან. ჩვენს ცნობიერებაში ცოცხლდება რუსთაველი, გვესმის მისი შთამაგონებელი ხმა. ჩვენ გადავდივართ მეთორმეტე საუკუნეში მეოცე საუკუნის ცნობიერებით. ამ გზით აღწევს ავტორი მაქსიმალურ დამაჯერებლობას. ძნელია მოძებნო სიტყვები, რომელსაც დიდი შოთა იტყოდა, ძნელია ის აზრები და ფიქრები მიაწერო რუსთაველს, რომელიც მას

შეძლო ჰქონოდა. ამისათვის საჭიროა დიდი პოეტური ფანტაზია და განჭვრეტის უნარი. ამასთანავე, უნდა გრძნობდე მის სუნთქვას. უნდა გაითავისო მისი იდუმალეობით მოცული ცხოვრება.

ეს, ყოველივე, ი. აბაშიძემ რუსთაველის ნაკვალევის დიდი ხნის ძიების შემდეგ შეძლო. ვიდრე იგი პალესტინისა და იერუსალიმს ეწვოდა, მანამდე აისახა ეს პროცესი ლექსებში “ფესვები”, “რუსთაველის ნაკვალევზე”, “რუსთაველის ხმა ყრუ ტრამალებში”, “მერცხლები” და სხვა. ეს იყო ერთდროულად ძიება შოთას ნაკვალევისა და ძიება ახალი პოეტური წარმოსახვის ფორმებისა. ეს იყო, პოეზიის სამყაროში მოგზაურობა. მისი ღრმად შეცნობის და ახლებურად გააზრების მიზნით. ეს იყო გზა მეოცე საუკუნიდან მეთორმეტე საუკუნემდე და პირიქით: მეთორმეტედან მეოცე საუკუნეში, ეს იყო ეროვნული ფესვების ძიება: სამწუხაროდ, ეს ფესვები ფერფლად ქცეულა, შუამდინარეთი, ევფრატი და ტიგროსი, “ლურჯი ოაზისები” საიმედოს ვერაფერს ეუბნება პოეტს. ამოა, “აგრეთვე, ინდოეთის გზებზე პოეტის კვალის ძიება, “შვიდასი წლის, შვიდი ათას წვიმის შემდეგ”, მისი ნაფეხურის, მისი ნაკვალევის პოვნა შეუძლებელია.

“ვეფხისტყაოსნის” სიუჟეტიდან გამომდინარე, ლექსის ლირიკული გმირი პოეტური ეჭვით და ალლოთი გრძნობს რუსთაველის სუნთქვას ინდოეთში, გრძნობს, რომ ამ გზებს, “ფენჯაბსა და ლახორს” ნახავდა რუსთაველი, მაგრამ გაურკვეველია მისი იქ ყოფნის საკითხი. მხოლოდ მის პოემაში დაფიქსირებული ინდოეთის სიყვარული მოწმობს, რომ ის ყოფილა ინდოეთში. ამავე დროს, ავტორი ხაზს უსვამს რუსთაველის მესხურ წარმოშობას.

“რა იშოვა,
რა წააგო, რა მოიგო,
რა დაკარგა ქვეყნად არვინ იცის,
მხოლოდ მესხეთს
უცხო განძად წამოიღო
სიყვარული
ინდოეთის მიწის”.

ლექსების ციკლი, “რუსთაველის ნაკვალევზე” უფრო ძლიერი შემოქმედებითი აფეთქების საფუძველს ქმნიდა.

ხანგრძლივი ძიების შედეგი იყო პოეტის მეორე ციკლი “პალესტინა, პალესტინა”. აქ მთლიანად გამოვლინდა ი. აბაშიძის პოეტური ნიჭი და მხატვრული ოსტატობა. განსხვავებული სალექსო ფორმები, რომელიც მუშავდებოდა ადრეულ წლებში, აქ უკვე სრულქმნილი და დახვეწილია. ამ ციკლში შეტანილი ლექსები “ხმა კატამონთან”, “ხმა ჯვრის მონასტრის გალავანთან”, “ხმა ზეთისხილის ბაღში”, “ხმა სამრეკლოსთან”, “ხმა თეთრ სენაკში”, “ხმა გოლგოთასთან”, “ხმა ჯვრის მონასტრის ბინდში” სრულიად განსხვავდებიან პოეტის ადრინდელი ლექსებისაგან. ავტორმა მიაგნო თავის პოეტურ სტილს, იპოვა თემა, რომელსაც ეძებდა, იპოვა და სრულიად ორიგინალურად ასახა.

ემოციებით და მძაფრი განცდებით დატვირთული სტრიქონები მეთორმეტე

საუკუნეებიდან ისმის მეოცე საუკუნეში. ავტორმა შეძლო წარმოესახა და გადმოეცა რუსთაველის განცდები სიცოცხლის მიწურულში. ამ ციკლს ეპიგრაფად უძღვის შთამაგონებელი სიტყვები: “გულით სწყუროდა შენს შორეულ შთამომავალს წარმოდგინა, რას განიცდიდი და ფიქრობდი შენ. სიცოცხლის უკანასკნელ დღეებში. “მაშ, ეს “ხმები” ისე ჩაუთვალე მას, თითქოს მართლაც გაეგონოს იგი პალესტინის ქართული ჯვარის მონასტერში. შენს უკანასკნელ თავშესაფარში, შენი დაკარგვიდან შვიდასი წლის შემდეგ”. აქ ასე მოკრძალებულად მიმართავს ავტორი სამშობლოდან გადახვეწილ დიდ პოეტს.

ციკლი იხსნება ლექსით “შენ აქ ხარ”, სადაც მძაფრად არის გადმოცემული ის განცდა და მღელვარება, რაც თან ახლდა რუსთაველის ადგილსამყოფელის მიგნებას ჯვრის მონასტერში. ქართული კულტურის ეს უდიდესი და უძველესი კერა, ისედაც აუთრთოლებს გულს ქართველ კაცს. ჩვენი წინაპრების სუფთა ხელებით შექმნილი ძეგლი, რომელსაც სისხლით და ოფლით აშენებდნენ, სადაც დულდა ქართული კულტურა და მწიგნობრობა, რომელიც ახლა ჩვენი სამშობლოს კუთვნილება აღარ არის და სტუმრადაც ძნელად მოხვდება ქართველი კაცი. ცხადია, სულით ხორცამდე შესძრავს ნებისმიერ მამულიშვილს. პოეტისათვის ასეთი უძვირფასესი სავანის ხილვა უზენაესი განცდაა. შთაგონებასა და წარსულის რომანტიკულ აღქმას უკიდურესად აძლიერებს იქ დავანებული რუსთაველის იდუმალი აჩრდილი.

ი. აბაშიძე “პალესტინის დღიურში” ჯვრის მონასტერში ასომთავრული წარწერის ნახვის თაობაზე წერს: “სწრაფად გავძახე კედლების წარწერებითა და ფრესკებით გართულ აკაკი შანიძესა და გიორგი წერეთელს, ისინიც მოვიდნენ და ამოვიკითხეთ: “დექით მტკიცედ და შეურყევლად”. ჟრუანტელმა ამიტანა, ამ პატარა ლითონის დისკომ თითქოს ქვემოდან ამწია და ჰაერში შემისროლა, თითქოს იატაკიდან ამოვარდა გუგუნით თავგანწირულთა მოწოდებისა, თუ მახვილდაკრულთა ხმაჩახლეჩილი ძახილი საუკუნეების გაღმიდან”.

მონასტრის სიდიადე, წინაპართა სიმტკიცესა და შემართებაზე მეტყველი იატაკზე დაღვრილი სისხლი და ეს მოწოდება, რუსთაველის გამოსახულება და საფლავი პოეტისათვის დიადი სევდა და მწუხარება, ამაღლებული სიხარულის განცდაა, ასეთი წუთი შემოქმედს შეიძლება სიცოცხლეში მხოლოდ ერთხელ ეწვიოს. ჯვრის მონასტერში ყველაფერი წმინდა, მშობლიური და ფანტასტიურია, ავტორი თვლის, რომ მშობელი მიწის ვალი და მისი, როგორც პოეტის ვალი იყო ეპოვა დიდი წინაპარი.

“შენ აქ ხარ, აქ ხარ... შენს კვალზე მავალს,
ამ ზღაპრულ კართან ახლა რომ ვდგავარ,
მშობელი მიწის ეს მედო ვალი...
მორჩა! აქ შენი დასრულდა კვალი,
აქ შენი ჩუმი ფეხის ხმა შეწყდა;
ვდგავარ შენს სახლთან, შენს ჩამქრალ ცეცხლთან”.

მონასტრის ზღაპრული კარიდან იწყება ავტორის გადასვლა რუსთაველის საუკუნეში. ამ კარს იქით იწყება წარსული, შორეული, მძიმე და საამაყო წარსული.

“შენ აქ ხარ, აქ ხარ... მონასტრის კარებს —
ათას წლის ლოცვებს, დაღალებს ქარებს,
მაგდაგით უხმოდ შევახეთ ხელი...
გალავნის უკან ჯახანი ხმელი,
გალავნის უკან ათასწლის ზარი —
და ჩვენს წინ მძიმედ გაიღო კარი
მონასტრის, არა, კლდეკარის ხვრელი”.

ი. აბაშიძე რუსთაველის დაბადებიდან 800 წლის საიუბილეო პერიოდში იზიარებდა მეცნიერთა მოსაზრებას და ქართულ ფოლკლორში შემონახულ მონაცემებს რუსთაველის მესხური წარმოშობის შესახებ. ეს აზრი პოეტს ყოველთვის თან სდევდა და ჯვრის მონასტერში, სადაც იგრძნო შოთასთან მიახლოება, აქაც ეს აზრი უტრიალებს ცნობიერებაში.

“სად, სად არ გპეზნე — მესხეთს თუ სამცხეს;
მე გული ჩემი შენს მონად ვრაცხე,
მაგრამ ზედ მტკვართან, მაგრამ ზედ თმოგვთან
ნავალი შენი ბილიკიც მოკვდა”.

მესხეთს და სამცხეს — ამ ორ ცნებას ერთად ემოციის გასაძლიერებლად და რითმისათვის იყენებს, ისეა გამოყენებული ეს ორი სიტყვა, რომ ერთმანეთს ავსებს.

პოეტის სამშობლოდან უცხო მხარეში გადახვეწით გამოწვეული სევდა, პირველ რიგში, მის მშობლიურ მესხეთს აწუხებს. ავტორი მეცნიერულ ვარაუდს რუსთაველის მესხურ წარმოშობაზე პოეზიაშიც ამკვიდრებს, მესხთა შორეული ძახილი ესმის მას მონასტრის კართან. ბუნებრივი, უშუალო და დამაჯერებელია მისი პოეტური წარმოსახვა და მხატვრული აზრი. მკითხველზე ემოციურ ზემოქმედებას და დამაჯერებლობას პოეტი ხშირად სტრიქონთა თანმიმდევრული, კანონზომიერი გამეორებით აძლიერებს, ეს არ არის მხოლოდ ექსტაზით გამოწვეული წამოძახილი, ეს არის ძიების შემდეგ ნანახით გამოწვეული კმაყოფილი აღფრთოვანება. ამის შემდეგ იწყება რუსთაველის დაღადი, ამის შემდეგ შედის ავტორი მის სამყაროში. მშობლიური მხარის გახსენება აძლიერებს დიდი პოეტის პატრიოტულ განწყობილებას.

“აქ შენი მშვიდი ნაბიჯი შეწყდა,
აქ დაწყდა ცრემლი ხმელეთს რომ რეცხდა,
ვდგავარ შენს სახლთან, შენს ჩამქრალ ცეცხლთან
წუხილი მესხთა, ძახილი მესხთა”.

ამ ლექსს მოსდევს სამშობლოს მონატრების ამსახველი ლექსი “ვინ იცის, როგორ მელის ვარძია”, რომელიც იერუსალიმში დაიწერა. რუსთაველის პირველი სიტყვა მესხეთის და ვარძიის გახსენებაა. სამცხის ქედები, თმოგვის კედლები, ხერთვისი... ამ უმშვენიერეს და უძველეს ციხე-ქალაქებს იხსენებს ღრმად მოხუცი პოეტი. მის დროს აქ ცხოვრება დულდა და გადმოდულდა. ეს მონატრება რომანტიკულ და წარუშლელ სევდას იწვევს მკითხველში.

“როგორ მელიან მტკვარზე მერცხლები,

ნამი, რომელიც ველის ვარდზეა...
ვინ იცის, როგორ მელის მესხეთი,
ვინ იცის, როგორ მელის ვარძია!...”

“პალესტინა, პალესტინა”

ირაკლი აბაშიძე ლექსების ციკლში “პალესტინა, პალესტინა” შეეცადა გადმოეცა შოთა რუსთაველის რელიგიური და ეროვნული მრწამსი რაც უდავოდ საჭირო იყო რადგან ქართულ ლიტერატურისმცოდნეობაში ეს პრობლემატური საკითხია.

ანტონ კათალიკოსის შეხედულება შოთას პოემაზე დიდი პოეტის რწმენას ეჭვის ქვეშ აყენებდა. ამიტომ “პალესტინა, პალესტინის” ავტორს, რომელიც წარმოსახვით ალაპარაკებს რუსთაველს, უნდა გადმოეცა მისი დამოკიდებულება ქრისტიანულ სარწმუნოებასთან. ბუნებრივია, ამასთან ერთად მშობლიურ მიწას მოწყვეტილ პოეტს აწუხებდა სამშობლოს ნოსტალგია და სამშობლოში დარჩენილი ადამიანების, პირველ რიგში, თამარ მეფის მონატრება, რომელსაც ასეთი დიდი მოკრძალებით და თაყვანისცემით აქებს თავის პოემაში.

“პალესტინა, პალესტინა” ამ სამ ძირითად პრობლემას მოიცავს: სარწმუნოება, სამშობლო და სიყვარული.

“ვეფხისტყაოსანი” ქართველმა კაცმა თავის სალოცავ ხატად აქცია, რჯულის წიგნად მიიღო. სახარებასთან მისი გატოლება სასულიერო არისტოკრატისათვის, რაოდენ ლმობიერიც არ უნდა ყოფილიყო იგი, დაუშვებელი იყო. ალბათ, ამიტომ არ ახსენებს თამარის ისტორიკოსი რუსთაველსა და მის გმირებს და ალბად ამიტომვე დამკვიდრდა თქმულებები მისი სამშობლოდან გადახვეწის შესახებ, რაც შესაძლოა, რეალობას უკაშვირდება.

ი. აბაშიძემ შოთა რუსთაველის აღმსარებლობაზე ხანგრძლივი ფიქრი და ნააზრევი გამოხატა ლექსებში “ხმა ჯვრის მონასტრის გალავანთან”, “ხმა ჯვრის მონასტერში” და “ხმა ზეთისხილის ბაღში”.

ლექსში “ხმა ჯვრის მონასტრის გალავანთან” რუსთაველის უფლისადმი მიმართვაში ავტორი მკაფიოდ გამოხატავს მის ქრისტიანულ სულიკვეთებას. ლექსის მიხედვით იგი განდგომილი და მკრეხელი კი არ არის, არამედ ჭემმარიტი ქრისტიანი, გულწრფელი მორწმუნეა.

“—შენგან განდგომა, ო, ჯვარცმულო,
მე რად დამბრალდა...
მაღალ მწვერვალთა სალოცავო
ხატო ნაპრალთა,
ძლეულთ ნუგეშო, დავრდომილთა

თავშესაფარო,
მაშვრალთ იმედო, ანთებულო
ბნელში ლამპარო”.

დამაჯერებელია გიორგი ნატროშვილის კომენტარი ამ სტრიქონებზე: “კონფლიქტი მაინც არის, ვინაიდან ჯვარცმული, რომელსაც რუსთაველი მიმართავს, არის არა შუა საუკუნეების ოფიციალური ეკლესიის ქრისტე, ამა ქვეყნის მძლავრთა და მდიდართა მფარველი, არამედ “დავრდომილთა” და “ძლეულთა” ღმერთი”.

რუსთაველის რელიგია სახარებაში გადმოცემული ქრისტიანობაა. ქრისტე — უპოვართა და ჩაგრულთა ღმერთი. იგი ამ ღმერთის მცნების ყველაზე თავდადებული აღმასრულებელია.

“მე შენი მცნების აღსარება
ვარ თვით აკვნიდან,
შენია ჩემი გულიც, ცნობაც, ხმაც საკუთარი,
მე სიყრმის დლიდან არ მქონია სხვა საყუდარი,
შენგან არს ჩემში რაც ამაღლდა, რაც რამ დაკნინდა”.

გონებისა და განსჯის შეპირისპირებას რწმენასა და თაყვანისცემას თან ახლავს თავისუფალი აზრის შეჯახება დოგმატიზმთან. სამყაროს დოგმატიკურად ხედვა, ფაქტობრივად ბრძოლაა ცნობისა და გონის წინააღმდეგ. დოგმატიზმის პირობებში მცირე გადახრაც დიდ ცოდვად ითვლება.

ასეთი შეზღუდვა დიდი ხელოვანისა და პოეტისათვის სულისშემხუთველია. იგი უფლისაგან ნაბოძები ნიჭით და გონებით ცოცხლობს. მისი ნაღვაწი და ხელთუქმნელი შემოქმედება ღვთისმიერ ჩაგონებული იდეების ხორცშესხმად გაიაზრება.

“მე ჩემს გონებას, ცნობას ვთვლიდი
ჩემს დიდ საუნჯედ,
რადგან არსთაგანს მე მებოძა ეს საბოძველი, —
შენ მთხოვდი თაყვანს, მხოლოდ თაყვანს,
თაყვანს განუსჯელს,
მე მხოლოდ განსჯის, მხოლოდ განსჯის
ვიყავ მლოცველი”.

ღრმად მოხუცებული რუსთაველი შეცოდებას მხოლოდ აზრთა თავისუფალ დინებაში ეძებს. თუმცა უფლის “დიად კანონს, დიდ განგებას” არ გადასულა. ეს პიროვნების სულიერი ტკივილი — ცოდვა-არცოდვის საზღვრის ძიება გენიალური შემოქმედის ცხოვრების გზაზე რთულია და შეიძლება შეუძლებელიც. მისი შემოქმედებითი აღმაფრენა, უკვდავი აზრები მიუწვდომელია მოკვდავთათვის, მისი სიბრძნე აღემატება ადამიანის გონებრივ და პოეტურ შესაძლებლობებს. ამიტომ შეიძლება მათ ეს ამაღლებული იდეები უფლის სიტყვასთან მომეტებულ მიახლოებად ან გატოლებად ჩაუთვალონ და ცოდვად მონათლონ.

პოეტმა იცის კაცთაგან მისთვის წაყენებული პრეტენზიები. ამიტომ მიმართავს უფლას:

“მაგრამ თუ ზოგჯერ ვერ უჭერდი
ფიქრსაც სადავეს,
რად მომეც ნიჭი, გულის ყური,
თვალი გონების”.

მას აინტერესებს როგორ აფასებს მას თვითონ უფალი — როგორც პოეტს და როგორც კაცს.

“ან იქნებ ცოდვად არც მეთვლება
ეს მკრეხელობა
და შენ პირიქით, მცირედ მითვლი
ჩემს შემართებას”.

პოეტი არ შეიძლება ცოდვილი იყოს, იგი მხოლოდ აზრისა და სიტყვის შემოქმედია, მას არა აქვს მიწიერი პატივი.

“მე აზრი ვიყავ... ბედი კაცთა მე არ მეზარა, —
ჩემად ნუგეზად, ჩემად ტანჯვად მე ეს მეყოფის...
მე კაცი ვიყავ, მეც ამ მიწის მედო ბეგარა:
მე ვიყავ მონა სიყვარულის და ერთმეფობის”.
ამიტომ შესთხოვს რუსთაველი უფალს განსაჯოს იგი:
“მარქვი, სად ვტყუი, სად ვარ მცდარი,
სად ვარ მართალი”.

ქრისტესთან რუსთაველის მიახლოება და მის წინაშე ლოცვა კიდევ უფრო წარმოაჩენს პოეტის წამებით აღსავსე ცხოვრების გზას:

“არავინ იცის, არავინ უწყის მე და შენს გარდა,
ო, ქრისტევ, ქრისტევ, ჯვარზე გაკვრის
ბედნიერება”...

ჭეშმარიტების ძიების გზა მაინც უფალთან მიდის. შემოქმედის მიერ ჭეშმარიტების ცხოვრების წიაღში ძიება, ეს არის ტანჯვის და წამების გზა. მისი შენდობა უფალთან მიახლოების შემდეგ იწყება:

“ბედით ნაგვემი, უნაპიროდ და უსასრულოდ,
მოველ დღეს შენთან კვლავ ის სული,
სული უცვლელი,
ჭეშმარიტების ძიებაში დიდო ჯვარცმულო,
ჭეშმარიტების ძიებაში ჯვარზე უცმელი”.

.....

“რაი არს იგი, რასაც ვდიეთ, ჩემო უფალო,
ო, ჩემო ღმერთო, სთქვი რაი არს ჭეშმარიტება”.

სარწმუნოება და სამშობლო საუკუნეთა განმავლობაში ერთმანეთთან განუყოფლად შესისხლხორცებული ცნებები იყო. ეს საკითხი ნათლად აისახა ლექსში “ხმა ზეთისხილის ბაღში” და “ხმა სამრეკლოსთან”. ორივე ლექსში მამულის სადიდებელი ლოცვა-ვედრებაა გადმოცემული. რუსთაველისათვის სამშობლოს სიყვარული

უფლისადმი სიყვარულს უტოლდება. შეიძლება უფრო მკვეთრად თქმულიყო, რომ სარწმუნოება მშობელი ქვეყნისათვის უნდა იყოს საშველი და არა პირიქით, სამშობლო — სარწმუნოებისათვის.

უფრო შუალედური და ტრადიციული აზრია გამოთქმული პოეტის მიმართვაში უფლისადმი “მნათობი შენი საქართველოს წამდა მნათობად”. სამშობლო რუსთაველისათვის უზენაესი სიწმინდე და სალოცავია.

“მე უკვდავება მამულს გარეთ არ მწამებია,
არ მიძებნია მამულს გარეთ მამამთავრობა”.

.....

“გულიც და სუნთქვაც ყველა ნიჭი
ჩემის კაცობის
მე წმინდად დავდე საქართველოს
საკურთხეველთან”.

ლექსი “ხმა სამრეკლოსთან” ავი ზმანებებით გაწამებულ პოეტს ესიზმრება მეთორმეტე საუკუნის შემდგომ ასწლეულებში სამშობლოს თავს დატეხილი უბედურება. “აღმოსავლეთის შავი უსაზღვროება”, “გლოვა შორი ქართლის სამრეკლოების” და უკანასკნელად ავედრებს უფალს საქართველოს:

“აკმარე ჭირი მტრის მონობა, სპარსი, არაბი
აშორე ცრემლი, უსჯულობა, წარღვნა, ქარაფი,
შენ გევედრები, შენს დიდ გზაზე
ლოცვით მარები.

არ დაუკეტო საქართველოს პონტოს კარები”.

ლექსებში “ხმა ჯვრის მონასტრის ბინდში” და “ხმა თეთრ სენაკში” ავტორი გადმოგვცემს რუსთაველის თამარისადმი უსაზღვრო თაყვანისცემას.

თამარი რუსთაველისათვის მეფე, მზე და ღვთაებაა. იგი გოდებს თამართან დაშორების გამო:

“— თამარ, გოდებავ უნაპირო და უსასრულო,
თამარ, ღვთაებავ, თამარ მზეო, მზეო ჩასულო!”

ავტორი არა მარტო ღვთაებრივს, შორეულს და ზეციურს ეძებს თამარ მეფის პიროვნებაში, არამედ იგი ხედავს ადამიანურსაც, მის გრძნობიერ საწყისებს. პოეტს ესმის ავლენილი თამარისადმი რუსთაველის ხმა:

“იქნება არც იყავ მზე ნამდვილი,
ღმერთი ნამდვილი,
იქნებ ხმა იყავ, სულის წეწვის, გულის ფრიალის,
მე იქ გავთავდი, სადაც ჩაქრა შენი სანთელი,
შენს გარდასახვას, ნიჭიც წაჰყვა
ჩემის ტრფიალის...”

.....

“თუ ცოცხალ ვიყავ, თუ რამ ძალი

მწამდა მოწყალის,
თუ მწამდა ლხინი, მწამდა ცრემლი
ნიაღვრული,
მე სიყვარულით, სიყვარულით ვიყავ ცოცხალი,
ჩემს სუნთქვას ერქვა სიყვარული,
გულს — სიყვარული”.

ლექსში ფიგურირებს ხალხში გავრცელებული გადმოცემა რუსთაველის თამარისადმი სიყვარულის შესახებ. ამ თქმულებას უკავშირდება რუსთაველის შორეულ მხარეში გადახვეწის ავტორისეული ვერსია.

მნელია რუსთაველს ვინმე შეეცილოს თამარის სიყვარულში, შეუძლებელია დავასახელოთ სხვა მაგალითი ისეთი თავდადებისა და ერთგულებისა, როგორც ამ ლექსშია გადმოცემული. თამარის სიკვდილით სასოწარკვეთამდე მისულ პოეტს აღარ უნდა სიცოცხლე, სურს უსაფლავოდ შეუერთდეს მარადისობას.

“დავკარგავ საფლავს,
მეც შენგვარად
მოვკვდები, თამარ!
დე, გზამ იაროს
დე, თაობას მოჰყვეს თაობა;
დავკარგავ საფლავს,
მეც შენგვარად
გავქრები თამარ,
საფლავიც ჩემიც
იყოს ჩემი
უსაფლავობა...”

აღსასრულის პირს მდგომი მხცოვანი პოეტი კვლავ თამარისადმი აღვლენილი ლოცვით ამთავრებს სიცოცხლის უკანასკნელ წამებს.

იგი არ წუხს, არ განიცდის საკუთარ სიკვდილს, პირიქით, თამარის გარეშე ყოფნით გაწამებული, მადლობას სწირავს უფალს:

“დამამხოზელმან
მე საწუთრომ
დამამხო თამარ!
დიდება ღვთის მადლს —
ჩემს ჭირს
წამლით რა ეწამლება;
გასრულდა ჩემი უდაბური სულის წამება,
გასრულდა ჩემი ხეტიალი
ტრამალ და ტრამალ”.

და კვლავ თამარს მისტირის, თამარის ხსენებით დახუჭავს თვალებს უკანასკნელად. კვლავ მეფე, მზე და ღვთაებაა მისთვის თამარი ამ ცრუ და ამაო წუთისოფელში:

“მეფეო ჩემო,
მზე ჩემო,
ხმელთა გამთბობო!
ვაი, ცრუ სოფელს,
აღარც მეფე,
აღარც მნათობო.
აღარას შევტრფი,
არას ვეძებ,
არას მოველი,
დავთმე სოფელი,
აქ აღვსრულდი,
შენზე მგლოველი”.

ეს არის თამარ მეფისადმი მიმართული რუსთაველის მარადიული ხმა ეროვნულ-პატრიოტულ პათოსს აგვირგვინებს ლექსი “ხმა კატამონთან” მშობლიური ენისადმი აღვლენილი ჰიმნი. იოანე ზოსიმეს შემდეგ ქართული ენისადმი ასეთი დიდებული საგალობელი არავის მიუძღვნია. ლექსში დიდი ექსპრესიითაა გადმოცემული ენის უკვდავება, მისი ძალა ერის არსებობისა და ერთიანობისათვის:

“შენ, კირო ჩვენთა ქვათა და კირთა
შენ ერთი შემრჩი სამარის პირთან”.

კირთან, შენობის ასაგებად ქვებისა და ლოდების შემადუღაბებელ მასალასთან ენის შედარება ერთი ასპექტია ენის სიდიადის და მნიშვნელობის წარმოსაჩენად. ქართული ენაც ასევე აერთიანებს ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა მხარეებს, რაიონებს, დიალექტებს და სხვა. ქვეყნის გაერთიანება ენის ერთ-ერთი ფუნქციაა. მეორე ფუნქცია ერის სულიერი სიმდიდრის გადმოცემა და შენახვაა. ამიტომ უკავშირდება ენას ერის უკვდავების საკითხი. სახელმწიფოებრიობის, სარწმუნოების, კულტურის, მეცნიერების შენარჩუნება და განვითარება უშუალოდ ენას ეკისრება. გრიგოლ ორბელიანი წერდა:

“მის ისტორია დაცულ არს ენით,
რა ენა წახდეს,
ერიც დაეცეს...
წაეცხოს ჩირქი ტაძარსა წმინდას!”

ქართული ენა უძლეველია. საუკუნეთა განმავლობაში მას ვერაფერი დააკლო მტერთა თარეშმა, რბევამ, ხოცვა-ჟლეტამ, მატერიალური ძეგლები შეიძლება შთანთქმას ისტორიამ, მტერმა დასცეს ყველა ციხე-სიმაგრე, მაგრამ ენას ვერაფერს ავნებს. ვიდრე არის ენა — ერი უკვდავია.

“დაეცეს, იქნებ, სიმაგრე ყველა
მოისრას იქნება, ყველა ყმა ველად,
დაედოს მტვერი ყველა დიდ ხსოვნას,
დააკვდეს აზრი ნაპოვნის პოვნას.
ყოველ ნერგს, იქნებ, დაატყდეს მეხი,

ყოველ ძეგლს, იქნებ, დაედგას ფეხი,
მაგრამ შენ უჭკნობს, შენ, ხატად ქცეულს,
რა დრო, რა დასცემას შენს უკვდავ სხეულს?”

ი. აბაშიძის “რუსთაველის ნაკვალევზე” და “პალესტინა, პალესტინა XX საუკუნის 60-იანი წლების ქართული პოეზიის შედეგებია. მათ დიდი შეფასება ხვდათ წილად ცნობილ ქართველ მკვლევართაგან. ავტორი აქ იყენებს პოეტურ ფორმას და სტილს, რომელსაც 30-იან წლებში ამუშავებდა, ხოლო სრულყოფილი სახე 60-იან წლებში მიიღო. ამ ფორმით შეძლო პოეტმა გამოეველინა თავისი შემოქმედებითი ნიჭი და დაემკვიდრებინა თავისი კუთვნილი ადგილი ქართული ლიტერატურის ისტორიაში.

შალვა ახალციხელის ისტორიული სახე და მხატვრული გამონაგონი გრ. აბაშიძის რომანებში

ბრწყინვალე გმირისა და მხედარმთავრის შალვა ახალციხელის ცხოვრება ქართულ მწერლობაში სათანადოდ არ არის ასახული, შეიძლება ითქვას, რომ ორიოდ მხატვრული ტილოა, რომელშიც იგი პერსონაჟად გვევლინება. ეს არის გრ. აბაშიძის “ლაშარელა” და “დიდი ღამე”. ასევე მოხსენიებულია იგი შ. დადიანის რომანში “გიორგი რუსი”. ცხადია, ეს ძალიან ცოტაა, მაგრამ მეტად მნიშვნელოვანია მასზე წარმოდგენის შექმნისა და მისი ღვაწლის გახსენებისათვის. მართალია, აქაც ნათლად არ ჩანს შალვა ახალციხელი თავისი მაღალი მეომრული და ზნეობრივი ღირსებებით. მაგრამ ეს არის საინტერესო და წარმატებული ცდა ამ დიდი მამულიშვილის გმირობისა და სახელმწიფო მოღვაწეობის წარმოსაჩენად. ამ მხრივ, მეტნაკლებად, გამოირჩევა გრ. აბაშიძის ცნობილი რომანები “ლაშარელა” და “დიდი ღამე”. უფრო მეტი ადგილი შალვა ახალციხელს დათმობილი აქვს “ლაშარელაში” ხოლო “დიდი ღამეში” მისი ცხოვრების გმირული და მოწამეობრივი დასასრულია ნაჩვენები. “ლაშარელა” გამოსვლისთანავე გააკრიტიკეს ცნობილმა კრიტიკოსებმა გ. ჯიბლაძემ, ს. ჭილაიამ, მწერალმა კ. გამსახურდიამ და სხვ. განსაკუთრებით მკაცრი იყო კ. გამსახურდია, რომელიც საყვედურობს ავტორს ისტორიული სინამდვილიდან გადახვევის გამო ასეთი ხასიათის რომანის სპეციფიკა მოითხოვს არ დაირღვეს წარსულის რეალობა, ქრონოლოგია და ისტორიულად მოცემული სახის ამსახველი წყაროები. მწერალს აქვს შესაძლებლობა მხატვრულად გაამდიდროს გმირის ისტორიული სახე და გამონაგონით შეავსოს, როგორც პერსონაჟის თვისებები, ისე მისი ცხოვრების მატრიანეებში დატოვებული სივარცელი.

ბუნებრივია, როდესაც მწერალი დადებით პერსონაჟს ხატავს, გამონაგონი მის დადებით და ამაღლებით ასპექტში წარმოჩენას უნდა ისახავდეს მიზნად.

გრ. აბაშიძე, ნაწილობრივ, ამ მეთოდს იყენებს ახალციხელის მხატვრული სახის შესაქმნელად. იგი ვერ ახერხებს გმირის სრულად გახსნასა და მისი უნარისა და ღირსებების ჩვენებას.

რადგან რომანი ეძღვნება ლაშა-გიორგის ლაშარელას, მაგრამ იგი ცდილობს ასახოს შალვას მეფისადმი და ქვეყნისადმი ერთგულება, მისი სახელმწიფოებრივი შეგნება და მამულიშვილობა.

“ლაშარელას” სიუჟეტში შალვა შემოდის ლაშარობის დღესასწაულის შემდეგ. იგი გვევლინება, როგორც მეომარი საბრძოლო განწყობილებით, “ქვასა მდებარესა ხავსი მოედების, ხოლო ხმალსა უხმარსა ჟანგი მოეკიდების”. (42-223). — ეუბნება იგი ფხოველ ჩალხიას.

რომანი ვრცლად ასახავს XIII საუკუნის 10-იან და 20-იანი წლების სამეფო კარს, ივანე ათაბაგის მეფისადმი ვერაგობას და შალვა ახალციხელისადმი ფარულ შურსა და მტრობას. მწერალს უნდა აჩვენოს, როგორ ეცემა სამეფოში პოლიტიკური დონე, სახელმწიფო-პატრიოტული შემართება, სამხედრო-ადმინისტრაციული წესრიგი და როგორ ცდილობს შალვა ახალციხელი ამ შინაგანი რღვევის შეჩერებას.

ავტორი კარგად იცნობს რომანში ასახულ პერიოდს და “ქართლის ცხოვრების” მონაცემებზე დაყრდნობით აშუქებს ათაბაგის მიერ ხელისუფლების უზურპაციას. მაგრამ სამსჯელოა მისი ინიციატივით შალვა ახალციხელის მეჭურჭლედუბუცესად დანიშვნა. ეს ისტორიულ წყაროებში არ ჩანს, თუმცა ათაბაგის მიზანი რეალურ სინამდვილეს შეეფერება. იგი მომხრეა შალვა მეჭურჭლეთუბუცესის სახელოს თავი იყოს. არა იმიტომ, რომ მისთვის პატივი უნდა, არამედ იმიტომ, რომ ჯერ ერთი, სამხედრო კარიერას და სარდლობას ჩამოაშორებს, სადაც ის აშკარა აღემატებოდა ივანე მხარგრძელს - ათაბაგს და მეორეც, ამ თანამდებობაზე შალვა ვერ გაამართლებდა, მისი რეიტინგი სამეფო კარის თვალში დაეცემოდა და სავაზიროდანაც მოიცილებდა, მაგრამ მოხდა პირიქით, ახალციხელმა გულმოდგინედ მოჰკიდა ხელი მისთვის უჩვეულო საქმეს და სახელმწიფო საჭურჭლეში სრული წესრიგი დაამყარა.

ვფიქრობთ, მხატვრული გამონაგონია შალვა ახალციხელის სიყვარელი ათაბაგის ქალის თამთასადმი. ეს გამონაგონი მწერალს სჭირდება, რომ აჩვენოს შალვას მხრიდან ათაბაგისადმი ლმობიერებისა და პატივისცემის მოტივი. “ეს სიყვარული აბრმავებდა შალვას მსახურთუბუცესის (ათაბაგის ვ.ი.) ანგარმოქმედებაზე” (25-251).

შალვა ახალციხელის ქვეყნის საომრად მზადყოფნა და სამხედრო ძლიერება მიაჩნია წინსვლის საფუძვლად და დარბაზობაზე ამის განცხადებით კვლავ თავისი სტრატეგიის მომხრეა, ამ ეპიზოდით ავტორი გვიჩვენებს შალვას არა მარტო მეომრულ უნარს, არამედ მისი სახელმწიფოებრივი აზროვნების მაღალ დონეს. ცხადია, იმ სისხლიან საუკუნეებში ათაბაგის დამაწყნარებელი პოლიტიკა ქვეყნისთვის დამლუპველი იქნებოდა.

ფარული შიდა დაპირისპირება თანდათანობით ღრმავდება, შალვა მეფის მხარეს რჩება, ხოლო ათაბაგი და მისი მომხრეები ერთ ძლიერ კოალიციას ქმნიან, რომელსაც ჯარი ექვემდებარება.

მეფის მცველ ლუხუმთან ურთიერთობის ასახვისას მწერალი იძლევა შალვა ახალციხელის შთამბეჭდავ პორტრეტს “შალვა გულწრფელი იყო და პირდაპირი. მტრის მტრობაც აშკარა იცოდა და მოყვასის სიყვარულიც. მეფე ალალი გულით უყვარდა და მისი ერთგული ადამიანების დაფასება თავის მოვალეობად მიაჩნდა. შეუდრეკელი და ახოვანი იყო შალვა. ერთმანეთზე გადაბმული ხშირი წარბები, საავდრო ღრუბელივით გადმოყუროდა მის ორბულ ცხვირსა და დიდ შავ თვალებს. მარცხენა ლოყაზე შუბის ნაღწის თუ ნახმლევის ნაკვალევი ფოსო... სიმკაცრესა და სიდარბაისლეს მატებდა მუდამ გასაღიმებლად გამზადებულ მის სახეს” (25-266).

ეს ძველი მესხის პორტრეტი ვეფხისტყაოსნის ილუსტრირებულ გმირებს გვაგონებს. ძირითადად ასე ხატავს გრ. რობაქიძე “გველის პერანგში”, ტიპიური ძველი ქართველის პორტრეტს. ასე აღწერს ლ. ტოლსტოი პეტრე ბაგრატიონს. შეიძლება ითქვას, რომ ეს არის შალვა ახალციხელის ერთადერთი და დამაჯერებლად ასახული პორტრეტი ქართულ მწერლობაში, რაც ამ რომანს მაღალმხატვრულ ღირსებას მატებს.

გრ. აბაშიძე განძასთან ბრძოლის ისტორიულ ფაქტს მხატვრულად ამდიდრებს. ეს ეპიზოდი ჟამთააღმწერლის მონაცემებს ეყრდნობა, მაგრამ ჟამთა აღმწერელი ამ ომში აფიქსირებს, რომ ლაშა-გიორგიმ ოთხი ათასი მესხი წაიყვანა ციხე-ქალაქის შემოსავლელადო და ბრძოლასაც აღწერს, მაგრამ შალვა ახალციხელს არ ახსენებს. გრ. აბაშიძე თავის რომანში მოგვითხრობს შალვას აქტიურ მონაწილეობაზე და მის გადაწყვეტ როლზე მეფის გადარჩენაში. აქვე წარმოაჩენს მწერალი ახალციხელის საბრძოლო შემართებას და საბრძოლო ხელოვნებას. “მეფემ მხოლოდ დანახვა მოასწრო შალვა ახალციხელისა; გახელებულ ლომს ჰგავდა შალვა, ერთი პირგამეხებულმა მოხედა მეფეს და გრიგალივით დაბრუნდა ამოდენა ჯარში” (25-370).

ეს ეპიზოდი, შეიძლება ითქვას, ლოგიკური ისტორიული სიმართლის დადასტურებაა, მეფემ თუ ოთხი ათასი მესხი წაიყვანა ქალაქის შემოსავლელად. შალვა ამ მესხთა წინამძღოლი, პატრონი და სარდალი იყო, ბუნებრივია, ის ამ ომს არ გამოტოვებდა. მწერალმა მემატეანის მიერ დატოვებული სიცარიელე შეავსო და აღადგინა ლოგიკური სამართლიანობა. ამ ბრძოლაში შალვა მძიმედ დაიჭრა, თუმცა ბანაკში დაბრუნება და მეფის მიერ ათაბაგის წინაშე დამამცირებელ ბოდიშის მოხდამდე ცხენზე მტკიცედ იჯდა. მხოლოდ ამის შემდეგ დაკარგა გონი, რაც მწერლის კონცეპციით მიგვანიშნებს, რომ იგი ჯერ ერთი მითიური გმირი არ არის და მოკვდავი ადამიანია. და მეორეც, მეფის მუხლებზე დაჩოქება ათაბაგის წინაშე, მისთვის ძნელი ასატანია.

შალვა ახალციხელი მტკიცედ იდგა მეფის გვერდით. მაგრამ მეფის შეურაცხყოფა ვეღარ აიტანა. ქვეყნის შინაგანი შლა ვერ შეაჩერა და თბილისი დატოვა.

მონგოლთა მეწინავე ჯართან შებრძოლების წინ თათბირზე შალვას, როგორც მხედარმთავრის და სტრატეგის წარმოჩენისას გრ. აბაშიძე იყენებს იოსებ თბილელის გამოცდილებას. ახალციხელი ამ ბრძოლის წინ ისევე მსჯელობს, როგორც გიორგი სააკაძე მარაბდის ომის წინ. შალვა ახალციხელის გეგმით ქართველებმა უნდა ისარგებლონ მთა-გორიანი მდებარეობით, სადაც მონგოლთა დაუჭედავი ცხენი ძნელად იმოდრავებს. ისინი მთებში ბრძოლას ჩვეულნი არ იყვნენ “მულალთა დაუჭედელ

ცხენთათვის ადვილი იქნება თოვლიან ველზე რბევა, ხოლო ქართველთა ცხენებს გაუჭირდებათ დაჭედული ფეხით სრბოლა” (2-631).

რაც მარაბდაში დაემართა ქართველთა ჯარს, სააკაძის გეგმის აუგად აგდებისა და უარყოფის გამო, იგივე ბედი ხვდა რომანსა და მატიანის მიხედვით ქართველებს ათაბაგის სარდლობით ველზე გამართულ ბრძოლაში. მეფის ცხენსაც დაუცურდა ფეხი და დაეცა მხედარი, ისე როგორც სხვა მრავალი, ამასთანავე დევნის დროს მონგოლთა ჯარი კარგად მანევრირებდა. დაუჭედავი ცხენებით, სწრაფად ჩერდებოდნენ და ტრიალდებოდნენ, იმ დროს, როდესაც ქართველთა ცხენები იმავე სიტუაციაში იქცეოდნენ, რაც მათთვის დამლუპველი იყო.

ამ ბრძოლაში ფეოდალური პარტიკულარიზმი ფიგურირებს შალვასა და ქვეყნის წინააღმდეგ. იოლია ქართველთა გრძნობებზე თამაში ვარლამ გაგელის მიერ, რომლის მამული ზარალდებოდა მონგოლთა შემოსევით.

ივანე მხარგრძელმა აქაც იძალა — იქნებ თბილისიდან გახიზვნასაც გვირჩევს ახალციხელი — ღვარძლით თქვა ივანე მხარგრძელმა (25-631). წაგებულ ომში, როგორც წესი გმირი მძიმედ უნდა დაიჭრას. შალვა ახალციხელს ბეჭში მოხვდა მონგოლთა ისარი.

ამ ბრძოლაშიც მწერალი შალვას ხატავს, როგორც გმირსა, გონიერსა და ქვეყნის ერთგულ მამულიშვილს, მხარგრძელი მისი ნათესავი, გაგელი და სხვ. რომელთაც ქვეყნის სადავეებში უპყრიათ ხელში, მოქმედებენ ქვეყნის ინტერესების წინააღმდეგ. შალვა ახალციხელისადმი ქიშპი თანდათანობით ასუსტებს სახელმწიფოს და ბოლოს ტრაგედიით მთავრდება, ეს კომმარი მწერალმა ასახა თავის მეორე რომანში “დიდი ღამე”, სადაც მთავრდება შალვა ახალციხელის ნათელმოსილი გმირული ცხოვრება და იწყება დიდი ღამე. ამ რომანში ლაშა ცოცხალთა შორის აღარ არის, რუსუდანი ქალია და თანაც არცთუ მაღალი გონიერების. ხელისუფლებას სრულად ფლობს ივანე მხარგრძელი ათაბაგი კაცი-ვერაგი, რომელსაც კარგად უჭრის ხმალი ქართველთა წინააღმდეგ შიდა ომში ეს მან სამჯერ დაამტკიცა. ორჯერ გიორგი რუსის და ერთხელ ფხოვში ლაშქრობისას. მტრის წინააღმდეგ კი მისი ხმალი ინერტულია, არც ერთი ომი გარეშე მტერთან მისი სარდლობით ქართველ ჯარს არ მოუგია. (განძა, მონგოლებთან, ჯალალედინთან).

გარნისში 1225 წელს მან თავის მოღალატური ქმედებით დაასამარა საქართველოს დიდება. აქ გრ. აბაშიძე შალვა ახალციხელის შეპყრობისას გამონაგონს მიმართავს, მაგრამ ეს გამონაგონი არ არის პერსონაჟის გმირული სახის წარმოსაჩენად მოგონილი. ძნელია ვიფიქროთ, რომ მწერალი შალვას დაკნინებას ცდილობს, როდესაც ამ პასაჟს წერდა, მისი ტყვედ ჩავარდნის აბაშიძისეული მხატვრული ვერსია დამამცირებელია გმირისთვის, რომანის მიხედვით, იგი სისხლს წაისვამს სახეზე, რომ ვერ იცნონ და ისე დაეცემა მკვდართა შორის, რომელსაც ხორეზმელი მეომრები იპოვიან, ძვირფასი ტან-საცმლით იცნობენ, რომ იგი დიდებულთაგანია და მიჰგვრიან ჯალალედინს.

ავტორს არ უნდა დავიწყებოდა, როგორი სულისკვეთებით იზრდებოდნენ ძველი ქართველები, რომ სიცრუე და ასეთი თავის გადარჩენა ლაჩრობაა, რაც

ყოვლადმიუღებელია იმ პერიოდის ქართველისათვის და თანაც უპირველესი გმირისათვის.

შალვა ტყვედ ჩავარდა მას შემდეგ, რაც ირგვლივ ყველა დაიხოცა, ხმალი გაუტყდა, ჯავშანი შემოელეწა და ხანგრძლივი ომის შემდეგ ძალაგამოცლილი შეიპყრეს.

“ქართლის ცხოვრების” მიხედვით შალვა და ივანე ახალციხელებისადმი ივანე ათაბაგის შურს გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა არა მარტო ახალციხელთა დაღუპვის, არამედ ჩვენი ქვეყნის დაქცევის საქმეში. “შური ყოველთა შორითა დასაბამია და ძვირად მომწყვედელი ნათესავისა კაცთასა, და საქართველოს სრულიად მოსპოლვა (28-170).

მემატიანე ნათლად ასახავს შალვასა და ივანეს სიმხნესა და მეომრულ სულს, გარნისთან ორ-სამჯერ მიავლინეს კაცი და აცნობეს ათაბაგს, რომ მეტად მრავალრიცხოვანი მტრის წინაშე იდგნენ ქართველთა წინამბრძოლნი შალვასი და ივანეს (შალვას ძმის) მხედარმთავრობით და მეფის ჯარის მისვლას სთხოვდნენ, მაგრამ ივანე ათაბაგი უმოქმედოდ დუმდა. ახალციხელები არ მოერიდნენ მტრის სიმრავლეს და ომში ჩაებნენ.

ამ ფაქტით ვლინდება მათი სიმამაცე და უშიშარი ბუნება ომში, ამას ჟამთაღმწერელიც ადასტურებს “ვინათგან წინამბრძოლნი თორელნი და უმეტეს ახალციხელნი შალვა და ივანე ახოვან იყვნეს და წყობათა შინა სახელოვანნი, არლარა რიდეს სიმრავლესა სულთნისა სპათასა და ვითარცა მხეცნი ზედა მიეტევნეს და იქმნეს ძლიერნი ომნი. (28-170).

შალვასი და ივანეს წინამბრძოლობა ძნელია ათაბაგის შურს მივაწეროთ რადგან მემატიანე წერს, რომ ათაბაგმა ისინი წინამბრძოლებად დანიშნა, როგორც მათი ოჯახის, გვარის წესი იყო. ისინი წინამბრძოლად თხოვნა და ძმანიცა იგი ორნი ახალციხელნი, შალვა და ივანე, სახელოვანნი და მებრძოლნი, ვითარ წესად არს სახლისა მათისა წინამბრძოლობა. (28-169). ეს სიტყვები მოწმობენ, რომ მესხები იყვნენ მეწინავე რაზმში, ხოლო მათ წინამებრძოლებად ახალციხელთა მოდგმა.

შალვა ახალციხელი მემატიანის ამ ცნობის მიხედვით ქვეყნისთვის თავდადებული გმირია, მას, რა თქმა უნდა, კარგად აქვს გააზრებული, რომ მტერზე გამარჯვება ძნელია, უკან დახევა კი წარმოუდგენელი, ის უკან არ დაიხევს, რაც იმას ნიშნავს, რომ იგი სიცოცხლეს სწირავს სამშობლოს, ეს მაღალმეომრული და მამულიშვილური შემართება მან კიდევ დაამტკიცა ამ ომში. იგი ძმასთან ერთად ხმლის უკანასკნელ მოქნევამდე იბრძოდა.

რომანში ასახული შალვას ტყვედ ჩავარდნის ეპიზოდი არ ემთხვევა მატიანის მონაცემებს, რაც მკვითხველში უკმაყოფილებას აღძრავს.

ასევე არ ეთანხმება მწერლის მიერ აღწერილი ახალციხელის სიკვდილით დასჯის ეპიზოდი ჟამთააღმწერლის ცნობას. მატიანეში არ წერია, როგორ მოკლეს შალვა. გრ. აბაშიძის რომანის მიხედვით კი იგი შუაზე გააპეს. ალბათ ვერც იმას ითვალისწინებდა ავტორი, რომ ეს დამამცირებელი სიკვდილია. მემატიანე წერს, რომ ჯალადედინმა რჯულის შეცვლა მოსთხოვა და უარის გამო მოკლა. საიდან იღებს მწერალი, რომ

ახალციხელი შუა გაკვეთეს, გაურკვეველია, როგორც წესი სარწმუნოებისათვის თავდადებული ყველა თავის მოკვეთით ისჯებოდა (ევსტათი მცხეთელი, აბო, კონსტანტინ კასი, მიქელ გობრინი და სხვ.).

მიუხედავად შალვა ახალციხელისა ტყვედჩავარდნის არადამაჯერებლობისა, გრ. აბაშიძის რომანი უდავოდ ითვლება შალვა ახალციხელის გმირულ-პატრიოტული ცხოვრების ამსახველ ჯერ-ჯერობით ერთადერთ ნაწარმოებად, რაც ჩვენი ღრმა რწმენით, საკმარისი არ არის ამ დიდი პიროვნების სრულყოფილად გასაცნობად. მით უმეტეს ჩვენი ძუნწი მატთანეებიც რამდენჯერმე ახსენებენ მას. თუმცა ისინი, ძირითადად, მეფეთა ცხოვრებას ასახავენ და მათ შორის ერთიდაიგივე სარდალს სამჯერ-ოთხჯერ რომ შეაქებენ, ეს იმას მოწმობს, რომ ეს მხედარმთავარი მეფეზე ძლიერია.

ვფიქრობთ, რომ შალვა ახალციხელი, როგორც მატთანეებში, ისე ქართულ მწერლობაში, არ არის სრულყოფილად წარმოჩენილი, თუნდაც ისე, როგორც ის ერს წარმოუდგენია.

ხალხმა თავისი სიყვარული და პატივისცემა გმირისადმი გამოხატა ლექსებით და თქმულებებით, მათ შორის ლექსითა და სიმღერით “შავლეგო”, რომელიც გიორგი ლეონიძის გამოკვლევით ეძღვნება შალვა ახალციხელს.

მემატიანე მხოლოდ შურით ხსნის ათაბაგის ღალატს ახალციხელისა და ქვეყნისადმი, მაგრამ აუხსნელია მესხთა დაღუპვის და შალვას ტყვედ ჩავარდნის შემდეგ რატომ არ ჩაება ომში და რატომ გაუშვა ათაბაგმა ხელიდან თავის გამოჩენის შესაძლებლობა.

მწერალი ამ ფაქტის ასახვისას შურთან ერთად მოწამლულ ღვინოსაც ანიჭებს მნიშვნელობას, რომელიც ფარულად შეუგზავნეს. თუმცა არც ეს იძლევა ასეთი დიდი და დამღუპველი ღალატის ახსნას.

ჩვენი რწმენით, მომზადდა კონსპირაციული და მაღალ დონეზე დაგეგმილი ღალატი ქართული სახელმწიფოს წინააღმდეგ, რომელშიც ანტიქართული ძალები ჩაებნენ დიდი მასშტაბით, რაც უშუალოდ ჩვენი ქვეყნის სრულ განადგურებას ისახავდა მიზნად. ამ ვერაგულ შეთქმულებაში ჩანან სამეფო კარის მაღალჩინოსანი პირები., რომლებმაც ქვეყანაზე უნდა იზრუნონ, ხელისუფლებაც მათ ხელშია და სამეფოს დაქცევაც. საჭირო იყო მხოლოდ ახალციხელთა მოშორება. ამ აზრს ისიც ამყარებს, რომ ივანე ახალციხელი ციხიდან ნასროლი ქვით მოკვდა.

გრ. აბაშიძის რომანები “ლაშარელა” და “დიდი ღამე” მიუხედავად იმისა, რომ იგი კონკრეტულად არ ეძღვნება შალვა ახალციხელის ცხოვრებას, მაინც გვიქმნის გარკვეულ წარმოდგენას ამ გმირის შესახებ. ცოცხლდება ჩვენში მისი ნათელი სახე, ქვეყნისთვის მძიმე პერიოდში. იგი ჩანს როგორც, მეომარი, მეფის და ქვეყნის ერთგული და თავდადებული მამულიშვილი.

მწერალი ახალციხელის ისტორიული სახის დახატვისას ეყრდნობა “ქართლის ცხოვრებას” (ყამთააღმწერელს), იგი არ არღვევს ისტორიულ თანმიმდევრულობასა და ისტორიულ ფაქტებს. მხატვრული გამონაგონით ავსებს მემატიანეთა მიერ დატოვებულ

სიცარიელეს გმირის ცხოვრებაში, იძლევა ახალციხელის შთამბეჭდავ პორტრეტს და მთლიანობაში ორიოდ ფაქტის გამოკლებით (ტყვედ ჩავარდნა და სიკვდილი) შალვა ახალციხელის სახისმეტყველებას შეესატყვისება მწერლის მხატვრული გამონაგონი.

მწერალი შალვას ცხოვრებას უკავშირებს ქვეყნის მდგომარეობას, მისი ჩამოშორება სამეფო კარიდან ქვეყნის დაცემის მანიშნებელია, ხოლო მისი ტყვედ ჩავარდნა და სიკვდილი საქართველოს ტრაგედიაა.

სარგის თმოგველის ისტორიულ-ლიტერატურული სახე

სარგის თმოგველი XIII საუკუნის შუა წლების ერთ-ერთი ცნობილი სახელმწიფო პოლიტიკური და სამხედრო მოღვაწეა. იგი საქართველოს ისტორიასა და ქართულ მწერლობაში მოიხსენიება როგორც პოეტი, დიდად განათლებული და ფართო ერუდიციის მწიგნობარი. სარგისის ზედწოდება თმოგველი მიგვანიშნებს, რომ ის იყო თმოგვის ციხე-სიმაგის მფლობელი, ანუ თმოგვი მისი სამემკვიდრეო ქალაქი ყოფილა. ეს დადებული და მტერთაგან შეუვალი ციხე-ქალაქი მესხეთში ხერთვისსა და ვარძიას შორის დგას და მისი მტკიცე ბასტიონები დღესაც სიამაყის გრძნობას აღძრავს მნახველში. იგი ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ადმინისტრაციულ-საფორთიფიკაციო ნაგებობა იყო სამცხე-ჯავახეთში, რომელიც აკონტროლებდა მტკვრის ხეობას ხერთვისიდან თითქმის არტაანამდე და ამ მონაკვეთის საქარავნო გზას. თმოგვის კულტურულ დონეზე მეტყველებს ვარძია, ვანის ქვაბი, ზედა ვარძია წყაროსთავი და მრავალი ეკლესია-მონასტერი, რომელიც ფუნქციონირებდა თმოგველთა სამფლობელოში.

სარგის თმოგველის სახელი გვხვდება “ქართლის ცხოვრებაში”, ჟამთააღმწერლის მატიანეში და შოთა რუსთაველის “ვეფხისტყაოსნის” დასასრულში. XX საუკუნის მწერალთაგან სარგის თმოგველის ისტორიულ სახეს ასახავს გრ. აბაშიძე თავის რომანში “ცოტნე ანუ ქართველთა დაცემა და ამაღლება”, რომელშიც იგი წარმოჩენილია როგორც მეორე ხარისხოვანი პერსონაჟი და ისიც ფრაგმენტულად, მაგრამ ეს ფაქტიც მნიშვნელოვანია თმოგველის ისტორიული სახის მხატვრულად გააზრებისათვის. რადგან ქართველი მკითხველი არ არის განებრივრებული ჩვენი ისტორიული გმირებისა და გარდასული საუკუნეების მწერალთა და პოეტთა ცხოვრების შესახებ შემონახული წყაროებით. გრ. აბაშიძის აღნიშნული რომანი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი თხზულებაა მონგოლთა ბატონობის ძნელი პერიოდისა და თმოგველის მხატვრული სახის წარმოსაჩენად.

მწირია, აგრეთვე, ჟამთააღმწერლის მიერ შემონახული ცნობები სარგის თმოგველის შესახებ. იგი მას იხსენიებს, როგორც კოხტას თავის შეთქმულების მონაწილეს.

ჩვენი მემატთანე სიტყვაძუნწია, საერთოდ, მაგრამ თუ გავითვალისწინებთ, რომ ოცდაერთი საუკუნის ისტორიას ამდენივე ვრცელი წიგნი სჭირდება. მეტნაკლებად სრულყოფილად რომ აისახოს ერის წარსული, ამდენად სიტყვაძუნწობა ამ კონტექსტში პირობითია და არა შეფარდებითი. მატთანეში მრავალი მეფე მოიხსენიება ერთხელ, ერთი-ორი წინადადებით და ცხადია, სარგის თმოგველის გამო ნაკლები სასაყვედურო გვაქვს ჟამთააღმწერლისადმი. იგი ხუთჯერ მაინც იხსენიებს მას: ერთხელ, როგორც აღვნიშნეთ, კოხტას თავის შეკრების დროს, მეორედ დავით ლაშა-გიორგის მის მოძებნისა და გამეფებასთან დაკავშირებით გამართულ ბჭობაზე. მესამედ, სარგისი მოიხსენიება დევნილი უფლისწულის ჩამოსაყვანად წარგზავნილ დესპანებთან — ანგურაგ ნოინთან და ვარამ გაგმელთან ერთად.

საყურადღებო ფაქტია, რომ მონგოლ-დამპყრობელთა სისასტიკე ცნობილია მთელ მსოფლიოში, მათ არაერთი ქვეყანა გაუნადგურებიათ და ქალაქები მოუსპიათ და ამ დროს მონგოლი ნოინი და არა მარტო ერთი ნოინი ოთხივე ჩორმალანი, იოსური, ბიჩუ და ხსენებული ანგურაგი მომხრეა საქართველოს მეფე ჰყავდეს და კიდევაც გაუკვირდათ რუსუდანის ავი მოქმედება ძმისწულისადმი. მათ შანსი ჰქონდათ ქვეყანა უმეფოდ დაეტოვებინათ და შემდეგ იოლად მოესპოთ. მაგრამ პირიქით, თვითონ ზრუნავენ ქართველთა უფლისწულის გადარჩენასა და გამეფებაზე, რასაც აბსოლუტურად საპირისპიროდ აკეთებს XIX საუკუნის მათი მემკვიდრე რუსეთის იმპერია, იგი საქართველოს ანექსიისთანავე აუქმებს ქართულ სამეფოს, ხოლო მონგოლები უმეფოდ დარჩენილ საქართველოსთვის მეფეს ეძებენ. ცხადია, ამას ისინი თავიანთი სამხედრო პოლიტიკური მოსაზრების გამო აკეთებენ, მაგრამ აღნიშნული პარალელი მეტად ნიშანდობლივია. ამით ირკვევა დამპყრობლის სახე, აქედან ჩანს ვის დაპყრობა უნდოდა და ვის მოსპობა, მართალია ორივე დამპყრობელია, მაგრამ მიზანი, როგორც ჩანს, სხვადასხვა ჰქონდათ.

ჟამთააღმწერლის მონაცემები მოწმობენ სარგის თმოგველის მაღალ ავტორიტეტს, მის ერთგულებას ქვეყნისადმი და მაღალ მამულიშვილურ შეგნებას.

კოხტას თავის შეკრების აღწერისას ჟამთააღმწერელი სარგის თმოგველს რვა უპირველეს წარჩინებულთა შორის ახსენებს. ესენია “ეგარსლანი, ცოტნე დადიანი, ვარამ გაგელი, ყვარყვარე, კუპრი შოთა, თორღაი, თორელ-გამრეკელი, სარგის თმოგველი” (28-245), სავარაუდოა, რომ ისინი ძირითადად დუმნის თავები ანუ ბევრის (100000) თავები არიან. თუმცა ივანე ჯავახიშვილი ზოგიერთ მათგანს და მათ შორის სარგის თმოგველს დუმნის თავად არ ასახელებს. მაგრამ საეჭვოა, რომ ერთი ციხის მფლობელი ისე აღიარებული ყოფილიყო და ისეთი გავლენიანი ქართველთა და მონგოლთა შორის როგორც თმოგველი იყო.

კოხტას თავის შეთქმულებაში მონაწილეობა, თავისთავად, მის პატრიოტულ მრწამსზე მეტყველებს, ამავე დროს მის სიმამაცესა და თავგანწირვას უსვამს ხაზს სამშობლოსა და ქართველი ერისათვის. დიდი რისკი იყო, მონგოლებს ამოეწყვიტათ არა მხოლოდ შეთქმულების მონაწილენი, არამედ მათი ოჯახები, საგვარეულო და მამული. ცხადია, კოხტას თავის შეთქმულებიდან, ძირითადად, ყველა ქვეყნის ერთგული და

თავდადებული გმირი იყო, რაც არ ჩანს გრიგოლ აბაშიძის რომანში, მწერალს ეს საბედისწერო შეთქმულება მკრთალად აქვს ასახული, აქ არ იგრძნობა არც დრამატიზმი, არც დამაბულობა, არც პასუხისმგებლობა და მობილიზება. არ ჩანს მათი მოქმედების გეგმა და სამხედრო სტრატეგია ძლიერ მონგოლთა არმიის წინააღმდეგ. კოხტას თავის შეკრება ძალიან ჰგავს 1832 წლის შემოქმედებას, ორივე შემთხვევაში არ იკვეთება მოქმედების რეალური მიმართულება. ეს უფრო მამაცობის დემონსტრირებაა და არა ბრძოლისთვის მზადყოფნა. კოხტას თავის აქტი შედარებით ნათელია, რადგან მათ უპირველესი ამოცანა გარკვეული აქვთ, ეს არის ლაშქრის შეკრება, ბევრის თავთა გაერთიანება, ერთიანი ლაშქრით მონგოლებზე იერიშის მიტანა და ბრძოლა მათ წინააღმდეგ. ამ შეკრებაზე გადაწყდა ომი თათართა წინააღმდეგ. “...შეკრებით ყოველნი, და ვბრძოდით თათართა. დაამტკიცეს ომი, და დადეს პაემანი ქართლს შეკრებისა” — წერს მემატთანე. (28-215).

ცხადად იკვეთება ქართველთა ბრძოლისუნა-რიანობა სულიერი სიმტკიცე, რასაც ვერ ვიტყვით 1832 წლის შეთქმულებაზე, რომელთა შორის “რუსეთუმეებიც” საკმარისი იყო. ამდენად გაცემითაც ჰგავს ერთმანეთს ეს ორი შეთქმულება. კოხტას თავის მონაწილეთა დასმენა უფრო ბუნდოვანია. მატთანის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ ექვი ეგარსლანზე მიდის, მას ჰქონდა მონგოლთაგან დავალებული საქართველოს მართვა და ცხადია, ის ამ პრივილეგიების შენარჩუნებას შეეცდებოდა. მით უმეტეს, მეორე შეკრებაზე, სადაც ლაშას ძე დავითის მოძებნა გადაწყდა. ეგარსლანი აღარ ესწრებოდა და არც მათ შორის იყო, ვინც ტყვეობიდან დაბრუნებულ უფლისწულს შეეგება.

სარგის თმოგველი ცოტნე დადიანთან ერთად ამ შეთქმულების ერთ-ერთი მთავარი, სანდო და ქვეყნის ერთგული გმირია. კოხტას თავზე, ცხადია, როგორც ღრმად განსწავლული ბრძენი და დიდებული ორატორი საინტერესოდ გამოჩნდებოდა და დიდ გავლენასაც მოახდენდა დამსწრეებზე სწორი და სამართლიანი გადაწყვეტილების მისაღებად. მემატთანე ამ საკითხზე დუმს და უფრო მეტად დუმს მწერალი გრ. აბაშიძე, რომელიც თავის რომანში, თითქოს, შეგნებულად უვლის გვერდს სარგის თმოგველის პიროვნებას, მართალია მას აქცენტი ცოტნე დადიანზე აქვს გადატანილი, მაგრამ არც ცოტნეა ნათლად და მკაფიოდ ასახული. მწერალი აკაკი წერეთლის “ნათელას” ეყრდნობა ცოტნესა და სხვა შეთქმულთა გამოხსნის აღწერისას. სადაც ცოტნეს ცოლი ასრულებს გადამწყვეტ როლს შეთქმულთა გამოხსნაში, მაგრამ არც მატეანეში, არც “ნათელში” და არც გრ. აბაშიძის რომანში გადმოცემული არ არსი ცოტნეს შემდგომი ბედი. მემატთანე წერს, რომ “განუშვნეს ყოველნი ესე წარჩინებულნი. და განიყვეს მთავარნი საქართველოსანი და წინააღმდეგომ იქმნეს ურთიერთას”. (28-217). მაგრამ ამ განყოფასა და დაპირისპირებაში რა ადგილი უკავია ცოტნეს, ეს აღარ ჩანს. სარგის თმოგველი კი კვლავ იბრძვის ქვეყნის გადასარჩენად, იგი წარმატებით აგრძელებს დავით ლაშას ძის ძებნას. ცოტნეს კი საერთოდ აღარ ახსენებს ჟამთაღმწერელი. იგი აღარ ჩანს მეორე, დავითის მოძებნისა და გამეფების მიზნით შეკრებილ ქართველ მთავართა შორის. ამ შეხვედრაზე არიან “შანშე, ვარამ გაგელი, ყვარყვარე ჯაყელი, სარგის თმოგველი, კაცი მეცნიერი და ფილოსოფოსი და რატორი, სურამელი გრიგოლ,

ქართლის ერისთავი, გამრეკელი თორელი, ორებელნი”. (28-217). აქ აღარ არიან ცოტნე დადიანი, ეგარსლანი, კუპრი შოთა, თორღაი. შეკრებილთა შორის მხოლოდ გრიგოლ სურამელია ქართლიდან სხვა ყველა მონაწილე სამცხე-ჯავახეთის მთავარია. როგორც შემდეგში გამოჩნდება მათგან ყველაზე მნიშვნელოვანი ავტორიტეტი სარგის თმოგველია. ჯერ ერთი, მემატიანე ახასიათებს მას, როგორც მცოდნე და განათლოებულ კაცს, ამავე დროს მას უწოდებს ფილოსოფოსსა და რიტორს. იგი სხვა არც ერთი მონაწილის ღირსებებს არ აღნიშნავს და არაფერს წერს მათ გონებრივ მონაცემებზე. და მეორეც, დავითის წამოსაყვანად სულთანთან სწორედ სარგის თმოგველი მიდის ანგურაგ ნოინთან და ვარამ გაგველთან ერთად. რაც იმაზე მეტყველებს, რომ სამეფოს უპირველესი პრობლემა-მეფის ჩამოყვანა მიენდო ყველაზე სანდო და უნარიან ადამიანებს სარგის თმოგველს ვარამ გაგველთან ერთად. ამ პერიოდის მთავართა შორის ურთიერთდაპირისპირების ფონზე ძნელი იყო მეფის ერთგულისა და ქვეგამხედველის გარჩევა. მაქსიმალური სიფრთხილე და მკაცრი დამაჯერელი ფაქტები იყო საჭირო შერჩეულიყო კაცი, რომელიც ჯერ თურქთა ტყვეობიდან მოიყვანდა უფლისწულს, რაც სარგისმა ბრწყინვალედ შეასრულა და მერე უფლისწულს წაიყვანდა ბათო ყაენთან ურდოში მეფობის დასამტკიცებლად. ეს მეორე, უფრო რთული მისია, ისევ სარგისს დაეკისრა. თანმხლები პირები შეიცვალა, მას ახლა შანშეს ძე ზაქარია და ვარამის ძე აღბულა ახლავს. ხოლო სარგის თმოგველი კვლავ დარჩა მეფის შვილის ურდოში ჩაყვანასა, მეფედ დადგენასა და უკან დაბრუნებაზე მთავარ პასუხისმგებელ ავტორიტეტად. ეს უფრო მკვეთრად გამოჩნდა ბათო ყანის კარზე, ბათომ ყარყურუმში მანგუ ყაენთან გაგზავნა სარგისი და დავით ლაშას ძე, ხოლო თავისთან დაიტოვა ზაქარია შანშეს ძე და აღბულა ვარამის ძე. ცხადია, მხოლოდ სარგის თმოგველს მოუწია მარტოდ-მარტოს ბრძოლა დავით ულუს გამეფებისათვის. მის პოლიტიკურ დონესა, დიპლომატიასა და მჭევრმეტყველებაზე იყო დამოკიდებული ლაშა-გიორგის ძეს, თამარ მეფის შვილიშვილს მეფედ დაადგენდა ყაენი, უარით გამოისტუმრებდა თუ დაატყვევებდა ან მოკლავდა. მას უნდა დავით ნარინის ირგვლივ შეკრებილი ოპოზიციისთვის ეჯობნა, რომელიც რუსუდანის ძესთან ერთდ სარგის თმოგველსა და ლაშა-გიორგის ძე დავითზე დიდი ხნით ადრე იყვნენ ყაენის კარზე და ცდილობდნენ მამით თურქი დავით ნარინის გამეფებას, რომელსაც თან ახლდნენ იმ პერიოდის წარჩინებულნი. “ათაბაგი ავაგ, სურამელი, გამრეკელი, ამირეჯიბი ბემქენ. აი, ამათ წინააღმდეგ უწევს სარგისს გამოსვლა ყაენის წინაშე, იგი უპირისპირდება თავისთან შეზრდილ ერისთავებს, ამ დროს ვლინდება მისი ლოგიკური აზროვნება, პოლიტიკური ალღო და მონგოლთა ტრადიციების საფუძვლიანი ცოდნა. მან კარგად უწყობდა მონგოლეთში მამაკაცის კულტი ძლიერი იყო, ხოლო ქალს პოლიტიკასთან კავშირი არ ჰქონდა, ამიტომ იგი ამ ტრადიციას და თავის შეხედულებას მეფის შერჩევის თაობაზე ერთმანეთთან აკავშირებს და მყარი არგუმენტებით იცავს დავით ულუს გამეფების აუცილებლობას. “თმოგველი სარგის ძლიერად წინ აღუდგებოდა თვით ნარინ დავითს და რომელნი მის წინაშე იყვნენ თანაზრდილნი მისნი, რამეთუ ეტყოდა: “არა ჯერს არს,

რათამცა ნაშობმან დედაკაცისამან დაიპყრას მეფობა და არა ძემან თვითმპყრობელისა მეფისა მამაკაცისამან” (28-25).

ოპოზიციის არგუმენტი, რომ დავით ნარინი დედაკაცის ნაშობია, მაგრამ რუსუდანი გიორგის მიერ იყო მეფედ დატოვებული და ნარინიცა მეფისავე ძეაო. სარგისის არგუმენტებთან შედარებით არამტკიცე და არა დამაჯერებელი ჩანს, მათი აზრით, ისე გამოდის თითქოს ლაშას თავისი დის გამეფება უნდოდა და არა თავისი ვაჟიშვილის. ამასთან მონგოლთა შორის მამაკაცის გაფეტიშება, გამორიცხავდა ქალის როლს და ადგილს სამეფო ცხოვრებაში და ამ მხრივ ოპოზიცია ვერ გაიტანდა დავით ულუს უკანონოდ შობის საკითხს. ცხადია თმოგველის გონიერებამ და ლოგიკამ თავისი გაიტანა და მიუხედავად იმისა, რომ ორივე დავითი დაადგინეს მეფედ, დავით ულუ მაინც უპირატესი უფლებებითა და ავტორიტეტით სარგებლობდა, როგორც ქართველთა, ისე მონგოლთა შორის.

ჟამთააღმწერლის მატიანეში შემონახულია ცნობა სარგის თმოგველის პოეტური მემკვიდრეობის შესახებ. იქ, სადაც იგი მოგვითხრობს სარგისის ყაენის კარზე დავით ნარინის წინამძღვრად გამოსვლის შესახებ, არშიაზე მიწერილია: “ესე სარგის თმოგველი იგი არს, რომელმან დილარიანი აღნაქვსა”. (28-224): რაც იმას მიგვანიშნებს, რომ იმ პერიოდის ქართული საზოგადოება კარგად იცნობდა სარგის თმოგველის პოეზიას, მის პოემას და დიდად აფასებდა მას.

მატიანეში შემონახული სარგის თმოგველის ისტორიული სახე სულ სხვაგვარად ასახა გრ. აბაშიძემ თავის რომანში “ცოტნე ანუ ქართველთა დაცემა და ამაღლება”. იგი ისტორიის სახეთა გათანამედროვეობას ცდილობს, მას მკითხველი კი არ გადაყავს წარსულში, არამედ გმირი გადმოყავს წარსულიდან აწმყოში, ეს მეთოდი გარდასული პერიოდის და გმირების სრულყოფილად აღქმისათვის სასურველი არ არის. ეს საბჭოური მიდგომა ისტორიული რომანისადმი, რაც გულისხმობდა წარსულის საბჭოური იდეოლოგიისთვის გამოყენებას, ამ გზით გმირი წყდება თავის ისტორიულ გარემოს და აღარ ემთხვევა ერთმანეთს პერსონაჟის ქცევა და ცხოვრებისეული მრწამსი. ერთმანეთს შორდება მხატვრული სივრცე და დრო. ამიტომაც წარმოჩნდა სარგის თმოგველი და თვითონ ცოტნე დადიანიც გაფერმკრთალებულნი და თავიანთი ეპოქის პრობლემებს მოწყვეტილნი, ამიტომ დაემსგავსა რომანში კოხტას თავის შეთქმულება პროფკავშირის კრებას.

რომანის იდეა საინტერესო და სასურველია, მაგრამ მისი ხორცშესხმის ფორმა არ შეესაბამება იდეას. იდეა ქართული ზნეობისა და სულიერი ამაღლებს ჩვენება, ხოლო მისი წარმოსახვის ფორმა საბჭოური იდეოლოგიური პრინციპი. ისტორიული ფაქტები და გმირები მეოცე საუკუნის 70-იანი წლების ეპოქას ძნელად შეესაბამება. ამიტომ მწერალს უწევს ისეთი ფაქტების და პასაჟების ასახვა, სადაც მათი ერთმანეთთან შეხამება შესაძლებელია. ასეთ ეპიზოდად ისახება ჯვაროსნების მიერ მარტლმადიდებელთა მონასტრის დარბევის გამო თბილისში მოედანზე შეკრებილი ხალხის წინაშე კონსტანტინოპოლის ქართველთა მონასტრის წინამძღვრის გამოსვლა, სადაც პირველად ჩნდება სარგის თმოგველი, როგორც პერსონაჟი, ახალგაზრდა კაცი, ცოტნესთან

დაახლოვებული და მისი მეგობარი, რომელთან ერთადაც სწავლობს თბილისში, ათონის იბერთა მონასტრიდან მოწვეული მოღვაწის ხელმძღვანელობით, რომლის სასულიერო წოდებას ავტორი შეგნებულად არ ასახელებს. როგორც ჩანს, არ უნდა მასწავლებელი ძველი ეკლესიური სტატუსით მოიხსენიოს და ამით თავისი თანამედროვეობა აჩვენოს.

სარგის თმოგველი ამ ეპიზოდში ავლენს თავის მართლმადიდებლურ ხედვას ჯვაროსნებისა და ბერძენთა ურთიერთობაზე. იგი აშკარად არ იზიარებს ჯვაროსნებთან ერთად ომში ჩართვას, უარყოფითად უყურებს რომის პაპს და მხარს უჭერს წინამძღვრის გამოსვლას ხალხის წინაშე, რომელიც ბრალს სდებს პაპსა და ჯვაროსნებს კონსტანტინოპოლის გამარცვასა და ქართველთა მონასტრის დარბევა-გადაწვის გამო. “თვითონ ფრანგი ჯვაროსნებიც თავს იმით იმართლებენ, რომის პაპის რჩევითა და ლოცვა-კურთხევით გადავდგით ეს ნაბიჯიო” — ეუბნება სარგისი ცოტნე დადიანს. (25-151). ამავე კონტექსტში ვლინდება მისი მაღალი შეფასება ხელოვნებისა. წუხს ჯვაროსანთა მიერ ქანდაკებების დამსხრევის გამო “ეს გაცილებით დიდი დანაშაულია კაცობრიობის წინაშე, ვიდრე ეკლესიების მარცვა და სასახლეების დარბევა. (28-154). ეს მოსაზრება, რომელსაც მწერალი სარგის თმოგველს ათქმევინებს XX საუკუნის 70-იანი წლების ათეისტური აზრია და არა XIII საუკუნის მორწმუნე ერისთავისა, რომელსაც საბჭოთა მოქალაქის შეხედულებათა საპირისპიროდ ეკლესია სულიერ სიწმინდესთან ერთად ყველაზე წმინდა მატერიალური სიმდიდრეა. ეს მწერლის მხატვრული ლაფსულია, მაგრამ კეთილი განზრახვით განპირობებული, მას უნდა სარგისი წარმოაჩინოს თავისი დროისათვის დამახასიათებელი სულისკვეთებით. ამდენად სარგის თმოგველი, ცოტნე დადიანი, ბექა ჯაყელი, თორღვა პანკელი და სხვები სუფრაზე შეკრებისას, მსჯელობასა და ურთიერთობაში სტუდენტებს უფრო ჰგვანან, ვიდრე მომავალ ლომგულ ერისთავებს, რომელთაც ქვეყნის ბედი უნდა წარმართონ ისტორიის რთულ პერიოდში.

სარგის თმოგველი კვლავ ფრაგმენტულად გამოჩნდა ლაშა-გიორგის სიკვდილის დროს, როდესაც ლაშა რუსთაველის სიტყვებით მიმართავს სარგის და თან ჰკითხავს სწორად წარმოსთქვა თუ არა შოთას სტრიქონები, ეს ფაქტი მიგვანიშნებს, რომ თმოგველი აღიარებული პოეტი იყო მეფის თვალში.

კვლავ ფრაგმენტულად იელვებს სარგისის სახე ანისში მოედანზე შეთქმულებთან ერთად გათოკილს, ტანშიშველს, თაფლწასმულსა და ბუზებითა და ფუტკრებით დაფარულს. ალოგიკურია, რომ გრ. აბაშიძე კოხტას თავზე მას არ ასახელებს შეკრების მონაწილეთა შორის და დასჯილებში აღწერს მის მდგომარეობას.

სამწუხაროა, რომ ჟამთააღმწერელი ხუთჯერ იხსენიებს სარგის თმოგველს, მწერალი გრ. აბაშიძე კი თავის რომანში სულ სამჯერ ახსენებს და ისიც ფრაგმენტულად. მაგრამ ეს ფაქტიც მნიშვნელოვანია ჯერ კიდევ შეუსწავლელი და გამოსაკვლევი სარგის თმოგველის ცხოვრებისა და შემოქმედების გასააზრებლად.

სარგის თმოგველის შემოქმედების შესახებ საყურადღებო ცნობაა შემონახული შოთა რუსთაველის “ვეფხისტყაოსანში”. პოემის დასასრულში ცნობილი ბოლო სტროფი

იხსენიებს სარგის თმოგველს, როგორც პოეტს მოსე ხონელთან, შავთელთან და რუსთაველთან ერთად.

*“ამირან დარეჯანის მე მოსეს უქია ხონელსა,
აბდულ-მესია-შავთელსა, ლექსი მას უქეს რომელსა,
დილარგეთ - სარგის თმოგველსა, მას ენადაუმრომელსა,
ტარიელ-მისსა რუსთველსა, მისთვის ცრემლ-შეუმრობელსა.”*

ამ სტოფში მოხსენიებული პოეტების შესახებ ძალიან მცირე და უმნიშვნელო ცნობებია დღემდე შემონახული, მაგრამ მათი შემოქმედებიდან შოთა რუსთაველის პოემა ქართული პოეზიის ცოცხალი და უკვდავი ხატია, რომელიც ჩვენმა ერმა შემოინახა. მოსე ხონელისა და შავთელის თხზულებებმა სახეცვლილი ვარიანტებით მოაღწია ჩვენამდე. სამწუხაროდ, სარგის თმოგველის ”დილარიანი” დაკარგულია, რაც ძირითადად მონგოლ დამპყრობელთა მოქმედებით უნდა იყოს გამოწვეული. მათ მიერ ქართველ და სხვა ერთა დაუნდობელი რბევა, ხოცვა-ჟლეტა, აოხრება ანგრევდა ქვეყნის კულტურას. ამ პროცესებს ნათლად და რეალურად აგვიღწერს ჟამთა-აღმწერელი თავის მატეანეში. მონგოლთა უკულტურობით და ბარბაროსობით განადგურებული და დაცემული ერი უდანაკარგოდ ვეღარ შემოინახავს და ვერ განავითარებს კულტურასა და მწერლობას. სწორედ მონგოლთა უღელქვემ მოუწია სარგის თმოგველს მოღვაწეობა და ბუნებრივია, მისი პოემა, ვეღარ გამრავლდა, ვერ გადაწერეს გადამწერებმა, ამ განწყობაზე არც სამეფო კარი იყო და არც ეკლესია, სამეფო კარი დარბეული და მეფე ექსორაქმნილი, აღარც მწიგნობართუხუცესია ქვეყანაში და აღარც მწიგნობრობა. მონგოლთაგან გაპარტახებულ სახელმწიფოში აღარავის ჰქონდა საშუალება და მდგომარეობა, რომ ”დილარიანი” გადაეწერა. შოთა რუსთაველის ეპოქაში პირიქით, საქართველო ძლიერი, განვითარებული, დამოუკიდებელი და სხვა ქვეყანათა მპყრობელია. მწერლობა, სამეფო კარის კულტურა უმაღლეს დონეზეა განვითარებული, ”ვეფხისტყაოსანს” რუსთაველის სიცოცხლეშივე გადაწერდნენ მწიგნობარნი. სარგისს კი, რომელიც რუსთაველის შემდგომი თაობაა, რუსუდანსა და ლაშა-გიორგიზე უფრო უმცროსი, სხვა, ავბედით დროში მოუწია მოღვაწეობა. საინტერესოა უშუალოდ შოთას შემოქმედებით ტრადიციებზე გაზრდილი თმოგველის პოემა როგორი იქნებოდა.

”ვეფხისტყაოსნის” აღნიშნული სტროფით თუ ვიმსჯელებთ და მის სტრუქტურასა და პოემების სათაურთა განლაგების თანმიმდევრობას დავუკვირდებით, შეიძლება გავარკვიოთ სარგის თმოგველის ადგილი ამ ოთხ მწერალთა შორის. სტროფი რუსთაველისაა თუ იტერპეტატორისა, ნათლად წარმოაჩენს, რომ ყველაზე მაღლა დგას ”ვეფხისტყაოსნის” ავტორი. სტროფი ამ პოემას ერთვის და ცხადია, პირველ რიგში მისი ავტორი უნდა შეაქოს. ამდენად თანმიმდევრულობა უნდა ავითვალოთ ბოლო სტრიქონიდან, რომელშიც შოთა რუსთაველია ნახსენები. ხოლო მესამე სტრიქონში სარგის თმოგველი, თანაც ბრწყინვალე ეპითეტით ”ენადაუმრომელი”, რაც გვამღევეს

საშუალებას ვიფიქროთ, რომ სარგისის პოემას ამ სტროფის ავტორი "ვეფხისტყაოსნის" შემდეგ მიაკუთვნებს ადგილს დასახელებულ ოთხ ნაწარმოებთან შორის.

"ვეფხისტყაოსნის" აღნიშნული სტრიქონების გარდა, შეიძლება სარგის თმოგველის ადგილზე ჩვენი ერის ისტორიაში ვიმსჯელოთ ჟამთააღმწერლის მონაცემების მიხედვით. დასახელებული ოთხი მელექსედან და არა მარტო მათგან, არამედ სხვა პერიოდის მწერალთაგანაც. მატეანეში მხოლოდ სარგის თმოგველის სახელი ფიგურირებს, სამწუხაროდ, სხვები და მათ შორის თვით შოთა რუსთაველიც არ მოქცეულა მემატეანის თვალთა ხედვის არეში. რა თქმა უნდა გასათვალისწინებელია ის ფაქტი, რომ სარგისი გარდა იმისა, რომ პოეტი იყო, ის თავისი პერიოდის ცნობილი სახელმწიფო პოლიტიკური მოღვაწე, ერისთავი და ეროვნული გმირი იყო.

გალაკტიონ ტაბიძე და ქართული ზეპირსიტყვიერება

გალაკტიონ ტაბიძის მდიდარი შემოქმედება მრავალ საკითხს აღძრავს და მათი ახლებური გადაჭრა კიდევ მეტ შუქს მოჰფენს მისი პოეზიის განვითარების მთლიან პროცესს. ერთერთი ასეთი საინტერესო საკითხია პოეტის ურთიერთობა ქართულ ზეპირსიტყვიერებასთან, ხალხური პოეტური ფორმებისა და სახეების დამუშავება, მისი ბრწყინვალე ლირიკა, ინდივიდუალური ხელთუქმნელი პოეზია ამაზე ფიქრის შესაძლებლობას ნაკლებად იძლევა, მაგრამ მკვლევართა ნაწილი (გივი ახვლედიანი, არჩილ სპარსიაშვილი უცხოელი ადოლფ ენდერი) გვთავაზობს გალაკტიონის შემოქმედების ფოლოკლორისტული თვალთახედვით წაკითხვას.

ნაშრომში საუბარია პოეტის მიმართებაზე ქართულ ფოლკლორთან, რომელიც ორგანულ ნაკადად ერწყმის მის მშვენიერ ლექსებს.

გალაკტიონის ხალხურ შემოქმედებასთან ურთიერთობას ყურადღება მიაქცია გერმანელმა მწერალმა და მეცნიერმა ადოლფ ენდლერმა. სტატიაში “ქართული პოეზიის მიმოხილვის ცდა”. მან გაანალიზა გალაკტიონის შემოქმედების გენეზისი, “გალაკტიონს, — აღნიშნავს, — ენდელსი აქვს ლექსის სრულიად “ახლებური შინაგანი ორგანიზაცია” და “ფარული” რითმა. დიდი წარმოსახვისა და ასოციაციების უნარის მქონე მკითხველს შეუძლია გალაკტიონის ლექსებში ხშირად აღმოაჩინოს ის მუსიკალურობა, რომელიც ბადალია მის მიერვე ლექსებში ხშირად მოხსენებული კომპოზიტორების – ბეთხოვენისა და მოცარტის, ვაგნერისა და კესტის, შოპენისა და პაგანინის გენერალური ქმნილებებისა. გალაკტიონს ჰქონდა “აბსოლიტური სმენა”, რის გამოც შეეძლო ენას მოქცეოდა ისე მკაცრად, როგორც კომპოზიტორი ექცევა ბგერებს. მისი პოეზიის კიდევ ერთი ღირსება იმაში მდგომარეობს, რომ თავის ლექსებში მეტად ფრთხილად ამუშავებს ხალხური შემოქმედების სათუთად აღებულ ნიმუშებს”. (36-4)

უცხოელ მკვლევარს უფრო ადრე შეუნიშნავს გალაკტიონის პოეზიის გენიალობის ერთი მხარე. საქართველოში ამ მხრივ გ. ახვლედიანის “გალაკტიონი და ხალხური შემოქმედება” ნაშრომი იშვიათი გამოჩვენებისა, რომელშიც გალაკტიონის შემოქმედების პოეტიკური ძირები ფოლკლორშიც არის დაფიქსირებული.

გალაკტიონი ლექსის მუსიკალურობაში დიდ როლს ანიჭებს ხალხურ შემოქმედებას. პოეტის აზრით, “ხალხური პოეზია გამოირჩევა სიმსუბუქით უბრალოებით მუსიკალურობით. ხალხური პოეზია შეგნებურად გაურბის მძიმე გამოთქმებს, იგი ბუნებრივია, კრისტალურად წმინდაა”. (33-179).

ხალხური პოეზია, ათასწლეულებში გამოვლილი ლექსი, საუკუნეების მანძილზე იხვეწებოდა, მდიდრდებოდა, ამიტომ იგი მდიდარია სახეთა მხატვრულობით. ენობრივად გალაკტიონი, ისევე როგორც ყველა დიდი შემოქმედი ქართველ ხალხთან, მშობლიურ მიწასთან ახლოს იყო. მისი ლირიკა ეროვნულ ძირებზე აღმოცენდა, რამაც განაპირობა მისი ესოდენ დიდი პოპულარობა.

ხალხური პოეზიისა და მუსიკის სიყვარული გალაკტიონმა დედის ნანასთან ერთად შეითვისა. დედამ აღუძრა ეს სიყვარული, რომელიც არასოდეს განელებია, პირიქით, წლების განმავლობაში უფრო და უფრო ძლიერდებოდა, იხვეწებოდა და თანდათან გადადიოდა ხალხური შემოქმედების ესთეტიკურ და ფილოსოფიურ განჭვრეტაში. ფოლკლორი მისთვის ერის კულტურისა და ფსიქიური წყობის განუყრელ ნაწილად იქცა. ლიტერატურულ წერილებში, მოგონებებში, დღიურებში საგულისხმო მოსაზრებები აქვს გამოთქმული ლიტერატურული და ხალხური ლექსის ურთიერთობაზე. ამ წერილებისა და პოეტის მიერ შეგროვებული ტექსტების გაანალიზებისას გ. ახვლედიანი ადასტურებს იმ ფაქტს, რომ გალაკტიონი საფუძვლიანად იცნობდა ხალხურ შემოქმედებას და მას მხატვრული ლიტერატურის უშრეტ წყაროდ მიიჩნევდა. პოემაში “საუბარი ლირიკის შესახებ” და უფრო ნათლად მის პროზაულ ვარიანტში “ლირიკაში” გამოთქმული მოსაზრებები ასახავენ პოეტის ლიტერატურულ პოზიციას. რაც გ. ახვლედიანის სამართლიანი შენიშვნით მოწმობს ხალხური პოეზიის სათავეებთან პოეტის განუყრელ კავშირზე.

სტატიაში პოეტი ხაზს უსვამს ლირიკის ეროვნულობას, რომლის პირველ წყაროდ ხალხურ სიმღერებს მიიჩნევს. — მუსიკალურად ამიტომაც ხალხური პოეზია ახალი პოეტური ფორმების წყარო. პოეტი აუცილებელ პირობად თვლის ხალხური და ლიტერატურული ლექსის შედარებით შესწავლას. იგი წერდა: “მეოცე საუკუნის ქართული პოეზია მოვიდა და დამკვიდრდა სრულიად ახალი რითმებითა და ასონანსებით, ახალი ლექსთწყობით, ახალი ხმოვანებით, შემოტანილ იქნა ახალი ფორმები (შემოვიდა ბალადა, გაზელი, სონეტი, ოკტავა, ტერცინები, ტრიოლუტები, სექტინა, რონდო, კონცონები და სხვა) და ჩვენ მოვალენი ვართ ვიცოდეთ კანონები, რომლებიც უბრალოდ არ დამკვიდრებულან, ჩვენი პოეზიის ტექნიკას ათასწლოვანი ისტორია აქვს. ჩვენ უნდა ვიცოდეთ ყველაფერი და როდესაც ჩვენ კარგად შევისწავლით ხალხურ შემოქმედებასაც ჩვენ შესაძლებლობა გვექნება ახალი ფორმების აღმოჩენისა” (36-202).

გალაკტიონი პრაქტიკულად ახორციელებდა აქ გამოთქმულ აზრს, იგი ეძებდა ხალხურ პოეზიაში ლექსის სხვადასხვა ფორმებს და პოულობდა კიდევ. ერთ-ერთ უნიკალურ ფორმა, რომელსაც ხალხურ პოეზიაში მიაგნო “სამაიანაა”. ეს “სამაიანი” უფრო ძველია, ვიდრე ტერცინი, რომლითაც დაწერილია დანტეს “ღვთაებრივი კომედია”, “სამაიანი” პოემის დაკვირვებით უძველესი ხალხური ხელოვნებიდან იღებს სათავეს. იგი უძველეს ხალხურ კულტურაში წარმოადგენს ცნობილ ფორმას, სადაც სიმღერა, ცეკვა და სამტაეპიანი ლექსი ერთიანდება. ეს ფორმა არა აქვს ქართულ კლასიკურ პოეზიას. “სამაიანს” პირველად გალაკტიონი იყენებს. იგი ქმნის სხვადასხვა მარცვლოვან ლექსებს, მაგ. ლექსი “აივანზე” ცხრა-ათ მარცვლოვანია:

“მითხარი გული, რა ფერისაა
ეხლა რომ შავი ჩრდილი ავლია
დავიწყებული ხიდი ვერისა?
ბილიკების გზა შემისწავლია,

ფოთლები დროსთვის გვიდარებია,
ამ ბილიკებით დრონი წავლიან.
ამ სახლიდან მიტარებია
ფეროული მერნის სადავე,
სად არცა წვიმაა, არც დარებია.

მანსარდაზე დგას შენი მხატვარი, პოეტი სული ირმიქალისა” (34-378). მკვლევარი “სამიანს” გარდა სხვა ფორმებზე არ ჩერდება, მართალია ეს განსაკუთრებით გამორჩეული ფორმაა, მაგრამ ხალხური ლექსის სხვა ფორმებიც არის გალაკტიონის პოეზიაში გამოყენებული და გარდაქმნილი. ავტორი ძირითად ყურადღებას ამახვილებს ფოლკლორიდან აღებულ თემატიკასა და სიმბოლიკაზე. პოეტის საარქვო მასალების ანალიზის საფუძველზე გ. ახვლედიანი მსჯელობს გალაკტიონის ფოლკლორულ ტექსტებზე მუშაობის შესახებ. პოეტს შეუდგენია ქართული ხალხური სიმღერების ნუსხა “ხევსურული ხალხური პოეზიის” მცირე რჩეული. პოეტი საკუთარ მეტრებს პარალელებს უძებნიდა, ხალხურ და კლასიკურ ნიმუშებთან აწყვილებდა. ამიტომაც არის გალაკტიონის ლექსი ნათელი და ხალხური. ამიტომ ნათლად წარმოაჩენს მისი პოეზია ერის სულიერ შინაარსს. მის აზრებსა და მისწრაფებას, მის გულისცემას. “ყოველივე, რაც საამაყოდ დამრჩენია, — აღნიშნავდა პოეტი, — შეძენილია არამარტო კაბინეტური შრომით, არამედ ხალხში ყოფნით, იქ მე ვარ გენიალური, საყვარელი, ძვირფასი ყველასათვის. იქიდან მოდის დიდება, იქიდანაა შუქი სიყვარულის, ძლევამოსილების, იერის, თაყვანისცემის, იქიდანაა ეს სიტყვები აღტაცების და სიხარულის, იქიდანაა მაღალი ძახილი ჩემ შესახებ, იქიდანაა ჩემი წარსული, ჩემი აწმყო, ჩემი მომავალი”. (33-209)

მკვლევარი გ. ახვლედიანი იძიებს გალაკტიონის პოეზიაში ხალხური პოეზიის საუნჯიდან ამოზრდილ სიმბოლოებს, მხატვრულ სახეებს. მსჯელობს ამ სახე-სიმბოლოების ადგილსა და მხატვრულ ფუნქციებზე. დიდი ადგილია ქვს დათმობილი ხალხურიდან მომდინარე მზის სიმბოლიკას. ამინდის სახეს, ისტორიულ ეროვნულ გმირებს და სხვა.

პოეტის მემკვიდრეობაში ხშირად გვხვდება სიტყვა მზე, მზის მხატვრული ფუნქცია ნაწილობრივ ხალხურის ანალოგია, მზე როგორც სიცოცხლის წყარო მზე — ქვეყნის ნათელი. პოეტი ეძებს უკეთეს ფორმას მზის სიდიადის გამოსახატავად ეს ნათლად ჩანს მის ლექსში “ზევით ასწიეთ მზე, ზევით!” სადაც შენარჩუნებულია ლექსის ფორმა “მზეო, ამოდი ამოდი!”.

მზეო, დაუდე საზღვარი
მწუხარე ფიქრთა ქროლასა,
მზეო, ამოდი, ამოდი,
ნუ ეფარები გორასა.

საწესო სიმღერის ფრაზები ორგანულად ერწყმის და ენივთება პოეტის ქმნილებას და ხელს უწყობს იდეური ჩანაფიქრის სრულყოფილ გახსნას.

პოეტი უგალობს მზეს, ხშირად იყენებს გამუთქმებს “მზიანი სული”, “ჩამავალი

მზე”, “მზეო თიბათვისა” და სხვა. ძნელია იმის თქმა, რომ ყველა ეს გამოთქმა ფოლკლორიდან იყოს აღებული, მაგრამ უდავოა, რომ ფოლკლორში მზის სახე უფრო ადრეულია და არა მარტო მზის.

გალაკტიონს მოსწონს ამირანის სახე, იგი ტიტანური გამძლეობით იხდის მარადიულ სასჯელს. ამირანი ერის განსახიერებაა, რომელიც ტყვეობას ვერ ეგუება და ისწრაფვის თავისუფლებისაკენ. ქედს არ იხრის უსამართლობისა და ძალადობის წინაშე. ამირანს მიუძღვნა პოეტმა არა ერთი ბრწყინვალე ნაწარმოები, პოემა “ამირანი”, “ოცნება კლდეზე”, “მშობლიური ეფემერა”, “როგორც ამირანი”: “მთვარის ნაამბობიდან”, “ამირანი მიჯაჭვული”, “მე მოვალ” და სხვა.

გალაკტიონის ამირანი მრავალფეროვანი სახეა. თუ პოემა “ამირანში” პოეტი გადმოგვცემს კლდეზე მიჯაჭვული, ტიტანის შინაგან განცდებს და მისთვის ჩვეული დამაჯერებლობით აჩვენებს სწორუპოვარ გმირის ხასიათს. “მშობლიურ ეფემერაში” პირშეკრულ კლდეებში ჩაკეტილი გმირის სახეა გადმოცემული, ამ დიდებულ, უადრესად პლასტიკურ ლექში მთელი საქართველოს ტკივილი ისმის:

“ველარ ვცნობილობ მშობლიურ ტყეებს,

ზამთარს ბილიკი დაუტანია...

“დიდი ხანია?” — მივმართავ ტყეებს,

და ტყე გუგუნებს დიდი ხანია!

შეხავსებია კლდეები კლდეებს,

იქ ვიღაც კვნესის დიდი ხანია,

“ამირანია?” — მივმართავ ტყეებს

და ტყე გუგუნებს: ამირანია!”

ფოლკლორი გალაკტიონის პოეზიაში ახალი სპეციფიკური საკითხია, რომლის გარკვევა ერთ-ერთი საინტერესო იქნება პოეტის მხატვრულ მემკვიდრეობის კვლევის ისტორიაში.

სოსელოს — იოსებ სტალინის მხატვრული შემოქმედება

სოსელო იოსებ სტალინის, იოსებ ჯუღაშვილის, ყრმობისდროინდელი სახელია. იგისიყმაწვილეში ლექსებს სოსელოს ფსევდონიმით აქვეყნებდა. დღეს მნელია გაუცნობიერებელი ადამიანისთვის იმის წარმოდგენა, რომ მსოფლიო მასშტაბის პოლიტიკური მოღვაწე პოეტური ნიჭითაც იქნებოდა დაჯილდოებული. იგი პოეტი იყო დაბადებით. უკვე 12-14 წლის ასაკში ბრწყინვალე პოეტური ლექსების ავტორი იყო. მის კალამს ეკუთვნის ლექსი, რომლითაც ქართველი ბავშვი იწყებდა მდიდარი ქართული პოეზიის შესწავლას, ეს იყო ლექსი “დილა”. რომელიც საუკუნეზე მეტ ხანს ისწავლებოდა სკოლაში და რომელიც იაკობ გოგებაშვილმა “ივერიაში” დაჭდვისთანავე შეიტანა “დედა-ენაში”.

14 წლის მოზარდისათვის ასეთი პატივი არამარტო იმ პეროდის, არამედ ყოველი დროის და ყოველი ქვეყნის სენსაცია იყო. მშობლიურ ენაზე შედგენილ პირველ სახელმძღვანელოში 14 წლის ბიჭის ლექსის დაბეჭდვა გაუგონარი ამბავია, რაც იმას მოწმობს “დილა” მხატვრულადაც და იდეურადაც ძლიერი ლექსია.

სოსელოს შემოქმედება სულ რამდენიმე ლქსით შემოიფარგლება. რომელთა შორის იდილის გარდა მნიშვნელოვანია ლექსი “მთვარე”, “და იმედები მიღორძინდება”, “შხამით აღსავსე ფიალა”, “თავად რაფიელ ერისთავს” და სხვა. რომლებიც წარმოაჩენენ ავტორის ყმაწვილობისდროინდელ ოცნებებსა და მხატვრულ აზროვნებას.

იოსებ სტალინი ერთ-ერთი პირველი სახელმწიფო პოლიტიკური მოღვაწე იყო, რომელმაც დიდი ღვაწლი დასდო ქართული ლიტერატურისა და კულტურის განვითარებასა და პოპულარიზაციას. იგი დიდ ყურადღებას უთმობდა ქართველ კლასიკოსებს, მათ შორის შოთა რუსთაველს, რომლის პოემა “ვეფხისტყაოსანი” სტალინის უშუალო მონაწილეობით იქნა აღიარებული საკავშირო და მსოფლიო მასშტაბით, როგორც ერთ-ერთი მაღალმხატვრული და იდეურ-ზნეობრივი შედეგრი.

სოსელოს პოეზიის მნიშვნელობაზე ქართული მწერლობის გამდიდრებასა და განვითარებაში ის ფაქტიც მიგვანიშნებს, რომ მისი ლექსების პირველი რედაქტორი იყო ილია ჭავჭავაძე, რომელმაც გზა გაუხსნა და დღის სინათლეზე გამოიტანა ქართული პოეზიის ეს ბრწყინვალე ნიმუშები.

თავის შემოქმედებაში ახალგაზრდა იოსებ სტალინი გვევლინება ჩამოყალიბებულ შემოქმედად და ლექსის ოსტატად. იგი წარმოგვიდგება როგორც ქართული მხატვრული ტრადიციული აზროვნების ერთგული და ნიჭიერი გამგრძელებელი. მისი მსჯელობა მარტივი, სადა, ქართული და ქრისტიანულია.

სოსელოს ძირითადი მხატვრული ლექსიკური ერთეულებია “ერი”, “მომავალი”, “სამშობლო”, “ივერთმხარე”. აი ამ მეტაფორულ ლექსიკურ ნიმუშებს იყენებს იგი თავის უპირველეს ლექსში “დილა”.

იგი ერთდროულად ასახავს ბუნების მშვენიერებას და ქვეყნის განვითარების იდეას. ავტორი მხატვრული სიმბოლოებით სწორედ ამ ორ მიმართულებაზე ამახვილებს აქცენტს.

“ვარდს გაეფურჩქნა კოკორი,
გადახვეოდა იასა.”

ვარდი სიყვარულის და მშვენიერების სიმბოლოა. კოკორგაფურჩქნილი და აყვავებული ნათელი ცხოვრების, სიხარულისა და სიკეთის მანიშნებელია, ხოლო იასთან გადახვეული ვარდი ქმნის სიყვარულისა და სინაზის იდეალურ ჰარმონიას, რაც მთლიანობაში გაზაფხულის მაუწყებელია, ხოლო გაზაფხულში ბედნიერება მოისაზრება. სავარაუდოა, რომ შემდეგში დიდი პოლიტიკური მოღვაწე ქვეყანაში ასეთ სანეტარო ცხოვრებაზე ოცნებობდა.

ია და ვარდი ქართულ პოეზიაში ტრადიციული სახეებია. ია ვაჟა-ფშაველასა და აკაკი წერეთელთან არაერთგზის გვხვდება. ვაჟას და აკაკის პოეზიაში დამკვიდრებული იის პოეტური სახის გამოყენება სოსელოს ლექსებში, სხვა ფაქტებთან ერთად, იმას მოწმობს, რომ იგი სამოციანელთა თაობის ლიტერატურულ ტრადიციებს აგრძელებს.

აკაკის პოეზიაში გვხვდება, აგრეთვე, ვარდის სახე ლექსში “სულიკო” იგი სიყვარულისა და მშვენიერების სახეა: “ეკალში ვარდი შევნიშნე, ობლად რომ ამოსულიყო.” ხოლო “განთიადში” იასთან ერთად ქმნის ნათელი ცხოვრების პოეტურ სიმბოლოს: “ია და ვარდი დამჭკნარი, ხელახლა გავიხარეო.” აქ ია და ვარდი სამშობლოში დაბრუნებული ლირიკული გმირის სიხარულის და იმედის მანიშნებელია. ხოლო დავით გურამიშვილისთვის ია და ვარდი ძვირფასი სასწავლო საჩუქრის სიმბოლოა. რომელშიც პოეტის ლექსები იგულისხმება: “თუ არ შევკრებ და არ ვუძღვნი ყმათ ია-ვარდის კონებსა,” ცოცხალი არვის ვახსოვარ, მკვდარს ვინდა მამიგონებსა?!”

დ. გურამიშვილისთვის ლექსებს შვილის ფუნქცია აქვთ. “ია-ვარდის” კონებში გააზრებული პოეზია მისი უკვდავების საწინდარია.

განხილული სტრიქონები მიგვანიშნებენ, რომ სოსელოს პოეზია ქართული პოეტური ტრადიციების უშუალო გაგრძელებაა განსხვავებულ კონტექსტში. “დილაში” — ვარდი იას გადახვეული ესთეტიკური სიახლეა მშვენიერების აღქმასა და პოეტურ შემეცნებაში.

“დილაში” სოსელო აკონკრეტებს იისა და ვარდის სიმბოლურ ურთიერთობას და ამით სიახლე შეაქვს მათ პეტურ წარმოსახვასა და გააზერებაში, რითაც ავითარებს ვარდის და იის ასახვის ტრადიციას ქართულ პოეზიაში.

იისა და ვარდის შემდეგ ლექსში სოსელო იყენებს ზამბახის სიმბოლოს: “ზამბახსაც გაღვიძებოდა და თავს უხრიდა ნიავსა.” შეიძლება ითქვას, რომ ეს ზამბახის მეტაფორული სახის ერთ-ერთი პირველი შემთხვევაა. მანმდე ქართულ პოეზიაში თითქმის არსად ფიქსირდება ზამბახი, არც კლასიკური ხანის და არც სამოციანელთა შემოქმედებაში. ამ ყვავილის სახეს პირველად სოსელო მიმართავს და ამკვიდრებს ზამბახს, როგორც პოეტურ სიმბოლოს, რომელსაც შემდეგ წარმატებით იყენებენ ცისფ-

ერყანწელები, ხოლო გალაქტიონ ტაბიძის პოეზიაში აპოთეოზს აღწევს. (“შერიგება” “სილაჟვარდე ანუ ვარდი სილაში”, “თოვლი”, “ცამეტი წლის ხარ”, “მთაწმინდის მთვარე” და სხვ.)

ზამბახი ერთ-ერთი ულამაზესი ყვავილია ქართ-ულ და არა მარტო ქართულ ფლორაში. იგი დღისით უძირო ცის ფერია, ღამით კი მოთეთრო მოყვითალო, გამთენიისას იცვლება მისი ფერი, მოყვითალო ფერი გადადის ვარდისფერში და მალე იგი იღებს თავის ხასხასა ცისფერს. ეს მომენტი დაფიქსირებული “დილაში”. გაღვიძებული ზამბახი თავს უხრის ნიავს. ვაჟა-ფშაველას შემოქმედებისთვის დამახასიათებელი იისა და ვარდის გასულიერება, სოსელოს ლექსში ზამბახთან მიმართებაშია გამოვლენილი. ე.ი. ზამბახს სოსელოსთან ორმაგი ფუნქცია აქვს: ბუნების გამოცოცხლებისა და მშვიდობიანი, ხალისიანი თანაცხოვრების, რაც ვაჟას პოეტური მრწამსის ერთგვარი გაგრძელება და განვითარებაა ქართულ პოეზიაში. თუ ვაჟას და სტალინს ერთმანეთთან კარგი პირადი ურთიერთობა არ ჰქონდათ, პოეზიაში ისინი მეგობრები და ერთი მედიტაციური პრინციპის მატარებლები არიან.

ყვავილების ამ საოცარ მშვენიერებას აღმაფრენას ჰმატებს ტოროლას “წკრიალი.” ტოროლა, ეს პატარა და ლამაზი ჩიტო ძველ საქართველოში ღამის მეხრეებისა და გუთნის დედების განუყრელი თანამდევი მაგალობელი იყო. იგი აღვიძებდა მათ და გათენებდას ამცნობდა. ჩიტებიდან ის ყველაზე მაღლა ადის ცაში და იქ გალობსთითქოს უფალთან სიახლოვეს გრძნობდეს და ეს სიახლოვე შთააგონებს მას გალობას. ტოროლა მაღლა გალობს ცაში, ბულბული დაბლა, ბაღებში.

“ტოროლა მაღლა ღრუბლებში
წკრიალ-წკრიალით გალობდა.
ბულბულიც გახარებული
ნაზის ხმით ამას ამბობდა.”

ბუნების ლამაზი პეიზაჟი, ყვავილებისა და მაგალობლების იდილია, ორიგინალური პოეტური თანმიმდევრობით გადადის სილამაზის განცდიდან საქმეზე, ზეციდან— მიწაზე და ამას ავტორი ბულბულის ენით, მაგალობლის ხმით ამბობს:

“აყვავდი ტურფა ქვეყანავ,
იხარე ივერთ მხარეო,
და შენ ქართველო სწავლითა
სამშობლო გაახარეო.”

ამ სტრიქონებით გამოხატავს სოსელო ლექსის იდეას, რომელიც ამავე დროს ჩვენი ქვეყნის იდეაა, მისი სულიერი ცხოვრების ძირითადი მიზანი და ამოცანა, არა მარტო იმ პერიოდში, როდესაც ეს ლექსი იწერება, არამედ ყოველი დროისთვის მარადიული მოწოდებაა ნებისმიერი ერისთვის.

ამ სტროფებშიც ავტორი ბრწყინვალე მეტაფორით გადმოგვცემს სწავლა-განათლების იდეას და მის მნიშვნელობას ერის ცხოვრებაში. მას სწავლა-განათლების დონის ამაღლება ქვეყნის აყვავებად მიაჩნია. განათლებულ ქვეყანას შეუძლია ბედნიერი იყოს და სიხარულის განწყობა ჰქონდეს: “ილხინე ივერთ მხარეო”. ნათელი და მკვეთრი

შინაგანი რითმები და ბგერათა (რ,ხ) ალიტერაცია მძლავრი ემოციით მოქმედებენ მკითხველზე. რასაც აგვირგვინებს პოეტის პრაქტიკული და ამაღელვებელი მოწოდება “და შენ ქართველო სწავლითა, სამშობლო გაახარეო.”

აზრის უბრალოება, მარტივი სტრიქონები, ღრმა იდეურობა, პოეტური სიმბოლოებითა და მყარი მხატვრული სახეებით ასახული მშვენიერი ქართული პეიზაჟი ამდიდრებს ლექს “დილას” და უმკვიდრებს მას ადგილს ქართული პოეზიის ისტორიაში, რომელსაც ვერ შეცვლის მისი ავტორისადმი პოლიტიკური დამოკიდებულება. იგი ჭეშმარიტი პოეზიაა და მარად, იქნება ქართველი პოეზიის მოყვარულთა გულში, როგორც გარდამავალი საფეხური სამოციანელთა და მეოცე საუკუნის მწერლებს შორის.

შოთა ლომსაძის პატრიოტული ლირიკა

შოთა ლომსაძეს, როგორც პოეტსა და მეცნიერს, კარგად იცნობს ქართული ლიტერატურული და სამეცნიერო საზოგადოება. მისი პოეზია აღსავსეა მშობლიური ქვეყნის სიყვარულით და მადლით, რომლითაც ცხებულება იგი, როგორც ჭეშმარიტი პოეტი და მამულიშვილი. მისი ლექსების უმეტესობა უძლიერესი ეროვნული სულისკვეთებით არის გაჟღენთილი.

ბუნებრივია, საქართველოს იმ კუთხის შვილი, სადაც ეროვნული ტკივილები მკვეთრად იხატება როგორც წარსულში, ისე აწმყოში, მეტი გულისტკივილით აღიქვამდა და განიცდიდა როგორც მშობლიური კუთხის, ისე ქვეყნის ბედის უკუღმართობას. ამდენად კანონზომიერი და ლოგიკურია, რომ შ. ლომსაძის ეროვნულ-პატრიოტული მრწამსი განპირობებულია მშობლიური მიწა-წყლის ობიექტური მდგომარეობით. ამიტომ მისი ყოველი პოეტური მედიტაცია, ყოველი მხატვრული სახე რეალურია და სინამდვილიდან მომდინარეობს. მის ლექსებს არ სჭირდებათ მომეტებული პათეტიკა, იგი სამშობლოს სიყვარულს ბუნებრივად, თავისუფლად და ლაღად ასახავს. მსუბუქი, ნათელი ფერებით გვიხატავს სამცხე-ჯავახეთის ისტორიულ ციხე-ქალაქებს, წარსულს და აწმყოს, მესხურ და ჯავახურ ტრადიციებს.

პოეტი სრულიად საქართველოს შვილია და პირველ რიგში სურს საქართველოს სიყვარული გამოხატოს:

“ერთი სუნთქვა ვარ მე შენიანად
და სანთელივით ვქრები, ვინთები;
აჰა, გადახსენ ჩემი საგულე, —
და დახლეჩილი ნახე ფილტვები.

ერთი სუნთქვა ვარ მე შენიანად,
ვარ ამომშრალი შენზე ლოცვებით,
სამშობლოვ, თუ სხვა მომკლავს ზმანება,
შენს სიყვარულში კვლავ გავცოცხლდები.
/“საქართველოს”/

სამშობლო საკუთარი სახლის ჭიშკრიდან იწყება, აქედან წყდება. სამყაროს გლობალური აღქმა და გააზრება და ყალიბდება ადამიანის ცნობიერება, ადამიანების გონებაში სიყრმიდანვე მშობლიური კერის სამშობლოსა და სამყაროს აბსოლუტური ერთიანობის იდეა. ამდენად, რაც უფრო ფართოა პოეტის თვალთახედვის არეალი, მით უფრო ნაზად და სათუთად ეტრფის იგი მშობლიურ კუთხეს, მშობლიურ კერას. ასე ერთიანდება შ. ლომსაძის პოეზიაში ჯავახეთი და თბილისი, რუსთაველის გამზირი და სამცხე.

“ძველ სიზმრებივით შეწყდნენ ავდრები,

სულს ეფინება უცხო ალერსი...
რომ რუსთაველის მფარავს ჭადრები,
მე ჯავახეთი დამაქვს თვალებით.
უნდა იწამო, აღდგე, აზვირთდე,
სულში ვარძიის ქრიან ქარები.
ხომ რუსთაველის დავალ გამზირზე
მგონია სამცხეს მივეჩქარები”.

დამაფიქრებელი პასაჟი და განცდაა გადმოცემული ლექსში “თავფარავანასთან”. პოეტი, როგორც გონებით, ისე იმპულსით გრძნობს საფრთხეს და სიფხიზლეზე ამახვილებს ყურადღებას. სიფრთხილე, სინამდვილის შეცნობა და მისი ხვალისდელი დღის განჭვრეტა ქვეყნის შემდგომი განვითარებისა და ეროვნული მთლიანობის საწინდარია. იგი ხედავს, ამ თვისებების უქონლობამ, მომავალი შედეგების განსაზღვრის უუნარობამ, როგორ შეარყია ჩვენი ქვეყნის ერთიანობა. სიფხიზლე ერის ხასიათის, მისი ფსიქიკის აუცილებელი კომპონენტია. სიფხიზლე არ ქმნის ცუდ განწყობილებებს, იგი დაფიქრებისა და მოვალეობის შეგნების, ქვეყნის წინაშე პასუხისმგებლობის მუდმივი პროცესების საფუძველია.

“დღეს აქ რომ სანთლებს არავინ ანთებს,
იცოდე, მეტი სიფხიზლე გვმართებს,
ჟამი რომ არ თვლემს,
წამი რომ არ თვლემს,
და ხმა ქართული არ ესმის ქართველს,
ჩვენ დაფიქრება ამაზე გვმართებს”.

უფრო მტკივნეულად განიცდის პოეტი სიფხიზლის იგნორირებით გამოწვეულ სევდის მომგვრელ შედეგს, ეროვნული სულისკვეთების მოდუნებისა და მკაცრი ბედუკმართობის შემდეგ ვეღარ იცნობ ახლობელ სოფელს, იგი დემოგრაფიულად სახემეცვლილი და დაკარგულია ერისათვის.

“დილისკარი, დილისკარი,
ისტორიის კივის ქარი,
მიველ, ვნახე, ვეღარ ვიცან,
გულზე ვეღარ მივიკარი.
არვინ აღარ მეთავისა,
ჟრუანტელად მივლის ჯავრი”.

უფრო მკვეთრი სურათია ასახული ლექსში “გრია”. გრია სახე სიმბოლოა მტრისაგან იავარქმნილი ციხე-სიმაგრების, ტაძრებისა და ქალაქების ნგრევის, მსხვერპლის, სისხლისღვრის, რაც თან ახლდა მტრის შემოსევას. ყოველივე ამას მტკივნეულად განიცდის პოეტი. იგი ბგერათა ჰარმონიული ალიტერაცია და აზრის ნათლად გამოსახატავად ავტორი მიმართავს მაჯამას, აქ ალიტერაციიდან აზრი თანმიმდევრულად გადადის მაჯამაზე:

“გრია, გრია,

ძველი გრია,
მტერმა მიგვინგრ-მოგვინგრია
მე ამ გზებით და წამებით,
ქეჯნით ცილის დაწამებით,
ფეთქვით წუთის და წამების
ისტორიის ვისმენ გრიალს”.

დემოგრაფიული პრობლემის გადაჭრა მხოლოდ ერის გამრავლების გზით შეიძლება, “გამრავლებაა ჩვენი საშველი” — წერს პოეტი. ეს საკითხი არაერთ ლექსშია ასახული. სადაც ავტორი ჯავახეთის ფონზე ავითარებს აზრს ქართველთა ნასახლარებისა და ნასოფლარების თაობაზე. პოეტი ხედავს მიტოვებულ სოფლებს, დაუსახლებელ ადგილებს და ეროვნული პრობლემის ერთ-ერთ მიზეზად ამას მიიჩნევს. “თუ ქართველი ხარ, კითხვა რად გინდა, აქ ყველაფერი მხოლოდ შენია. მოდი, მოხედე, დადექ, დასახლდი, ნახე, რა როგორ გადაგვრჩენია”.

ჯერ ყველაფერი წინაა, ყველაფერი არ დაკარგულა.

“ჯერ სხვათა შორის თქვენი გვარები
ჯვრიან ლოდებზე კიდევ წერია.
ვინ შეელევა იმ იალალებს,
სადაც წამი გზრდის, წამი გამაღლებს,
ვინ გაექცევა ფარავნის ზვირთებს,
ჰაერს, რომელიც
წისქვილივით აბრუნებს ფილტვებს”.

ამ ლექსში “მოდი, მოხედე!” თითქმის მთლიანად გამოხატავს ავტორი ჯავახეთის ტკივილს. ცხადია პოეტს, და არა მარტო პოეტს, გულს სტკენს აწმყოს შედარება წარსულთან. იმის წარმოდგენა თუ როგორი იყო ჯავახეთი გრიგოლ ხანძთელის დროს, როდესაც ჯავახეთის კრებაზე გვარამ მამფალი და საეკლესიო ელიტა დავობდნენ ერთმანეთთან ქვეყნის სამომავლო პრობლემებზე. თუ გავიაზრებთ, რომ ეს იყო სრულიად საქართველოს საეკლესიო კრება, რომელიც ჯავახეთში გაიმართა და არა მცხეთაში, გასაგები გახდება მისი მოსახლეობის შემადგენლობა, პოლიტიკური და ეკონომიკური სიძლიერე. მართლაც ეს მხარე ერთ-ერთი დაწინაურებული მხარე იყო საქართველოში რუსეთის შემოსვლამდე. შ. ლომსაძემ, როგორც მეცნიერმა და იქაურმა მკვიდრმა ეს საკითხი ყველაზე უკეთ იცის და ყველაზე მეტად განიცდის ჯავახეთის გასაჭირს.

შ. ლომსაძის ლექსებში ცრემლი ჟონავს არა მხოლოდ საქართველოში იავარქმნილი და გადაგვარებული ნასოფლარების გამო, არამედ პოეტი წუხს უცხო ქვეყანაში დარჩენილ ქართულ სოფლებზე და ისტორიულ ძეგლებზე. ჩვენი ცხოვრების ბედუკულ-მართობით გამოწვეული ეს სევდა უფრო მწარეა, უფრო მძიმე და ძნელად სამკურნალო, ვიდრე აქ, ჩვენს საზღვრებში გაუცხოებული სოფლების დარდი. “თქვენი არ ვიცი და მე სინდისით გეტყვით, რომ მინდა მოვკვდე ტაოში”. იქით დარჩენილი ტაო კლარჯეთი, არტაანი, ოპიზა, ხანძთა, შატბერდი, იშხანი, ხახული, მერე, ბანა, არტანუჯი. ქართული

ხუროთმოძღვრული ძეგლების ეს უბრწყინვალესი ქმნილებანი, სადაც მწუხარე დუმილი სუფევს და აღარ ისმის ქართული გალობა, სულით ხორცამდე ზარავს ავტორსაც და მკითხველსაც.

“ხან იმ სიზმრებში ვარ დამარხული,
მცხეთას რომ სწვავდა ვერსპაიანე,
ხან დამადგება თავზე ხახული
და მაჟრიალებს ეს მატიანე.
მე შენს ცრემლებში ვარ შენახული
და შენი სულის მესმის ტრიალი”.

ჩვენ სოფლებსა და საქართველოს საზღვრებს იქით მოქცეულ, სოფლებს შორის დაირღვევა კავშირი, ისინი მოწყდნენ ქართულ ფერხულს და გაწყდა ურთიერთობის სიმი, პოეტი ხალხურ მოტივებს მიმართავს ამ ფაქტით გამოწვეული განწყობილების გამოსახატავად:

“იქით ბადელა,
აქეთ არალი —
შუა გამწყდარი ჰარი-არალი,
იქით ქვითინი, ტრფობა ფარული,
აქეთ სიმღერა და სიხარული”.

ეს ანტიეროვნული პოლიტიკის მწარე შედეგი მძიმე ნაღველივით აწევს ორივე მხრის სოფლების მოსახლეობას. პოეტი არაერთგზის უბრუნდება ბადელას თემას, რომ უფრო ნათლად და ამომწურავად წარმოაჩინოს ერთმანეთისაგან მკაცრად გათიშული სოფლების წუხილი, ეროვნული და მეზობლური პრინციპების გათელვით გამოწვეული დარდი და მონატრება.

“ისევ ბადელა, ისევ ბადელა,
ისევ იქაურ ქარმა დამბერა.
რომ იმ შორეულ გზათა ხსენებით
ქართლის ცხოვრების დამდის ცრემლები...
გაურკვეველი დარჩა სარკვევი,
აქოლილია ყველა სარკმელი,
ველარ მივარქვი გულს მისარქმელი,
ჰოი, ბადელა, ჩემო ბადელა,
ნუ მკითხავთ, ასე რამ დამაბერა”.

შ. ლომსაძე არ იშურებს საღებავებს წინაპართა სახეების დასახატად. იგი აცოხცლებს ბექა ათაბაგის, იოანე ათონელის, ერეკლე მეფის, თევდორე ბერის, მესხი აშულების აჩრდილებს.

იოანე ათონელის ცხოვრებიდან პოეტმა აიღო ფაქტი ეროვნული ძირების ძიებისა. ათონელი წერს, რომ იოანე წასვლას აპირებდა სპანიაში (ესპანეთში), “რამეთუ უწყოდა, რომ მრავალნი არიან იქ ჩვენი ტომისანი”. ამ სურვილის განხორციელების შესახებ ავტორი აღარაფერს ამბობს. დღეს ცნობილია, რომ პირინეის ნახევარკუნძულზე

ბასკეთი ძალიან ახლო დგას ქართველებთან და არსებობს ოლქი, რომელსაც იბერია ეწოდება. თვითონ ესპანელებიც იბერიულ რასას ეკუთვნიან, მათი და ქართველ წინაპართა ურთიერთკავშირი შორეულ წარსულში იკარგება ხ. რიკოსეტოს გამოცემულ წიგნს, რომელშიც სამხრეთ ამერიკული ლიტერატურაა განხილული, (სამხრეთ ამერიკას, როგორც წესი ლათინურ ამერიკად მოიხსენიებდნენ), რიკოსეტომ უწოდა “იბერიული ამერიკის დიდი ლიტერატურა”. ეს ფაქტიც მრავლის მეტყველია. X-XI საუკუნეებში სიახლოვე უფრო მკვეთრი იქნებოდა. იოანემ ეს, ცხადია, წყაროებით იცოდა. მაგრამ შ. ლომსაძის ლექსის “იოანე” იდეა და მიზანი ეს არ არის. პოეტი აქ ავითარებს აზრს იმის შესახებ, რომ სხვა საქართველო არ არსებობს, საქართველო ერთია, რომელშიც ჩვენ დავიზადეთ და ვცხოვრობთ. ვერც იოანემ ნახა სხვა საქართველო.

“და ხელში ჯოხით და ქალამნებით
სხვა საქართველოს სძებნე სამნები.
მაგრამ არ იქნა, ბერო ნათელო,
ვერსად ვერ ნახე სხვა საქართველო”.

ასევე მკაფიოდ არის დახატული ბექა ათაბაგის სახე. ბექა ათაბაგის ღვაწლი არა მარტო სამცხე-ჯავახეთის წინაშე, არამედ მთელი საქართველოს წინაშეც განუზომელი და დაუფასებელია. მონღოლთაგან შერყვნილ ქვეყანაში მან შესძლო შეენარჩუნებინა პოლიტიკურ-ეკონომიკური, ზნეობრივი და სარწმუნოებრივი სიმტკიცე. სამხრეთ საქართველოში. მან აღზარდა თავისი შვილიშვილი გიორგი IV, ბრწყინვალე, რომლის მეშვეობითაც მთელი საქართველო დაადგა ჭეშმარიტი აღზევების გზას.

შ. ლომსაძე დიდი სიყვარულით უმღერის აგრეთვე თანამედროვე მესხეთს. “მესხური ბუხარი”, “მესხური სადღეგრძელო”. “მესხურ ბუხარში” სიმბოლურად მიგვანიშნებს, რომ მესხეთში კერა არ ჩანელებულა, კვლავ გიზგიზებს. კვლავ ბოლავენ ბუხარები “ვითარცა ნიშანი სიცოცხლის”. პოეტი აღფრთოვანებული ეფერება მშობლიური მიწის კალთებს, მიწაზე ეცემა მუხლებით და “ცეცხლიან-სიმღერიაანი” ნაცრის სუნიც კი ხიბლავს:

“მასუნთქეთ დარბაზის ნაცარი,
ახალი სიმღერით ავდექი.
ლექსებში სიცოცხლე გავცვალე
და მაინც ულექსოთ ვთავდები.
ოჯახებს კომლობით ითვლიან,
ქვეყანას კომლებათ ვეთვლებით,
ვიწვით და კომლივით მივდივართ”.

“მესხური სადღეგრძელო” სამცხე-ჯავახეთისადმი წარმოთქმული, დალოცვა, აქ სურვილებთან ერთად მშობლიური კუთხის სიმდიდრე, ხვავი და ბარაქაა დაფიქსირებული.

“ჩამოასხით ეს გიჟმაჟი აწყურული;
ღამე ვიყავ, ერთზე ფიქრმა გამათია.
შავი ღვინო, პაპის ძვლებით დაწურული,

ტკბილია და შარბათია”.

აქვე პოეტი კვლავ ხალხურ მოტივებს მიმართავს, რითაც უფრო ამდაფრებს ჯავახეთისადმი სიყვარ-ულს, წინა პლანზე აყენებს მის უხვმოსავლიანობას და ამ მიწაზე კეთილ ცხოვრებას.

“მე ჯავახეთს რა მიშავდა,
მთავრე იდგა მზესავითა;
კალმახი და ქერის პური
წინ მეყარა ბზესავითა”.

ლექსი “ასპინძიდან ტოლოშამდე” ასახავს ნანახს და განცდილ ტრადიციულ საქმიანობას, თევზაობა, თუთის არყის გამოხდა, რითაც განთქმულია ეს მხარე, ხიბლავს და აღაფრთოვანებს პოეტს:

“ზმა მოგვესმა სიცილის და ხორხოცის,
ხვილიშა და ნიჯგორი და ორმოცი”.

ამ გზაზე ფიქსირდება ძველი მესხი აშულის შივლას უკვდავი ხმა და ამ ხმაზე პოეტურ განწყობილებასთან შერწყმული თევზაობის ხიბლი.

“—კალმახები ლექსებივით გაზიდეს,
მურწა მოსდევს ვერლიბრიან გაზეთებს.
ლურჯა თუა, მურწა რა სათქმელია,
ეს ფაცერი კიდევ ჩასადგმელია.
ვხედავ ვიღაც გოდრებს ფუთნის ფოთლებით,
თეთრი თუთით ივსებიან გოდრები
და მესხეთში რითმებივით ნაგები,
არაყს ხდიან ბაქმაზიან ქვაბებში”.

შ. ლომსაძეს, როგორც პოეტს და როგორც მეცნიერს, სამცხე-ჯავახეთის ისტორიის უპირველეს მკვლევარს, სამშობლოს მგზნებარე სიყვარულთან ერთად ახასიათებს ობიექტურობა, საკვლევო საკითხის ობიექტური ხედვა და რეალურ ფაქტებზე დამყარებული დასკვნებით გამოირჩევა მისი წიგნი “სამცხე-ჯავახეთი”; ამ წიგნში მკითხველისადმი მიძღვნილ ლექსში ავტორი პოეტურად წარმოსახავს მეცნიერულ ნაშრომში დასმულ პრობლემას:

“შორს არ გამიდგე, ყური დამიგდე,
არ თქვა ამაოდ თითქოს დავშვერი,
უნდა გავმრავლდეთ, უნდა გავმრავლდეთ,
უნდა გავმრავლდეთ-აი საშველი”.

შ. ლომსაძე ერთი მთლიანი პიროვნებაა, როგორც პოეზიაში, ისე მეცნიერებაში, იგი პატ-რიოტი და გულმხურვალე მამულიშვილია. მის შემოქმედებაში ეროვნული პრობლემის მეცნიერული ხედვა და სინამდვილის პოეტური აღქმა ერთმანეთს ერწყმის, რაც უფრო ამდიდრებს და ალამაზებს მშობლიური მიწის სიყვარულით გამბარ მის პატრიოტულ ლირიკას.

ნინო თარიშვილის ინტიმურ-პატრიოტული ლირიკა

ნინო თარიშვილი 20-იანო წლების იმ თაობას ეკუთვნის, რომელმაც ქართულ პოეზიაში დაამკვიდრა მშვენიერების ახალი კულტი და ესთეტიკური მრწამსი. თექვსმეტი წლის ყმაწვილი პოეტი ქალი უკვე ცისფერყანწელთა ყურადღების ცენტრში მოექცა და მათ ხვედრსა და პოეტური ყოფის რიტუალს ეზიარა.

მის პოეზიაში აისახა პოეტი ქალის ინტიმურ-პატრიოტული განცდები, ლირიზმით აღსავსე ფიქრები და ოცნებები. წარმოაჩინა ქალის სულიერი სამყარო და ფსიქოლოგია.

ნინო თარიშვილმა სამწერლო სარბიელზე გამოჩენისთანავე დაიპყრო მკითხელის გული, თავისთავადი პოეტური ხმით, ლექსის დინამიკით, სინაზითა და ძლიერი ემოციით. მის პოეტურ ნაბიჯებს აღტაცებით შეეგებნენ პაოლო იაშვილი, სიმონ ჩიქოვანი, ტიცინა ტაბიძე, იოსებ გრიშაშვილი, ალექსამდრე აბაშელი და მრავალი სხვა, რომლებიც ერთხმად აღიარებდნენ, რომ ნინო თარიშვილის სახით “ქართული პოეზიის თაიგულს კიდევ ერთი სურნელოვანი ყვავილი შეემატა (40-157)”.

ეპოქის პოლიტიკურმა ძნელბედობამ იგი 50 წლით ჩამოაშორა აქტიურ ლიტერატურულ სარბიელს და მხოლოდ 1980-იან წლებში დაუბრუნდა მცხოვანი პოეტი ქართულ მწერლობას, მაგრამ ტავისი პოეტური მრწამსისათვის არასოდეს უღალატია, უმძიმეს წუთებშიც ბოლომდე ზიდა მამულიშვილისა და ჭეშმარიტი შემოქმედის მძიმე უღელი.

ნინო თარიშვილის პოეზიაში ცხოვრება მარადიულ მოძრაობაშია. მის ლექსებში ერთმანეთს ენაცვლება, ბუნების მშვენიერების რომანტიკული აღქმა, კახეთის უხვი და ნაყოფიერი ზვრები, სავსე მარნები, ინტიმური გრძნობებისა და ოცნებების ლამაზი ვეიერვერკი.

ნინო თარიშვილის ერთ-ერთ საუკეთესო ლირიკულ ლექსში “მწვანე შაირი”, ბუნების სურათთა ალიანსში წარმოჩენილია პიროვნული განცდა ტანჯვაგამოუცდელი ადამიანისა, როდესაც მასში “წენგოსფერი დარდი კაბის ნაოჭივით იმლება და ფიქრთა მეუფება ივანებს”.

სწორედ მაშინ ხდება მასში გარდასახვა და საიდუმლოს მისია, რომელიც მის ყოფაში უმთავრესი სვეტი და ყოფიერების არსია.

თუმცა თვალი ჯერ კიდევ “დაუტანჯავია” ცხოვრებისეული სიძნელეებით და ახალგაზრდობაც ყვავილივით გადაშლილია. ყოველივე ამის ფონზე, მაინც ცივია მისი “წენგოსფერი თვალთა ელვარება”, რომელსაც კვებავს ახალგაზრდული პატივმოყვარეობა:

“ცივად დანაბავ თვალს დაუტანჯავს,
როგორც ყვავილი გამოსახული
და წენგოსფერი თვალის ხამხამი
მარტო ფიქრისთვის გაგემეტება”.

ნინო თარიშვილისათვის სივრცე ირმის ნახტომივით შეკრულია, რადგან ამისი მიზეზი დარდი და მოგონებაა, რომლის გახსენება არც შეიძლება, იგი “ყელგამოჭრილი და ახტალასავით ადუღებულია”.

ლექსში უსამართლობის ფონზე გამოხატულ ქოტურ ცვალებადობას თვით ბუნებაც კი უერთდება.

“შეაჭრეს ფრთები მძინარე მერცხალს,
მაგრამ არავინ არის მნახველი,
ტყე ავდარს ბევრჯერ ჩამოურეცხავს,
ბევრჯერ სცემია მინდორს ლახვარი”.

(38-27)

ლექსში ლირიკული სახე ჯერ კიდევ ახლადგაშლილი ყვავილივითაა, თუმცა მისი სულიერი პორტრეტი ფარულ წუხილს შეუცვლია, რაც მის სევდისფერლურჯ ღიმილში ვლინდება.

ლექსში არ ჩანს თუ რითაა გამოწვეული ეს მძიმე სულიერი მდგომარეობა, რაც ლაბირინთში ხვევს მკითხველს:

“ღიმი გაქვს ლურსი, სახე ქარცივი”.

ლექსის ფინალის მიხედვით ჟამთა გამგებელი ადამიანია, რომ ბედს ქმნის თავად პიროვნება და თავისი ამქვეყნოური ყოფნა-არყოფნაც მასზეა დამოკიდებული. ამიტომაც ირწევა ქვეყანა ადამიანის გავლენით აკვანივით. რაკი ძეს კაცისას შეუძლია ყოველივეს მეუფება, მას შეუძლია საკუთარი შეცდომების გამოსწორებაც კი, ამიტომ პოეტი თვლის:

“და შემოგვყურებს ჩვენ ეს ქვეყანა,
როგორც აკვანი გადასარწევი”.

ლექსის მთავარი იდეაა ბუნებისა და ადამიანისა წონასწორობა, მათი სასიკეთო არსებობისათვის. ადამიანი ბუნების მბრძანებელია იმ შემთხვევაში, როცა მოთოკილია მისი პირადი ვნებანი და წარმოჩენილია ძლიერი პიროვნული თვისებები. თუმცა ეს დისბალანსი დროებითია და მხოლოდ ნინო თარიშვილისთანა ოპტიმისტებს ძალუძთ ამის დაჯერება და აღიარება. (41-40) ეს აძლიერებს მისი პოეზიის მხატვრულ-ესთეტიკურ ემოციას.

გაშლილ სუფრაზე სატრფოს სიახლოვით გამოწვეული სიხარული და ბედნიერების განცდაა ასახული ლექსში “სიხარული”.

“აღვის კენწეროს” გასცილდება შეყვარებული კაცის სიხარული, რადგან უკვე ახლოსაა “ძვირფასი პროფილი”, მას კლავს სურვილი სატრფოს ამბორის.

ლექსში ნათლად ჩანს შეყვარებულის შინაგანი ვნება, რომელიც სულაც არ არის ავხორცული. სატრფოს სიახლოვე მასში ყოველგვარ გიჟურ სურვილს ბადებს. სიხარული ბედნიერი რკალია, რომელიც “ატმების წვიმით” მოვარდნასაც გავს. ლექსში დახატულია ისეთი სიყვარული, როცა შეყვარებულს კი არ რცხვენია საკუთარი გრძნობების გამოხატვისა, არამედ სიამაყედ მიაჩნია.

ფაქტობრივად ჯანსაღი ქალის ვნებამორეული სურვილი, რომელიც რეალურად ხორციელდება სატრფოსთან სიახლოვით, მასში იმ სიყვარულის დაკმაყოფილებას იწვევს, რაც მისთვის ოდესღაც ალვის კენწეროსავით მიუწვდომელი იყო.

შეყვარებული ადამიანი “სიხარულის” მოლოდინში არასოდეს დაიღუპება, პირიქით;

“მწიფე ყურძნებით თავს მოუბამ პატარა კალათს,
ხეს შევაქანებ, მოვარდება ატმების წვიმა,
ტანს სიხარული შემოევლო ბედნიერ რკალად,
და მე, ჯანსაღი, ვით შუადღე დავუცდი იმას”.

ნინო თარიშვილი ფიქრებით, გრძნობებით უშუალოდ დაკავშირებულია მშობლიურ მიწასთან, პატრიოტიზმი, სიყვარულის, რომანტიკა ერთნაირი ძალითაა შერწყმული მის ლირიკულ ლექსებში.

ერთ-ერთი საინტერესო ლექსი “შეხვედრა” ასახავს მოლოდინის ნეტარებას, ლირიკული გმირი წინასწარ გრძნობს ბედნიერების ტრიუმფს და სიხარულით ივსება მისი გული:

“დღეს სიყვარული მესტუმრება მწვანე ქოშებით,
ალვის კენწეროს გასცილდება ოცნებათ სიგრძე,
დაქრება დარდი სიკვდილისგან ნაფემქემები”.

შეხვედრა არ ჩაივლის აღნიშვნის გარეშე. იქნება ღვინით სავსე ყანწები, აზარფეშა.

დატკბებიან ერთმანეთის ცქერით და ალერსით, შეითხზება ახალი მითი სიყვარულის შესაბ:

“სადღეგრძელოსთვის აივსება ღვინით ყანწები,
აზარფეშები დაათრობენ მხიარულ თითებს,
ძვირფასი პროფილის სურნელებით

დავიქანცებით,

ატეხილ კოცნებს ვათქმევინებ მე ახალ მითებს”.

როგორც ლექსში ჩანს, შემოდგომის პირია. რთველი ყურძნებით აავსებს კალათას, ატმებსაც წინასწარ დაკრეფს მისთვის და გახარებული მოსალოდნელი შეხვედრით სულიერად გაჯანსაღებული ელოდება სატრფოს:

სხეული უკვე გრძნობს სიახლოვეს, ეს განცდა სხეულს შემოევლო ბედნიერ რკალად. სწორედ ამიტომ ის დაუცდის მის მოსვლას “შუადღისთვის გაბრწყინებული”.

ლექსი “1001 კოცნას გიგზავნი შორით”. მთლიანად პესიმიზმითაა განმსჭვალული. მასში ჩანს სატრფოს დალატით გამოწვეული სევდა. პოეტი წუხს, რომ ცხოვრება თავისი გზით მიდის, პატარა ციგასავით თოვლზე მისრიალებს, მისთვის კი არაფერი იცვლება. არც მომავალში ელოდება მდგომარეობის გაუმჯობესებას, მხოლოდ დარდი და მწუხარება. მას ხომ გრძნობა მოსტაცეს, ცრემლით დასერილი გული გაუქურდეს, სატრფომ მიატოვა...

ცხოვრება მაინც გრძელდება, თავისი გზით მიდის, ისევ “სრიალებს თოვლზე პატარა ციგა”. პოეტს ისევ აგონდება ჯავრით დახეული წერილი კვლავ მწუხარების მოლოდინშია:

“სრიალებს თოვლზე პატარა ციგა,
ვიგონებ წიგნში დამალულ წერილს,
და ახალ დარდებს მომაცრის ციდან,
გაქურდულ გულზე, ცრემლით დაწერილს”.

პოეტი გვიმხელს თავის სურვილებს, გულახდილად გვესაუბრება თავის სიყვარულზე. იგი სატრფოს ერთგული იყო და გულს მას უნახავდა “როგორც შაჰ-ნამეს”, მან კი სხვაზე გაცვალა, უღალატა. სხვას ჰპირდებოდა “ათას ერთ კოცნას”.

“ახადე სურვილს მხურვალე ლოდი,
გულს გინახავდი როგორც შაჰ-ნამეს
და შენ კი თურმე სხვას ჰპირდებოდი
ათას ერთ კოცნას, ათას ერთ ღამეს”.

სურს როგორმე დარდი შეიმსუბუქოს. ლოდინში დრო გადის, მაგრამ მის საყვედურს ვინ წაიღებს. მწუხარებას თავიდან ვერ იშორებს და თვალები ცრემლით იფარება. ყმაწვილურ გატაცებას ბოლო მალე მოელო, ზრახპარივით მალე დასრულდა:

“ეს მოხდა გუშინ, ეს იყო წუხელ,
ელდა დამეცა ყოჩაღ ლეკსავით
და ვით კახეთში თამარის ციხე
დაინგრა ფიქრი გაუღექსავი”.

საინტერესოა ნინო თარიშვილის ერთ-ერთი უსათაურო ლექსი “შენ დაგავიწყდა ყველაფერი”. ამ ლექსში ასახულია სიყვარულის დაკარგვისა და იმედების გაცრუებით გამოწვეული სევდიანი განწყობილება. ლექსი აღსავსეა სასოწარკვეთით, ტრაგიზმითა და ქალური გულისტკივილით.

ლირიკული გმირის სულიერ განწყობილებას შესანიშნავად გამოხატავს სამი სიმბოლო: “შავი ქალაქი”, “მარტის ქარი”, “უძილო ღამე”. “შავი” დარდისა და გლოვის სიმბოლოა, იგი არა მხოლოდ ლირიკული გმირის წუხილის მანიშნებელია, არამედ მთელი ქალაქის მწუხარებას წარმოაჩენს. ქარი შემაწუხებელი, აფორიაქებული სულის გამომხატველია, ხოლო “უძილო ღამე” - მიგვანიშნებს სიმშვიდისა და მოსვენების დაკარგვაზე.

ამ სამი სიმბოლისტური ნიშნით იხსნება ლექსის ლირიკული გმირის რთული სულიერი სამყარო, მისი მდგომარეობა კიდევ უფრო დამძიმებულია უსასრულო მოლოდინით.

ჟამგანუწყვეტელი მოლოდინი” დანაპირების ასრულებისა და სიტყვებში დამალული სხვა ამო მცდელობა, შვებას არ აძლევს გმირს. მისი ოცნებაში წარმოსახული ფიქრის შენობა უსამირკვლოა და ერთი წვეთის დაცემით იზარება:

“წახვალ, ველოდი დანაპირებს ჟამგანუწყვეტლივ,
მწამდა სიტყვებში დამალული სხვა მნიშვნელობა,

მაგრამ გაცრუვდა ყოველივე, დაეცა წვეთი,
და უსამირკვლო გაიბზარა ფიქრის შენობა”.

მკითხველი აღარ ელის გმირის განცდის თითქოსდა დუნე მდინარებას, თუ პოეტური აფეთქება მოჰყვება, მაგრამ ზოგადი ლირიკული განცდისა და აბსტრაქტული სინამდვილის მიღმა არსებულ ობიექტში კონკრეტდება რეალური სახე მოღალატე შეყვარებულისა, იფეთქებს ლირიკული გმირის სულში შეგუბებული ნაღველი და მწარე ცრემლთა ნიაღვარი, რომელიც მეტად მაღალმხატვრული სახეებითა და სიმბოლოებით არის გადმოცემული:

“წახველ, მას შემდეგ მზემ რამდენჯერ დახუჭა თვალი,
რამდენ სიხარულს მოველოდი ამაოდ შენგან,
რამდენი ცრემლი დაიღვარა, ვით გოგჩის წყალი,
რამდენი ღამე ვარსკვლავებით გამოიჭედა”.

შესანიშნავი მხატვრული სახეა გამოყენებული დროის მსვლელობის გამოსახატავად. მზემ რამდენჯერ დახუჭა თვალი, იმედი გაუცრუვდა – მაგრამ ცხოვრება გრძელდება. ცრემლი დაიღვარა, “ვით გოგჩის წყალი” – ამ მხატვრულ სახეშიც ორმაგი აზრია გამოხატული. ცრემლის ნაკადის გოგჩის წყალთან შედარება, მეტაფორული გამოთქმაა დიდი მწუხარების გადმოსაცემად, გოგჩის წყალი, ანუ გოგჩის ტბა ალექსანდრე ჭავჭავაძის “გოგჩის” ასოცირებაა, ლექსისა, რომელშიც ამ ცხოვრების ეკლექზიასტესული ამაობით გამოწვეული დარდი და მწუხარებაა ასახული და მეორე მხრივ, დროის წარმავლობით და მისი მსახვრალი ხელით სიცოცხლის იავარქმნით აღძრული მარადიული სევდა და უიმედობაა გადმოცემული.

ნინო თარიშვილის ლირიკული გმირისთვის სიყვარულის დაკარგვა, იმედის გაცრუება “გოგჩაში” გადმოცემული საკაცობრიო წუხილის ტოლფასია. მისი ტრაგედიაც დროთა ბრუნვის ბრალია.

“ჩანს დროთა ბრუნვამ გადიყოლა გრძნობა ნათელი,
შენს აზრთა წყობას აღარ ახსოვს არც ერთი წუთი
და სხივჩამქრალი, ვით თვალები ღამენათევი,
აღარ მოგელი, აღარ მინდა, აღარას ვუცდი”.

განწყობილება იცვლება, პოეტი არ არის ბოლომდე უიმედო, იგი იმედს არ კარგავს, სჯერა, რომ დადგება დრო, როდესაც სიმართლე ითქმება და ჭეშმარიტება იზეიმებს. მის დასამტკიცებლად არ იქნება ბრძოლა.

აწმყო ნუგეშს არ აძლევს სასოწარკვეთილ პოეტს და დუმს, მაგრამ მისი ფიქრი უკეთესობისკენ მარადიულია.

ინტიმური სევდა, რომელშიც ოდნავ შეჭრილია მზის ნიაღვარი, მაგრამ გული მაინც ნაღვლიანია, პოეტი თავის თავს ადარებს მოხდენილ ზამზახს:

“ჩემში მოვარდა მზის ნიაღვარი,
კახეთის ვნება, ვაზის ამბორი”.

ნინომ გაბედულად ჩაახედა მკითხველი ქალის გულში, რომელიც პოეტებს რაღაც საბურველით გამოჰყავდათ პოეზიაში:

სწორედ აქ იყო ნინო თარიშვილის პოეზიის სიახლე, ჭეშმარიტად ახალი იყო სიმბოლისტების - “ცისფერყანწელების” გვერდით ნინო თარიშვილის პოეზიის რეალისტური ხასიათი.

“ჰერეთის ვნება,
ვაზის აბოხი,
მაგრამ გულში მაქვს მძიმე ნაღველი
და ვიღუპები, როგორც ზამბახი...
ხელებს სიჩუმე შეეხო მკაცრი,
ვით ირმის ნუკრი ტოტს გამოშვერილს,
დამდევს სიზმარი შემოსატადრი
და სიკვდილიც კი ვერას მიშველის”.

იგი მაინც გაუტეხელია, თავის თავს ყამირს ადარებს და ყველაფრის მიუხედავად სიხვე არასდროს არ მოაკლდება და ინტიმური ალერსით გაამშვენებებს შეხვედრას:

“მე ვარ ყამირი გაუტეხავი,
და მიწას სიცხე არ მოაკლდება,
რადგან შეხვედრის სიტყვათა ხვავი
ჩემი კოცნისგან მოვარაყდება”.

ვნება სილამაზითა და ძლევამოსილებით იმკვიდრებს თავისუფლებას:

“დავლუნე ალი ტუჩების ნაპრალს
მძიმდება ყოფნა ვით დეკამერონს,
მსურს ვუთხრა ყველას მტევნებით დამთვრალს,
რომ ვნება წელზე შემოიკერონ”.

ნინო თარიშვილის პოეზიაში ძლიერად არის გამოვლენილი ცისფერყანწელთა პლეადისთვის დამახასიათებელი და ადამიანის სხეულის სიმდიდრეზე მეტყველი ისეთი შესანიშნავი თვისება, როგორცაა აღფრთოვანების ნიჭი, მხოლოდ ამნიჭით დაჯილდოებულ ადამიანს შეუძლია იზეიმოს იმით, რომ იგი ლირიკოსი პოეტია. ყოველი მისი ლექსის სტრიქონი უშუალო, გულწრფელი და ღრმა განცდის ნაყოფია.

“ჩვენ თუ ორივეს გრძნობა დაგვნებდა,
დავწურავთ განცდება, ვით მწიფე მტევანს,
ვნება ავისხათ ტანზე ჯაგნებათ
და წინ გავუსწროთ ადამს და ევას.

ნინო თარიშვილის ლირიკა მომხიბლელია, საოცრად ფაქიზი, ჰაეროვანი და გამჭვირვალე, მაგრამ ამავე დროს მაჩვენებელია ადამიანის ძლიერი, გაუტეხავი სულისა.

ნინო თარიშვილს აღიარება მოუტანა ერთ-ერთმა საუკეთესო ლექსმა „ჩემს ტოლებს”.

ლექსი ჯერ კიდევ დაუბეჭდავი იყო, თვითონ პოეტიც კი არ მოელოდა ასეთ რეზონანსს, პუბლიკის წინაშე გამოსულ პოეტს ამ ლექსის წაკითხვა მეორედ სთხოვეს:

„ვიცი, რომ მზითვათ არ მომცემენ

„ვეფხისტყაოსანს“,
არც წასაღებას დაჰკეცავენ
ქირმანის შალებს,
არც ქართულ კაბას ჩამაცმევენ
ჯვარის საწერად,
არც ვერცხლის ქამარს მომავლებენ
დარდიან წელზე;
დავიმალები სიყვარულის
ცისფერ სუნთქვაში”.

ლექსში „ჩემს ტოლებს“ მძაფრადაა გადმოცემული პოეტის შინაგანი განწყობა, მისი „ლირიკული მე“.

პოეტი თითქოს წინასწარმეტყველებს თავის მომავალზე, საქორწინოდ გამზადებულ ქალს „არ ატანენ“ ქართველების დიდ საუნჯეს „ვეფხისტყაოსანს“.

საქორწინოდ გამზადებულ ქალს არც ქართულ კაბას ჩააცვამენ და არც ვერცხლის ქამარს მოავლებენ.

როცა „უიღბლო ქალს“, რომელსაც სურს ქართული ტრადიციებით ჯვრის წერა, ქართული ადათითა და ზნით, მაგრამ ეს ყოველივე მისთვის ოცნებაა და ვერ აღწევს მიზანს, ამის შემდეგ მისთვის ყოველივე ფერმკრთალდება, მას ყველაფერი უცხოდ ეჩვენება:

„ცაში ოთახი განათდება იაპონურად,
ბედნიერებას მომილოცავთ უცხო კილოზე,
მრავალს წერილებს გამაყოლებთ გზის

საპოვნელად,

მაგრამ მოკითხვას დავუხვდები, ვით მკვდარ

მიმოზებს”.

იგი არ კარგავს იმედს. ყოველივე ამის მიუხედავად, ცდილობს შეურიგდეს ასეთ სიყვარულსაც კი. ოღონდ ეს იყო ქართული სიტყვის და ტრადიციის მატარებელი. მაშინ მისთვის:

„დიდი იქნება აღტაცება მზე გამავალი,
უხვი კოცნები ვით კახეთში ღვინის მარნები,
და სადღეგრძელოს მოიტაცებს სიტყვა ქართული”.

თუმცა მისთვის ყველაფერმა ეშხი დაკარგა. იგი ხომ ყველაფრისთვის მზად იყო, ყველაფერს დასთმობდა, ოღონდ მზითვად მიეცათ „ვეფხისტყაოსანი“:

*ნამჯისფერ ფრჩხილებს დამიმძიმებს მთვრალი ჰაერი,
გულის პასუხი ყარამფილებს ველარ დაყნოსავს,
და მე ვიქნები სიკვდილივით გაუხარელი,
რადგან მზითვებში არ მატანენ „ვეფხისტყაოსანს“.*

ლექსის მაღალმა პატრიოტულმა გრძნობამ, მშობლიური კახეთის კოლორიტმა, ზვრების, მარნების ცოცხალმა სურათმა ააღელვა დამსწრე საზოგადოება. ორი აზრი არ ყოფილა, - ნინო თარიშვილი სახით, პოეზიაში მოვიდა ნიჭიერი ქალი.

„ნინო თარიშვილის ლექსებში ქალური სამყარო მდიდარი ნიუანსებითაა განფენილი, რომლებშიც ემოციათა ნაირგვარობა ენიგმის ხასიათს იღებს. მის პოეზიაში ჩანს ცისფერყანწელთა პოეზიაში ჩვეული ეროტიკა და სხეულის მშვენიერებისადმი ტრფიალი სილამაზის ზეიმისა და ტრიუმფისათვის გამიზნული 31-5)“.

ძნელია აუღელვებლად წაიკითხო ნინო თარიშვილის ლექსები, იგი ორიგინალური, განათლებული და მოაზროვნე პოეტია. ჩვენი ეპოქისათვის, თითქმის, ხელახლა დაბადებული მისი პოეზია ხიბლავდა არა მარტო პოეტის თანამედროვე მკითხველს, არამედ დიდი აღიარება ჰპოვა ჩვენი დროის პოეზიის მოყვარულთა შორის.

რეზო ინანიშვილის ერთი სევდიანი ნოველა

რეზო ინანიშვილის პროზის მხატვრულ-სტილისტურ და წარმოსახვის თავისებურებას სამი მთავარი კომპონენტი განსაზღვრავს. ეს არის მარტივი სიუჟეტი, ბუნებრივი, უბრალო თხრობა და ღრმააზროვანი მხატვრული ჩანაფიქრი, რომელიც თითქმის ყოველთვის ნაწარმოების ფინალში ვლინდება.

მწერლის შემოქმედებაში ყველა ნაწარმოებს მარტივი, ერთი ამბის შემცველი სიუჟეტი აქვს. იგი შეგნებულად იღებს პერსონაჟის ცხოვრების ერთ ეპიზოდს, რომელიც მის მხატვრულ ჩანაფიქრს შეესატყვისება და ერთ კონკრეტულ პრობლემას ასახავს. თხრობის უშუალოება და უბრალოება განაპირობებს ნაწარმოებთა მხატვრულ დამაჯერებლობას. ეს ფაქტორი განსაზღვრავს მკითხველის ესოდენ ძლიერ ინტერესს რ. ინანიშვილის პროზისადმი.

აქტუალური თუ მარადიული პრობლემა ყველგან თანამედროვე თვალთ არის დანახული. პერსონაჟის ნებისმიერი მოქმედება, ნებისმიერი აზრი, ეროვნული ხასიათის დემონსტრირებაა. მწერლის მხატვრული ჩანაფიქრი ქართულ სულსა და ტრადიციულ ზნეობრივ სიღრმეებში წვდომაა, ისტორიული წარსულის ხედვა ერთდროულად წარსულის ზნეობრივ ფენომენსაც გამოხატავს და აწმყოს ეროვნულ იდეალსაც.

რ. ინანიშვილი რაოდენ ტრაგიკული პერსონაჟის ცხოვრებასაც არ უნდა ასახავდეს, არასოდეს არღვევს თავის მშვიდ, აუჩქარებელ ტონს. იგი მოჭარბებული ემოციების გარეშე განაგრძობს თხრობას. ამ პრინციპს იგი იცავს მძაფრი ფინალის მქონე ნაწარმოებშიც. მათ შორის აღსანიშნავია ნოველა “ფრთხებიან ყვავები დამბაჩის ხმაზე”, რომელშიც მოთხრობილია სამეგრელოს მთავართა შთამომავლის, ჰაშა დადიანის ვაჟიშვილის, თავად ვიტგერნშტეინის მწუხარე და ამავე დროს რაინდული აღსასრული. მწერალს ნაწარმოებისათვის ეპიგრაფად წაუმიძღვარებია ამონაწერი ბროკჰაუსისა და ეფრონის ენციკლოპედიიდან: “ვიტგერნშტეინ-რუსკი კნიაჟსკი როდ (ნინე უგაში)”... რაც დასაწყისშივე გვამცნობს ამ ნაწარმოების დრამატულ ხასიათს.

ნოველის გმირი ვიტგერნშტეინი, იმპერატორის ახლო ნათესავი, ქართულ-ევროპული რაინდული სულის განსახიერებაა. გერმანელი წარმოშობის რუსეთის დიდ თავადს, ლეიბ-გვარდიის პოლკოვნიკს, თავისთავად რაინდულად აღზრდილ, ფენომენალური ზნეობისა და ღირსების მქონე ახალგაზრდა კაცს ამშვენებდა ქართული ტრადიციული ზრდილობა და კეთილშობილება. “ბავშვობა დედულეთში ჰქონდა გატარებული. მოსწავლეობის წლებშიც არდადეგებზე ხშირად ჩამოდიოდა ხოლმე სამეგრელოში. იცოდა მეგრული, ცოტა ქართულიც, აღმერთებდა დედას, უყვარდა ქართველი ნათესავები, მათთან თავი ისე ეჭირა, როგორც ზრდილ მეგრულ ყმაწვილს”.

ქართულ ჩოხაში გამოწყობილ ვიტგერნშტეინში ქართული ფენომენი სჭარბობდა. ეს ფაქტი ფიგურირებს შემდეგში უცნობ გენერალთან კონფლიქტის დროს. ეროვნული ჩაცმულობის ვიზუალური მხარე იწვევს გასულუქებული, ბრძანებებს მიჩვეული

გენერლის უადგილო ცინიზმს ვიტგერნშეინისადმი.

მთავარი გმირი თავისი ღირსების დამცირებად მიიჩნევს გენერლის უხამს საქციელს თანმხლები ქალისადმი. იგი რაინდია და შეურაცხყოფად მიაჩნია გენერლის საქციელი ქალთან უადგილო და უხეში შეხება.

ვიტგერნშეინი არც ფეთქდება და არც წონასწორობას კარგავს. იგი არისტოკრატიული სიდარბაისლით მიმართავს გენერალს: — “უკეთესი ხომ არ იქნებოდა, მეტი თავშეკავებულობა გამოგეჩინათ გენერალო?” — ეს თავაზიანი, რბილად ნათქვამი სიტყვაც იუკადრისა უზნეო გენერალმა. მისთვის მიუღებელი იყო ქართულ ჩოხაში გამოწყობილი ახალგაზრდა კაცისაგან ნებისმიერი შენიშვნა. ამიტომ ვიტგერნშეინის მეორე წინადადებას — “მე მამაკაცი ვიდექი თქვენს გვერდით” — ცინიზმით იღებს” — მამაკაცი?”. ეს ცინიკური მიმართვა აღმოჩნდა საბედისწერო ბოდიშის ნაცვლად გენერალმა ცინიზმი დაუბრუნა ზრდილობით და ღირსებით აღსავსე ახალგაზრდას, რომელიც, ლოგიკურია, ძალიან მკვეთრად იმოქმედებდა მასზე და მკაცრ რეაგირებასაც მოახდენდა — “ვიტგერნშეინმა მოწყვეტით სტკიცა სილა”.

დუელის დროსაც იგი ყოველ წუთში რაინდად და ღირსეულად იჭერს თავს. მწერალი არ იძლევა ფსიქოლოგიურ ანალიზს, იგი ჩვეული მშვიდი მაყურებლის პოზიციიდან გვიამბობს დუელის შედეგად დატრიალებულ ტრაგედიაზე.

ვიტგენშეინი აბსოლუტურად არ ცდილობს დუელიდან ცოცხალი გამოვიდეს. ყოველ მოქმედებასა და ყოველ სიტყვაში იგი ავლენს დიდ ადამიანურ სულს, რაინდულ ბუნებას. მას სიცოცხლის ფასად უჯდება ეს, მაგრამ ესეც თითქოს არაფრად მიაჩნია, რადგან მისთვის მთავარია საკუთარი მრწამსი და რაინდული ღირსება. სიკვდილი იქნება თუ სიცოცხლე, მისთვის ორივე ღირსეული უნდა იყოს, ორივე შემთხვევაში თავისი სახე და თავისი ხასიათი უნდა შეინარჩუნოს, ამიტომ, რადგან თვითონ გამოიწვია დუელში, გენერალს მიმართავს: — “მესროლეთ!” მიუხედავად ამისა, მან უკვე იცის, რომ გენერალი ნაუმოვია, არ ააცდენდა. მოწმეების გარეშე დანიშნულ დუელში ამდენის დათმობა მხოლოდ დიდი სულის მქონე ადამიანს შეუძლია. მხოლოდ მას შეუძლია პირველი სროლის საშუალება მისცეს მოწინააღმდეგეს. მისი მაღალი სული უფრო მკვეთრად მჟღავნდება იმ დროს, როდესაც გულში სასიკვდილოდ დაჭრილი ვიტგენშეინი საპასუხოდ ესვრის გენერალს. უეჭველია თუკი გენერალს ტყვიით ქუდი გაუხვრიტა, მკერდის არეში უფრო იოლად მოახვედრებდა, მაგრამ ცხადია აქაც თავადურ-რაინდული პრინციპით მოქმედებს. დუელის დროს მამაცობა მოწინააღმდეგის მოკვლა კი არ არის, არამედ დაჭრა, მოწინააღმდეგის მოკვლა იმას გულისხმობს, რომ თვითონ სიკვდილის ემინია. თუ მხოლოდ დაჭრი, ეს სიმამაცე და გამბედაობაა.

ამ თვალთახედვით გასაგები ხდება, რომ ვიტგენშეინი ყველგან რაინდისა და მამაცის ღირსეული ზნეობით მოქმედებს. გენერალი კი აშკარად ჩამოუვარდება მას ზნეობით, პრინციპულობით და ღირსებით. იგი დუელში დამარცხებულია მორალურად. სასიკვდილოდ დაჭრილი ვიტგენშეინი წერილობით სთხოვს მეფეს, რომ მან გენერალი არ დასაჯოს. ეს გენერლისათვის გაუგებარია. მისი გონებრივი

კომპლექსისათვის ეს შეუცნობელი და ბუნდოვანია.

ასე ილუპება ვიტგენშტეინთა უკანასკნელი შთამომავლი — ქართველი ქალის შვილი, რომელიც უდაოდ წარუშლელ კვალს ტოვებს ნებისმიერი მკითხველის ხსოვნაში.

რ. ინანიშვილის ნოველებში მთლიანად ფიქსირდება შემოქმედებითი სტილის სამივე კომპონენტი: მარტივი სიუჟეტი, ბუნებრივი თხრობა და დრამაზროვანი მხატვრული ჩანაფიქრი. ამ მეთოდით ასახა მწერალმა რეალურად არსებული ქართული სისხლისა და სულის მქონე ყმაწვილის, ვიტგენშტეინის მხატვრული სახე.

რეზიუმე

გრიგოლ რობაქიძის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი რომანი “გველის პერანგი” ასახავს უცხოეთში განდევნილი ქართველი კაცის არჩილ მაყაშვილის (არჩილ მაკაშის) სამშობლოში მშობლიურ ძირებთან დაბრუნების პრობლემას, მის ადაპტაციას ქრთულ გარემოსთან. პერსონაჟის სვლა ჰამდანიდან საირმემდე ერთგვარად უკავშირდება მისი სულიერი გნწმენდის გზას.

მწერალი ამ პროცესს მითოსურ-ტრადიციულ ფონზე ასახავს რითაც აცოცხლებს უძველეს მითს მეოცე საუკუნის პროზაში.

მ. ჯავახიშვილის “ჯაყოს ხიზნები” ბოლშევიზმის ძალადობის, რელიგიური ნორმების და ქრისტიანული ზნეობის მსხვრევის ამსახველი ნათელი ნიმუშია. ამით ავტორი წარმოაჩენს 20-იანი წლების საქართველოს პოლიტიკურ სულიერ მდგომარეობას.

ალიო მირცხულავას ინტიმურ-პატრიოტული პოეზია გამოკვლეულია მხატვრული თვალსაზრისით, ამ მხრივ იგი თავის კუთვნილ ადგილს იმსახურებს ქართული პოეზიის ისტორიაში.

ნინო თარიშვილის შემოქმედებაში 20-იანი წლების პოეტური განწყობილებებისა და ქალის სულიერ სამყაროს ასახავის პირველი წარმატებული ცდა იყო ქართულ პოეზიაში, რითაც პოეტი ქალი ცისფერყანწელთა გვერდით იმკვიდრებს ადგილს, მიუხედავად საბჭოური პოლიტიკური ზეწოლის შედეგად პოეზიისაგან მის ხანგრძლივად ჩამოშორებისა.

ირაკლი აბაშიძის და ანა კალანდაძის შემოქმედება ამდიდრებს 1960-იანი წლწზის ქართულ პოეზიას, ამთი ლექსების დიდი ნაწილი ჩვენი კლასიკური კულტურის კუთვნილებაა.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. გრ. რობაქიძე “გველის პერანგი”, 1988 წ.
2. ს. ჭილაია “გველის პერანგი”, გაზ. “ერი”, 1991 წ. 28/08
3. ავთ. ნიკოლეიშვილი “მეოცე საუკუნის ქართული ლიტერატურის ნარკვევები, 1-ლი ნაწ., 1997 წ.
4. რ. კარმანი, “ რობაქიძე და მითის აღორძინება”, გაზ. “ლიტ. საქართველო”, 1988 წ. 15.04.
5. ოთ. ჭურღულია “ არისტოკრატობა ყველგან გამოჩნდება”, (გრ. რობაქიძე, 1990 წ.
6. რევაზ მიშველაძე, უახლესი ქართული ლიტერატურა, 2000 წ.
7. აკ. ვასაძე “ტაბუახდილი ღირებულება”, გაზ. “ლიტ. საქართველო” 1989 წ. 19/04.
8. თ. ჩხაიძე “გველის პერანგის ერთი ინტერპრეტაციის გამო”, გაზ. “ლიტ. საქართველო”, 1989წ. 22/12.
9. ბიბლია, 1989 წ.
10. შოთა რუსთაველი , 1974 წ
11. “ვისრამიანი”, 1968 წ..
12. მიხეილ ჯავახიშვილი, “ჯაყოს ხიზნები”, ქართული საბჭოთა რომანი, 1985
13. ახალი აღთქმა და ფსალმუნები, 1991, სტოკჰოლმი, “მერანი”
14. გერონტი ქიქოძე, წერილები, ესეები, ნარკვევები, 1986, “მერანი”
15. გურამ გვერდითელი, “ერთგულება რეალიზმისა”, ოთხი მწერალი, ოთხი სამყარო, 1985
16. მაია ყანჩაშვილი, “ზნეობრივი გმირის პრობლემა მიხეილ ჯავახიშვილის რომანების მიხედვით”, 2005, გამ-ბა, “საარი”
17. რამაზ სურმანიძე, “მფარველი ანგელოზები”, 2005, გამ-ბა, “აჭარა”
18. გიორგი ნატროშვილი, “ორისაუკუნის მიჯნაზე”, 1963, “ნაკადული”
19. ალიო მირცხულავა, ტ. I 1976 წ.
20. სერგი ჭილაია, “ოცწლეული” 1986 წ. თსუ გამომცემლობა.
21. ლავრისი კალანდაძე, “ლიტერატურული წერილები”, 1972 წ. “მერანი”.
22. ბორის მირცხულავა, “ეპოქის კვალდაკვალ”, 1977 წ. “საბჭოთა საქართველო”.
23. ალიო მირცხულავა, ტ. II, 1977 წ. “მერანი”.
24. გრიგოლ აბაშიძე, “ლაშარელა”, ტ. I, 1990.
25. გრიგოლ აბაშიძე, “დიდი ღამე”, ტ. II, 1990.
26. სულხან-საბან ორბელიანი, ლექსიკონი ქართული, ტ. II. 1993.
27. “ქართლის ცხოვრება”, ჟამთააღმწერელი, ტ. II, 1959.
28. უჩა ბლუაშვილი, მესხეთის სახელოვანი შვილები, 2008.

29. იოსებ სააკაძე⁶ “დიდი მოურავი”.
30. კ. გამსახურდია “ლაშარელას” განხილვა ტ. VI.
31. გრიგოლ აბაშიძე, ცოტნე ანუ ქართველთა დაცემა და ამაღლება.
32. ქართული ხალხური პოეზია რჩეული 1978 წ.
33. გალაკტიონ ტაბიძე. ტი. XII. 1979 წ.
34. გალაკტიონ ტაბიძე, “რჩეული” 1973 წ.
35. გივი ახვლედიანი. “გალაკტიონ ტაბიძე და ხალხური შემოქმედება” 1997 წ.
36. გაზეთი “ლიტერატურული საქართველო”, 1980 წ.
37. ნინო თარიშვილი, ლექსების კრებული, “მზე”, 1926 წ.
38. ნინო თარიშვილი, კრებული “გვირილა”, 1980 წ.
39. ჟურნალი “ცისკარი”, 1981 წ.
40. ნინო ჩიხლაძე, ქართველი მწერალი და საზოგადო მოღვაწე ქალები”, 1990 წ.
41. გაზეთი “კომუნისტი”, ს. ხუციშვილი, 1980 წ. №127
42. რეზო ინანიშვილი, “მთვარის ასული”, 1987 წ.

შინაარსი

”გველის პერანგის” მხატვრული სპეციფიკა;
მითოსურ-ქრისტიანული სიმბოლიკა “გველის პერანგში”;
ეროვნული ძირების საკითხი გრიგოლ რობაქიძის “გველის პერანგში”;
რელიგიური მრწამსი მიხეილ ჯავახიშვილის “ჯაყოს ხიზნებში”;
პოლემიკურ-პატრიოტული პათოსი ალიო მირცხულავას 20-იანი წლების
პოეზიაში;
ირაკლი აბაშიძის 60-იანი წლების ლირიკა;
“პალესტინა, პალესტინა”;
შალვა ახალციხელის ისტორიული სახე და მხატვრული გამონაგონი
გრ. აბაშიძის რომანებში;
სარგის თმოგველის ისტორიულ-ლიტერატურული სახე;
გალაკტიონ ტაბიძე და ქართული ზეპირსიტყვიერება;
სოსელი — იოსებ სტალინის მხატვრული შემოქმედება;
შოთა ლომსაძის პატრიოტული ლირიკა;
ნინო თარიშვილის ინტიმურ-პატრიოტული ლირიკა;
რეზო ინანიშვილის ერთი სევდიანი ნოველა;
რეზიუმე;
გამოყენებული ლიტერატურა.